



გიორგი გახელაძე

# სამოქალაქო ნიგნივრება

მასწავლებლის სახელმძღვანელო



OPEN SOCIETY INSTITUTE

სამოქალაქო  
უნივერსიტეტის  
ინსტიტუტი



CIVIC  
DEVELOPMENT  
INSTITUTE



გიორგი გახელაძე

# სამოქალაქო ცივილურება

მასშავლებლის სახელმძღვანელო



CIVIC  
DEVELOPMENT  
INSTITUTE

პროექტი „ახალი შესაძლებლობების საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს“ დაფინანსებულია ევროკავშირისა და ლია საზოგადოების ინსტიტუტის მიერ და ხორციელდება სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის, ასო-ციაცია ზეკარისა და მარნეულის ახალგაზრდული ცენტრის მიერ.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და ლია საზოგადოების ინსტიტუტის მოსაზრებებს.

**Project “New Opportunities for Educationally Deprived Children,” was made possible by the support of European Union and Open Society Institute. Project is implementing by the Civic development Institute, Association “Zekari,” and Marneuli Youth Center.**

**The contents of this publication do not necessarily reflect the views of European Union and Open Society Institute**

ავტორი: გიორგი გახელაძე

რეცენზიენტი: სომხნ ჯანაშია

დიზაინერ-დამკაბადონებელი: ეკატერინე წიქარიშვილი

საკონსულტაციო საბჭო

ანთაძე ია

ბოჭორიშვილი მანანა

გორგოძე სოფიო

მოსიაშვილი თამარ

წიგნის შექმნაში განსაკუთხებული წვლილი შეიტანეს სამოქალაქო განვითრების ინსტიტუტის თანამშრომლებმა, განათლების ექსპერტებმა, რომლებმაც შეიმუშავეს განათლების მეორე შანსის ქართული მოდელი.

იდეის წარმატებით განხორციელების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ:

ბაქრაძე მაია

თოფაძე ქეთევან

კობალაძე ქეთევან

კორძაძე ეკატერინე

პაპავა პაატა

სამსონია ირინა

ჭანტურია თამარ

დაიბეჭდა გამომცემლობა მწიგნობარი  
თბილისი, 2012

© სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2012

ISBN 978-9941-0-4803-6

# სარჩევი

წინასიტყვაობა .....	5
შესავალი .....	6
სტანდარტი .....	16
არსებითი სამოქალაქო უნარები.....	22
მისაღწევი შედეგები და ინდიკატორები მიმართულებების მიხედვით .....	25
მიმართულება: მდგრადი განვითარება.....	28
მიმართულება: მმართველობა .....	32
საკითხთა ჩამონათვალი.....	38
სწავლა-სწავლების ძირითადი მიდგომები და მეთოდოლოგია.....	39
სწავლების ეფექტური მეთოდები .....	50
მრავალნახნაგიანი რეიტინგი .....	65
პროექტის სტრუქტურა.....	75
მოსწავლეთა მუშაობის ფორმები.....	77
გაკვეთილის გეგმის ნიმუშები .....	80
თემა - სამართლიანობა, კანონიერება და მართლწესრიგი.....	80
თემა - უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო .....	89
თემა - რა არის არჩევნები .....	91
თემა - არჩევნები საჯარო სკოლაში .....	94
თემა - ჩემი არჩევანი: გადაწყვეტილება და შედეგები .....	96
გამოყენებული ლიტერატურა .....	98



## ნინასიტყვაობა

სკოლის როლი განუზომლად დიდია ადამიანის პიროვნულ და საზოგადოებრივ განვითარებაში. სკოლაში სწავლა თანაბრად მნიშვნელოვანია მოზარდის როგორც ფიზიკური თუ შემეცნებითი განვითარებისათვის, ისე მისი საზოგადოების სრულფასოვან წევრად ფორმირებისათვის. ასევე, ადამიანის აკადემიური და სოციალური განვითარებისათვის. სხვაგვარ გარემოში ძნელდება ბავშვის ჰარმონიული განვითარება ჰარალელურად ორივე მიმართულებით.

სამნებაროდ, ჩვენს ქვეყანაში არცთუ იშვიათია სასკოლო საგანმანათლებლო პროცესში ბავშვების სრულფასოვანი მონაწილეობის შეზღუდვა. ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობას აფერხებს: კლიმატური პირობები, ხან შეუსაბამო ინფრასტრუქტურა, ოჯახების ეკონომიკური სიდუხჭირე, განათლების აუცილებლობისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება და ა.შ.

ეს სახელმძღვანელო განკუთვნილია იმ მასწავლებლებისათვის რომელთა მოსწავლეებსაც სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური მიზეზების გამო ხელი ეშლებათ სასკოლო გარემოში მიაღწიონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგებს. შესაბამისად, ასეთი მოზარდები შეიძლება განვიხილოთ ზოგადსაგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებად და არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებად.

სამოქალაქო განათლების სახელმწიფო სტანდარტიდან შეირჩა ძირითადი შედეგები, რომელთა მიღწევა ხელს უწყობს მოზარდთა საზოგადოებრივ განვითარებასა და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას.

## შესავალი

### **წინაპირობა და მიზნები**

თანამედროვე ეპოქაში ყოველ ადამიანს დასჭირდება საკვანძო კომპეტენციათა ფართო დიაპაზონი, რათა მოქნილად აუღოს ალღო სწრაფად ცვალებად და ძალზე ურთიერთგადაჯაჭვულ სამყაროს. განათლება მისი ორმაგი სოციალური და ეკონომიკური როლის გამო, უმნიშვნელოვანესი იქნება თუ ადამიანებს ამ ცვლილებებთან უმტკიცვნეულოდ ადაპტირების შესაძლებლობას მისცემს საკვანძო კომპეტენციების დაუფლების საფუძველზე.

### **საკვანძო კომპეტენციები**

კომპეტენციები განისაზღვრება, როგორც კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულების კომბინაცია. საკვანძოა ის კომპეტენციები, რომლებიც ყველა ინდივიდს სჭირდება პიროვნული სრულყოფისა და განვითარების, აქტიური მოქალაქეობის, სოციალური ჩართულობისა და დასაქმებისთვის.

„მთელი ცხოვრების განმავლობაში განათლებისათვის საკვანძო კომპეტენციების ევროპულ ჩარჩოში,, მოცემულია რვა საკვანძო კომპეტენცია:

- 1. კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე**
- 2. კომუნიკაცია უცხო ენაზე**
- 3. მათემატიკური კომპეტენცია და საბაზო კომპეტენციები საბუნები-სმეტყველო, ტექნიკურ და გამოყენებით მეცნიერებებში**
- 4. ციფრული კომპეტენცია**
- 5. სწავლის სწავლა**
- 6. სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები**
- 7. ინიციატივისა და მენარმეობის გრძნობა (მნიშვნელობა, ატმოს-ფერო)**
- 8. კულტურული ცოდნა და გამოხატვა**

საკვანძო კომპეტენციები ერთნაირად მნიშვნელოვანია, რადგან ყოველი მათგანი ხელს უწყობს ცოდნის საზოგადოებაში წარმატებულ ცხოვრებას. მრავალი მათგანი ურთიერთმომცველი და ურთიერთდაკავშირებულია: ერთი სფეროსთვის მნიშვნელოვანი ასპექტები ხელს უწყობს სხვა სფეროში კომპეტენციების განვითარებას. მეტყველების, წერა-კითხვის, რაოდენობრივი აზროვნების უნარისა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (სსტ) საბაზო უნარ-ჩვევებში კომპეტენცია მნიშვნელოვანი საფუძველია სწავლისთვის, ხოლო კომპეტენცია - „სწავლის სწავლა“ ხელს უწყობს ყველა სასწავლო აქტივობას. ჩარჩოში გამოყენებულია მთელი რიგი თემებია: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, ინიციატივა, პრობლემების გადაჭრა, რისკის შეფასება, გადაწყვეტილების მიღება და გრძნობების კონსტრუქციული მენეჯმენტი რვავე კომპეტენცია-ში თამაშობს როლს.

### **სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები**

#### **განსაზღვრება:**

სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები მოიცავს პიროვნულ, პიროვნებათაშორის და კულტურათაშორის კომპეტენციებს და ქცევის ყველა ფორმას, რომელიც ინდივიდს საზოგადოებრივ და სამუშაო ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი, სულ უფრო და უფრო მრავალფეროვან საზოგადოებებში ეფექტიან და კონსტრუქციულ მონაწილეობასა და საჭიროების შემთვევაში კონფლიქტების გადაჭრაში ეხმარება. სამოქალაქო კომპეტენცია ინდივიდებს სამოქალაქო ცხოვრებაში სრულყოფილ მონაწილეობაში ეხმარება, ეფუძნება სოციალურ და პოლიტიკურ კონცეფციებსა და სტრუქტურებს და აქტიურ და დემოკრატიულ მონაწილეობისადმი ერთგულებას.

**კომპეტენციასთან დაკავშირებული ძირითადი ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები:**

სოციალური კომპეტენცია უკავშირდება პირად და საზოგადოებრივ კეთილდღეობას და მოითხოვს იმის გაგებას, თუ როგორ შეიძლება უზრუნველყონ ინდივიდებმა ფიზიკური და სულიერი ჯანმრ-

თელობა. გამოიყენონ წყაროდ საკუთარი თავი, ოჯახი, მყისიერი სოციალური გარემო. ცოდნა თუ როგორ უწყობს ამ ყველაფერს ხელს ცხოვრების ჯანსაღი წესი. წარმატებული პიროვნებათაშორისი და საზოგადოებრივი მონაწილეობისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა საზოგადოებებსა და გარემოში (მაგ., სამსახურში) ქცევის კოდექსისა და ზოგადად მიღებული მანერების ცოდნა. ასევე მნიშვნელოვანია, ინდივიდების, ჯგუფების, სამუშაოს ორგანიზაციის, გენდერული თანასწორობისა და არადისკრიმინაციის, საზოგადოებისა და კულტურის ძირითადი კონცეფციების ცოდნა. არსებითია ევროპული საზოგადოებების მულტიკულტურული და სოციო-ეკონომიკური თავისებურებებისა და ეროვნული კულტურული იდენტობისა და ევროპული იდენტობის ურთიერთზემოქმედების ცოდნა.

ამ კომპეტენციის ძირითადი **უნარ-ჩვევები** მოიცავს სხვადასხვა გარემოში კონსტრუქციული კომუნიკაციის უნარს, ტოლერანტობას, განსხვავებული შეხედულებების გამოხატვასა და გაგებას, თავდაჯერებულობის გარემოს ხელშეწყობასა და ემპათიის განცდას. ინდივიდს უნდა შეეძლოს სტრესთან და იმედგაცრუებასთან გამკლავება და მათი კონსტრუქციულად გამოხატვა. პირადი და პროფესიული სფეროების გამიჯვნა.

ეს კომპეტენცია ემყარება კოლაბორაციის, ასერტულობისა (თავდაჯერებულობის) და გულწრფელობის (ლიაობის) **დამოკიდებულებას**. ინდივიდს უნდა ჰქონდეს სოციო-ეკონომიკური განვითარებისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის ინტერესი, აფასებდეს მრავალგვარობას და პატივს სცემდეს სხვებს. მზად იყოს, როგორც მიკერძოებული აზრის დასაძლევად ასევე, კომპრომისისთვის.

**კომპეტენციასთან დაკავშირებული ძირითადი ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები:**

სამოქალაქო კომპეტენცია ემყარება დემოკრატიის, სამართლიანობის, თანასწორობის, მოქალაქეობის და სამოქალაქო უფლებების ცოდნას. მათ შორის, როგორ არის ისინი გამოხატული ეპროკავშირის ძირითადი უფლებების სიგელსა და საერთაშორისო

დეკლარაციებში და როგორ გამოიყენება სხვადასხვა ინსტიტუტების მიერ ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო დონეებზე. ის მოიცავს, როგორც თანამედროვე მოვლენების, ისე ეროვნული, ევროპული და მსოფლიო ისტორიის ძირითადი მოვლენებისა და ტენდენციების ცოდნას. ამას გარდა, სოციალურ და პოლიტიკურ მოძრაობათა მიზნების, ღირებულებებისა და პოლიტიკის წვდომას. მნიშვნელოვანია ევროპული ინტეგრაციის, ევროკავშირის სტრუქტურების, ძირითადი მიზნებისა და ღირებულებების და ევროპაში მრავალგვარობისა და კულტურული იდენტობის ცოდნაც.

სამოქალაქო კომპეტენციის **უნარ-ჩვევები** უკავშირდება საზოგადოებაში სხვებთან ურთიერთობის უნარს, ფართო საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრისას სოლიდარობისა და ინტერესის გამოხატვას. ეს მოიცავს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას და კონსტრუქციულ მონაწილეობას თემის ან სამეზობლოს აქტივობებში, გადაწყვეტილების მიღებას ყველა დონეზე, დაწყებული ეროვნულიდან, დამთავრებული ევროპულით, კერძოდ, ხმის მიცემის საშუალებით.

**დადებითი დამოკიდებულების** საფუძველია ადამიანის უფლებების, მათ შორის, თანასწორობის, როგორც დემოკრატიის პატივისცემა, სხვადასხვა რელიგიური ან ეთნიკური ჯგუფების ღირებულებათა განსხვავებული სისტემების აღიარება და გაგება. ეს წინავს, როგორც კონკრეტული ადგილისადმი, ქვეყნისადმი, ევროკავშირისადმი ან ზოგადად, ევროპისადმი და მსოფლიოსადმი მიკუთნებულობის ჩვენებას, ისე ყველა დონეზე დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობისთვის მზაობას. ასევე, მოიცავს პასუხისმგებლობის გრძნობის დემონსტრირებას, საზოგადოების ერთიანობისთვის აუცილებელი საერთო ღირებულებების (მაგ., დემოკრატიული პრინციპების პატივისცემა) აღიარებას და მათდამი პატივისცემას. კონსტრუქციული მონაწილეობა მოიცავს სამოქალაქო აქტივობას, სოციალური მრავალგვარობისა და ერთიანობის, მდგრადი განვითარების ხელშეწყობას და სხვათა ღირებულებებისა და პირადულის პატივისცემის მზაობას.

## განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის

დემოკრატიული სულისკვეთება თანდაყოლილი არ არის. ალექსის ტოკვილმა აღნიშნა, რომ ყოველმა მომდევნო თაობამ უნდა შეიძინოს ის ცოდნა, უნარ-ჩვევები და ჩამოყალიბოს განწყობა, ანუ ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ხასიათის თავისებურებები, რომელიც საფუძვლად უდევს დემოკრატიას. განწყობის ჩამოყალიბება შესაძლებელია, როგორც სიტყვითა და სწავლით ასევე, მაგალითის ძალით. დემოკრატია „თვითმართვადი მანქანა“,<sup>1</sup> არ არის, ის მუდმივად უნდა განაახლოს ყოველმა ახალმა თაობამ.

ამრიგად, სამოქალაქო აღზრდა-განათლება უპირველესი საზრუნავია. არ არის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ინფორმირებული, ქმედითი და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეების აღზრდა. დემოკრატიის ძირითადი ფასეულობებისა და პრინციპებისადმი მოქალაქეების გააზრებული თავდადების გარეშე, თავისუფალი და ღია საზოგადოება წარუმატებელი იქნება. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ განათლების მუშაკებმა, პოლიტიკოსებმა და სამოქალაქო საზოგადოების წევრებმა მხარი დაუჭირონ სამოქალაქო განათლებას საზოგადოების ყველა სეგმენტის, ინსტიტუტების ფართო სპექტრისა და ხელისუფლების საშუალებით.

საზოგადოება, რომლის აშენების სურვილიც გვაქვს, მოქალაქეების მხრიდან ძალისხმევასა და თავდადებას მოითხოვს. ჩვენ ისეთი საზოგადოება და ხელისუფლება გვსურს, რომელიც:

- პატივს სცემს ადამიანის უფლებებს;
- აღიარებს ინდივიდუების ღირსებასა და მნიშვნელობას;
- იცავს სამართლებრივ ნორმებს;
- სადაც ადამიანები თანახმა არიან შეასრულონ საკუთარი პასუხისმგებლობები;
- ყველა ზრუნავს საზოგადოების კეთილდღეობაზე.

ასეთი საზოგადოებისა და ხელისუფლების სინამდვილედ ქცევა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

### რა არის სამოქალაქო აღზრდა?

1 Margaret Stimmann Branson, Associate Director Center for Civic Education September 1998

დემოკრატიულ საზოგადოებაში სამოქალაქო განათლება თვით-მართვის სწავლებაა. დემოკრატიული თვითმმართველობა ნიშნავს, რომ ადამიანები აქტიურად არიან ჩართულები საკუთარი თავის ხელმძღვანელობაში; ისინი პასიურად არ იზიარებენ სხვების შეხედ-ულებებს და არ ეთანხმებიან მოთხოვნებს. არისტოტელე „პოლიტიკაში“ წერს: „დემოკრატიისთვის დამახასიათებელი (როგორც უმრავ-ლესობა მიიჩნევს) თავისუფლება და თანასწორობა მაშინ მიიღწევა, როდესაც ყველა ადამიანი თანაბრად იზიარებს მართვის პასუხ-ისმგებლობას“. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, დემოკრატია უფრო სრულყოფილად არის რეალიზებული, თუ პოლიტიკური საზოგადოე-ბის ყოველი წევრი მონაწილეობს მართვაში. პოლიტიკური საზოგა-დოების წევრები მოქალაქეები არიან და შესაბამისად, მოქალაქეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო მმართველობის წევ-რობაა. წევრობა მონაწილეობას ნიშნავს, თვით წევრობასთან დაკა-ვშირებული უფლებებისა და პასუხისმგებლობების კრიტიკულ გაგე-ბასა და მიღებას.

დემოკრატიულ საზოგადოებაში სამოქალაქო განათლებამ, პირველ რიგში, დემოკრატიის იდეალების გაგებას და მისი ფასეუ-ლობებისა და პრინციპების ერთგულებას უნდა შეუწყოს ხელი. დე-მოკრატია უტოპია არ არის, თუმცა მოქალაქეებს უნდა ესმოდეთ, რომ თუ მათი არარეალისტური მოლოდინები არ მართლდება, ცინიზმი, აპათია არ უნდა დაეუფლოთ და უარი არ უნდა თქვან პოლიტიკურ ცხოვრებაზე. სამოქალაქო განათლება რეალისტური უნდა იყოს. მის ამჟამინდელ ნაკლოვანებებს ის განაპირობებს, რომ „არ ვერინაალმ-დეგებით შეხედულებას, რომლის მიხედვითაც პოლიტიკაში ადამიანი ან იგებს ან აგებს და მოგება ყველაფრის ერთ ჯერზე და მყისიერად მიღებას ნიშნავს. დაკარგულია რწმენა, რომ პოლიტიკაში ხვალინდე-ლი დღეც არსებობს, სხვა შანსიც, რომ მოგისმენენ, დაგეთანხმებიან და შესაძლოა, სასურველის რაღაც ნაწილიც მიიღოთ. დღეს პოლი-ტიკური განათლება უძლურია ასწავლოს ჩვენი პოლიტიკური ისტო-რია: მუდმივი და მტკიცე სამოქალაქო ჩართულობის - შეთანხმებათა დინჯად, მოთმინებით მიღწევის - შედეგად მიღწეული სოციალური ცვლილებები (Carter and Elshtain, 1997).

ამრიგად, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ პოლიტიკა არ არის

და არც უნდა იყოს თამაში ნულოვანი შედეგით. მოსაზრებას, რომ „გამარჯვებული იღებს ყველაფერს“ საერთო არაფერი აქვს დემოკრატიასთან, რადგან დამარცხებულმა თუ ყველაფერი დაკარგა, უარს იტყვის დემოკრატიულ თამაშში მონაწილეობაზე. გაზიარება - ძალაუფლების, რესურსების, პასუხისმგებლობების - არსებობითი ფენომენია დემოკრატიულ საზოგადოებაში. დემოკრატიულ საზოგადოებაში მუდამ არსებობს სოციალურ ცვლილებაზე გავლენის შესაძლებლობა, თუკი მოქალაქეებს შესაბამისი ცოდნა, უნარები და ნება აქვთ. სწორედ ეს ცოდნა, უნარები და ნება, ანუ ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ხასიათის თავისებურებები არის სრულყოფილი სამოქალაქო განათლების შედეგი.

## სამოქალაქო აღზრდის დანიშნულება და მნიშვნელობა

### საქართველოში

„ზნე-ხასიათის წვრთნა ერთი უდიდესი, უაღრესი საგანია კოლისა, რადგანაც გაადამიანება კაცისა თავი და ბოლოა ყოველგვარი წვრთნისა, ზრდისა და განათლებისა. „  
ილია ჭავჭავაძე

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში სამოქალაქო აღზრდას საკვანძო ადგილი უკავია, რადგან ჩვენ ქვეყანაში ზოგადი განათლების მიზანია „საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის“<sup>2</sup>. შესაბამისად, სამოქალაქო აღზრდა, როგორც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე, მოწოდებულია ხელი შეუწყოს ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდას. ამასთან, აღნიშნული საგნის სწავლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის სამოქალაქო კომპეტენციის ჩამოყალიბებისა

2 საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ

და საზოგადოებაში სამოქალაქო კულტურის დამკვიდრებისათვის.

### **ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდა**


ნებისმიერ ქვეყანაში დემოკრატიის არსებობა დამოკიდებულია, სწორედ, მოქალაქეთა უნარებზე, ცოდნასა და განწყობებებზე. სამოქალაქო აღზრდის შედეგად მოსწავლეები იგებენ იმას, თუ რას ნიშნავს იყო მოქალაქე. ამასთან, მოქალაქე არა მხოლოდ უფლებებით არის აღჭურვილი, არამედ მას შესაბამისი ვალდებულებებიცა და პასუხისმგებლობებიც აკისრია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თუ ადამიანს საკუთარი სამოქალაქო ვალდებულებები გაცნობიერებული არ აქვს, ის ვერ გამოიყენებს საკუთარ უფლებებსა და თავისუფლებებს, მიღებულ ცოდნას.

### **სამოქალაქო კომპეტენცია**

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ხელისუფლების წყაროა ხალხი. აღნიშნული პრინციპი დემოკრატიის ფუნდამენტს წარმოადგენს, თუმცა ადამიანები ვერ შეძლებენ საკუთარი ხელისუფლების საქმიანობაში მონაწილეობას ან მის გაკონტროლებას სამოქალაქო კომპეტენციის გარეშე. ადამიანის მოქალაქედ ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს ოჯახი, მედია, რელიგიური და სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტები, თუმცა ზოგადი განათლების სისტემას ყველაზე სერიოზული წვლილი შეაქვს მასში ისეთი ეფექტური ინსტრუმენტის მეშვეობით, როგორიც სამოქალაქო აღზრდაა.

სამოქალაქო კომპეტენცია აერთიანებს სამ ძირითად კომპონენტებს: ცოდნას, უნარსა და განწყობას.

საგნის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ინტერდისციპლინური/საგანთშორისი ბუნებისაა და მას საფუძვლად უდევს ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მეცნიერება: ეთიკა, ისტორია, სოციოლოგია, გეოგრაფია, ეკონომიკა, სამართალმცოდნეობა, პოლიტოლოგია და ა.შ.



### სამოქალაქო კულტურა

სამოქალაქო აღზრდა ხელს უწყობს სამოქალაქო კულტურის ჩამოყალიბებას. საქართველო მრავალფეროვანი (მრავალეთნიკური, მრავალრელიგიური, მრვალენოვანი და ა.შ.) ქვეყანაა. ამიტომაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთო სამოქალაქო ღირებულებების პატივისცემა და ერთგულება. სწორედ ამ პრინციპის ერთგული საქართველოს მოქალაქეების „ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ეყრდნობიან რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებს.“<sup>3</sup>

<sup>3</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო.

სამოქალაქო აღზრდა ხელს უწყობს ისეთი თავისუფალი და ღია სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, სადაც:

- უზრუნველყოფილია დემოკრატიის ფუნდამეტური ღირებულებებისა და პრინციპების პატივისცემა;
- დაცულია ადამიანის უფლებები;
- გაცნობიერებული და დაცულია ადამიანის ღირსება და მნიშვნელობა;
- უზრუნველყოფილია კანონის უზენაესობა;
- საზოგადოებრივი სიკეთის დაცვა არის ყველა მოქალაქის ვალდებულება;
- გათვალისწინებულია არა მხოლოდ უმრავლესობის ინტერესები, არამედ დაცულია უმცირესობათა უფლებებიც.

სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, რომლის პრეამბულაში ნათქვამია: „საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.“

ამასთან ერთად განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონიერივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების ნესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ნინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში„.<sup>4</sup>

<sup>4</sup> ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, 2004.

## სტანდარტი

**მოქალაქეობის სწავლების მიზნები, ძირითადი ამოცანები და  
მიმართულებები**

### სამოქალაქო აღზრდის მიზნები

სამოქალაქო აღზრდის შედეგად მოსწავლეს უნდა განუვითარდეს სამოქალაქო კომპეტენციის სამი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტი: მოქალაქეობის ცოდნა, მოქალაქეობრივი უნარ-ჩვევები და მოქალაქეობრივი განწყობები.

მოქალაქეობის ცოდნა იმ შინაარსს გულისხმობს, რაც მოქალაქეს ხუთი მნიშვნელოვან კითხვაზე პასუხის გაცემაში დაეხმარება:

1. რა არის სამოქალაქო ცხოვრება, პოლიტიკა და სახელმწიფო?
2. რა არის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების საფუძველი?
3. როგორ ასახავს კონსტიტუციის საფუძველზე მოქმედი ხელისუფლება დემოკრატიის მიზანს, ღირებულებებსა და პრინციპებს?
4. რა ურთიერთობა აქვს საქართველოს მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან?
5. რა როლს ასრულებენ მოქალაქეები ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში?

მოქალაქეობრივი უნარ-ჩვევები ძირითადად ორი სახისაა: ინტელექტუალური და მონაწილეობითი.

ინტელექტუალური უნარ-ჩვევები განუყოფელია ცოდნისგან. ნებისმიერი საკითხის კრიტიკული გააზრება-შეფასებისთვის თვით ამ საკითხის ცოდნა და მისი დღევანდელობასთან შესაბამისობის განხილვა არის საჭირო. ინტელექტუალური უნარ-ჩვევები მოიცავს:

- ამოცნობასა და აღწერას,
- ახსნასა და ანალიზს,
- შეფასებას, გადაწყვეტილების მიღებასა და პოზიციის დაცვას მონაწილეობითი უნარ-ჩვევები დაყოფილია კატეგორიებად:
- ურთიერთობა/ურთიერთქმედება,
- კონტროლი და გავლენა.

ეს უნარ-ჩვევები აუცილებელია ადამიანებისთვის, რომ იყვნენ პოლიტიკური პროცესისა და სამოქალაქო საზოგადოების ინ-

ფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებელი მონაწილეები.

**მოქალაქეობრივი განწყობები** ასახავს პიროვნების ხასიათის თვისებებს, რომლებიც აუცილებელია საერთო სამოქალაქო კულტურის, ქვეყნის კონსტიტუციური დემოკრატიის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის. მოქალაქეობრივი განწყობები შექნილი და ნასწავლია ისევე, როგორც კულტურასთან დაკავშირებული სხვა თვისებები. ეს განწყობები ნელა ვითარდება, რადგან ბავშვი ვითარდება და სწავლობს ოჯახში, სკოლაში, სამეზობლოსა თუ საზოგადოების სხვა ნაწილებთან ურთიერთობისას მიღებული საკუთარი გამოცდილების საფუძველზე.

მოქალაქეობრივი განწყობები ხუთ კატეგორიად ჯგუფდება:

1. საზოგადოების დამოუკიდებელ წევრად ჩამოყალიბება;
2. მოქალაქის პირადი, პოლიტიკური და ეკონომიკური ვალდებულებების აღება;
3. პიროვნების ფასეულობისა და ადამიანური ლირსების პატივისცემა;
4. საზოგადოებრივ საქმეებში ინფორმირებულად, დაფიქრებულად და ეფექტურად მონაწილეობა;
5. სახელმწიფოს კონსტიტუციური დემოკრატიის ჯანსაღი ფუნქციონირების ხელშეწყობა.<sup>5</sup>

### **სამოქალაქო აღზრდის სწავლების ძირითადი ამოცანები**

სამოქალაქო აღზრდა მონიდებულია მოზარდებში დემოკრატიული საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი სამოქალაქო წიგნიერების<sup>6</sup> ისეთი ასპექტების განვითარებისკენ, როგორიცაა: პოლიტიკური და სამართლებრივი წიგნიერება, სოციალური და კულტურული წიგნიერება, ეკონომიკური წიგნიერება და ეროვნული და გლობალური წიგნიერება. წიგნიერების თითოეული ეს სახე, ფაქტობრივად, საბაზო სამოქალაქო კომპეტენციების საყრდენია.

5 National Assessment of Educational Progress Achievement Levels 1992-1998 for Civics; July 2001; Edited by Susan Cooper Loomis Mary Lyn Bourque; National Assessment of Educational Progress, National Assessment Governing Board; U.S. Department of Education // NAEPR 2006 Civics Report Card.

6 3. ბრეტი, 3. მომპოინტ-გელარდი, მ. ე. სალემა, მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო, რა უნდა გააკეთოს თითოეულმა მასწავლებელმა სამოქალაქო განათლებისა და ადამიანი უფლებების შესახებ სწავლების ხელშესაწყობად, 'მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი', 2009.

ამდენად, ამ სამი კომპონენტის ჭრილში გააზრებით, საბაზო სამოქალაქო კომპეტენციები შემდეგნაირად შეიძლება დავახასიათოთ:

### **პოლიტიკური და სამართლებრივი კომპეტენცია:**

**ცოდნა:** მოსწავლემ, ასაკის შესაბამისად, ცოდნის ნაბიჯ-ნაბიჯ ათვისების გზით, უნდა იცოდეს თუ რა არის პოლიტიკური სისტემა და კანონი; უნდა გააცნობიეროს საკუთარი პასუხისმგებლობები და უფლებები დემოკრატიული პოლიტიკური სისტემისა და კანონის უზენაესობის წინაშე; მოსწავლე უნდა აცნობიერებდეს საერთაშორისო სამართლის არსა და მნიშვნელობას; უნდა იცნობდეს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ და საერთაშორისო ჩარჩოებს, ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებსა და საშუალებებს სხვადასხვა დონეზე და ა.შ.

**უნარ-ჩვევები:** მოსწავლეს უნდა შეეძლოს საკუთარი და სხვისი (განსხვავებულის, უმცირესობის, განსაკუთრებულ საჭიროებათა მქონე ბავშვების და ა.შ.) უფლებების დაცვა; უნდა გაცნობიერებეულად ემორჩილებოდეს კანონსა და შეძლებისდაგვარად, სასკოლო თემში ქცევის გაზიარებულ წესებს, უნდა შეეძლოს მონანილეობა სასკოლო თემისა და კლასის ცხოვრებაში და ა.შ.

**განწყობა:** მოსწავლეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები, ფასეულობები და ამის საფუძველზე ჰქონდეს მზაობა იმოქმედოს ადამიანის უფლებებზე ზრუნვით, კანონმორჩილად და ადამიანის უფლებების დასაცავად.

### **სოციალური და კულტურული კომპეტენცია:**

**ცოდნა:** მოსწავლე უნდა აცნობიერებდეს თავს, როგორც საკუთარი ოჯახის, საზოგადოების, სასკოლო თემისა თუ კლასის, სამეზეობლო თემის, რეფერენტული ჯგუფის (იქნება ეს ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობა თუ სატიტულო ნაცია და ა.შ.), ქართული საზოგადოების წევრად; იცნობდეს საკუთარი ქვეყნის, რეფერენტული თემის კულტურას; საქართველოში თუ მსოფლიოში მცხოვრები სხვა საზოგადოებების კულტურას; ესმოდეს თუ რას ნიშნავს ზრუნვის ეთიკა და რატომ არის ის ფასეული და ა.შ.

**უნარ-ჩვევები:** შეუძლია ზრუნვა, ურთიერთგაფრთხილებაზე და-ფუძნებული ურთიერთობების დამყარება, განსხვავებულთან ურთ-იერთობა, კონფლიქტის მოგვარება, ეფექტური კომუნიკაცია და ა.შ.

**განწყობა:** აქვს განსხვავებულისა და მრავალფეროვნების, რო-გორც ფასეულის ცნობიერება; აქვს ზრუნვის და გაფრთხილების დამოკიდებულება მის გარშემო მყოფი ადამიანების (ოჯახის წევრე-ბი, თანაკლასელები, მასწავლებლები და ა.შ.) მიმართ და სხვა.

### ეკონომიკური კომპეტენცია:

**ცოდნა:** მოსწავლე ნაბიჯ-ნაბიჯ, საფეხურებრივად, უნდა გაეცნოს თავისი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ძირითად ასპექტებს: შრომისა და სამომხმარებლო ბაზარს, მინიმალურ ხელფასს და მსყ-იდველობითუნარიანობას და ა.შ.; შეძლებისდაგვარად, უნდა იყოს ინფორმირებული მომხმარებლი უფლებებსა და მოვალეობებზე, პასუხისმგებლობითი და ეთიკური მოხმარების მნიშვნელობასა და პრინციპებზე; გამჭვირვალობის მნიშვნელობაზე და ა.შ.

**უნარ-ჩვევები:** მოსწავლეს უნდა განუვითარდეს რესურსების რაციონალურად ხარჯვისა და მოხმარების უნარ-ჩვევა, შრომისა და სოციალურ გარემოზე ზრუნვისა და დახმარების უნარ-ჩვევები, პრობლემათა ეფექტური გადაჭრის უნარ-ჩვევები, დაგეგმვისა და გეგმაზომიერი მოქმედების უნარ-ჩვევები.

**განწყობა:** ამ კომპეტენციის მიღმა მყოფი განწყობა უნდა ეფუძნე-ბოდეს შრომის, სოციალური ურთიერთზრუნვისა და ურთიერთ-პასუხისმგებლობის, გამჭვირვალობის ფასეულობებს. მოსწავლეს უნდა განუვთარდეს სოციალურად გაჭირვებულ გარშემოყოფა დახმარების ქცევის მზაობა; რესურსების რაციონალური ხარჯვისა და ეთიკურად მოხმარების ქცევის მზაობა; პრობლემათა აქტიურად და ეფექტურად გადაჭრის ქცევის მზაობა და ა.შ.

### ეროვნული და გლობალური კომპეტენცია:

**ცოდნა:** მოსწავლემ უნდა ნაბიჯ-ნაბიჯ, საფეხურეობრივად შეით-ვისოს ცოდნა ისეთ სფეროებზე, როგორიცაა მდგრადი განვითარება, გარემოს დაცვა, ცხოვრების ჯანსაღი წესი; უნდა გაისიგრძეგანოს საკუთარი ქვეყნის მდგომარეობის კავშირი რეგიონის მდგომარეო-ბასთან; რეგიონის კავშირი ევროპასა და მსოფლიოში მიმდინარე

პროცესებთან; უნდა გააცნობიეროს ყველა ამ პროცესის ურთიერთ-გადაჯაჭულობა და განმაპირობებლობა; უნდა გააცნობიეროს კაცობრიობის, როგორც მსოფლიოს ერთიანი საზოგადოების წინაშე მდგარი პოლიტიკური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური გამოწვევები.

**უნარ-ჩვევები:** ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის შესაბამისი უნარ-ჩვევები, გარემოს დაცვის შესაბამისი უნარ-ჩვევები, ცვლილებათა დაგეგმარებისა და მართვის უნარ-ჩვევები და ა.შ.

**განწყობა:** ამ კომპეტენციის შესაბამისი განწყობები უნდა ეფუძნებოდეს საკუთარი სამშობლოს, რეგიონის, ევროპისა და საერთოდ მსოფლიოს – როგორც ფასეული, ურთიერთდამოკიდებული ერთეულების გაცნობიერებას. მდგრადი განვითარების – როგორც სამშობლოსა და დანარჩენ მსოფლიოზე ზრუნვის სამუშაო იარაღის გააზრებას. მოსნავლები უნდა აღვეზარდოთ გარემოს დაცვის, ცხოვრების ჯანსაღი სტილის შესაბამისი ქცევების განწყობა; მდგრადი განვითარების გლობალურ პროცესებში საკუთარი წვლილის შეტანის ქცევის მზაობა და ა.შ.

### სამოქალაქო აღზრდის სწავლების მიმართულებები

დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება სასკოლო კულტურის განუყოფელი კომპონენტია, რადგან წარმოადგენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვისა და ურთიერთობების დამყარების საშუალებას.<sup>7</sup>

სწავლების მიმართულებების განსაზღვრას მარტივიდან რთულისკენ, კონკრეტულიდან ზოგადისკენ სწავლების პრინციპი დაედო საფუძვლად. სამივე მიმართულება ერთადერთი საერთო მიზნის - მოქალაქის ჩამოყალიბებას ემსახურება. ყოველი მიმართულება ასახავს საგნის ძირითად შინაარსს და ეფუძნება ერთ ან რამდენიმე დისციპლინას. მათი მოცემული სახით წარმოდგენის არსი სწავლა/სწავლების გამარტივებაა. ეს მიმართულებები იმავდროულად სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლებს ასახავს:

7 პ. ბრეტი, პ. მომპოინტ-გელარდი, მ. ე. სალემა, მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო, რა უნდა გააკეთოს თითოეულმა მასწავლებელმა სამოქალაქო განათლებისა და ადამიანი უფლებების შესახებ სწავლების ხელშესაწყობად, ‘მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი’, 2009, გვ. 17.

- პიროვნული განვითარება
- მდგრადი განვითარება
- მმართველობა\*.

\* მიმართულებების თანამიმდევრობა პირობითია. სამივე მიმართულება თანაბარმნიშვნელოვანია.

**პიროვნული განვითარება** ინდივიდუალური თვითგანვითარებისა და სხვების განვითარების პროცესია. ინდივიდუალურ დონეზე პიროვნული განვითარება მოიცავს იმ მიზნებს, გეგმებსა და ქმედებებს, რომლებიც მიმართულია შემდეგი ამოცანის/ების შესრულებაზე:

- თვითანალიზის განვითარება;
- თვითცოდნის განვითარება;
- იდენტობის ძიება, მიგნება ან განახლება;
- შესაძლებლობების ან ნიჭის განვითარება;
- პოტენციალის განსაზღვრა და განვითარება;
- ადამიანური კაპიტალის განვითარება;
- ცხოვრების ხარისხის ამაღლება;
- პიროვნული განვითარების გეგმის განსაზღვრა და შესრულება.

**მდგრადი განვითარება** - ცვლილებათა პროცესია, რომელშიც ბუნებრივი რესურსების მოხმარება, ინვესტიციები, მეცნიერულ-ტექნიკური განვითარება, პიროვნების განვითარება და ინსტიტუციური ცვლილებები ურთიერთშეთანხმებულია და განამტკიცებს ადამიანის მოთხოვნილებებისა და მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად საჭირო აწმყოსა და სამომავლო პოტენციალს. გარკვეულწილად საუბარია ადამიანთა ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფაზე. უფრო ხშირად მდგრად განვითარებას განმარტავენ, როგორც „განვითარებას, რომელიც აწმყოს მოთხოვნებს იმგვარად აკმაყოფილებს, რომ მომავალ თაობებს არ ართმევს მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესაძლებლობას“.<sup>8</sup>

**მმართველობა** მართვის აქტივობაა. ის უკავშირდება იმ გადაწყვეტილებებს (ინდივიდუალურ, ოჯახის, თემის, ქვეყნის დო-

8 United Nations. 1987., „Report of the World Commission on Environment and Development., General Assembly Resolution 42/187, 11 December 1987. Retrieved: 2007-04-12; Smith, Charles; Rees, Gareth (1998). *Economic Development, 2nd edition*. Basingstoke: Macmillan. ISBN 0333722280

ნებე), რომლებიც განსაზღვრავს მოლოდინებს, ძალაუფლების მინიჭებას ან საქმიანობის კონტროლს. ის მოიცავს დამოუკიდებელ, ან მართვისა და ლიდერობის პროცესების სპეციფიკურ ნაწილს.

### არსებითი სამოქალაქო უნარები

უნარი	დამახასიათებელი გამოვლინებები
ინტელექტუალური	<ul style="list-style-type: none"> <li>ინფორმაციის თავმოყრა, ანალიზი, ახსნა-განმარტება, შეჯამება, შეფასება და წარდგენა;</li> <li>ინფორმაციის დახარისხება; შესაბამისობებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა;</li> <li>საკითხის, მისი ისტორიის და დღევანდელობასთან შესაბამისობის გაგება; პოზიციის განსაზღვრა, აღნერა, შეფასება და დაცვა; ძირითადი კანონებისა და გადაწყვეტილების მიღების როლის გაგება</li> <li>განსჯისთვის კრიტერიუმების განსაზღვრა;</li> <li>ჩართულობის შეფასება; შედეგების განსაზღვრა; უფლებებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა;</li> <li>პრობლემების გადაჭრა და მოქმედება.</li> </ul>
მონაწილეობის	<ul style="list-style-type: none"> <li>გავლენის პოლიტიკა; გაერთიანება; კოალიციის შექმნა; მოლაპარაკება, კომპრომისი და შეთანხმების ძიება;</li> <li>გადაწყვეტილების მიღება; ინფორმაციის მოგროვება; საჭიროებებისა და რესურსების განსაზღვრა; ფასეულობების განსაზღვრა;</li> <li>თანამშრომლობითი სწავლა; სხვების მოსმენა; განსხვავებული რასის, სქესის, კულტურის, სქესობრივი ორიენტაციის, რელიგიის, ეთნიკურობის, ასაკისა და იდეოლოგიის მქონე ადამიანებთან მუშაობა;</li> </ul>

<b>კვლევის</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბიბლიოთეკის, წიგნების, უურნალების, ინტერნეტისა და სხვა რესურსების გამოყენება;</li> <li>• მედიაში კონკრეტული საკითხის თვალყურის დევნება; საზოგადოებაში ცალკეული საკითხების კვლევა; შეხვედრებზე დასწრება, ანგარიში და მსჯელობა;</li> <li>• მედიის გამოყენება ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზისთვის; ინფორმაციის მიღება ჯგუფებისა და ინდივიდებისგან;</li> <li>• სხვადასხვა საკითხებზე ინფორმაციის მოძიების/წვდომის შესწავლა; ინფორმაციისა და მისი წყაროების საიმედობის განსჯა; შეხედულებისა და მცდარი წარმოდგენის შესწავლა.</li> </ul>
<b>დარწმუნების/ დასაბუთების</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსწავლეთა თვითმმართველობაში მონაწილეობა; წერილების მიწერა გაზითის, ქალაქის ან ქვეყნის წარმომადგენლებისთვის;</li> <li>• ჯგუფისა და პირადი ინტერესების განსაზღვრა; ჯგუფისა და პირადი უფლებების და ინტერესების დასაცავად კანონიერი საშუალებების გამოყენება;</li> <li>• შეხედულების მხარდასაჭერად ლოგიკური დასაბუთების შემუშავება;</li> <li>• ლიდერის უნარების გამოვლენა; ვერბალური და წერითი უნარების განვითარება; არგუმენტის დაცვის შესწავლა;</li> <li>• სხვების დაყოლიერა სამოქალაქო ქმედებაში ჩასართავად.</li> </ul>

**საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდის სამოქალაქო  
აღზრდით მისაღწევი შედეგები, მიმართულებების მიხედვით:**

პიროვნული განვითარება	მდგრადი განვითარება	მმართველობა
1. მოსწავლე აანალიზებს საკუთარ პიროვნულ თვისებებს, მისწრაფებებსა და შესაძლებლობებს.	6. მოსწავლე აფასებს ადამიანისა და საზოგადოების როლს სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში.	9. მოსწავლე განიხილავს საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს.
2. მოსწავლე განსაზღვრავს საკუთარ ადგილსა და მნიშვნელობას საზოგადოებაში.	7. მოსწავლე აანალიზებს მრავალფეროვან საზოგადოებაში სამართლიანი ურთიერთობის ფაქტორებს.	10. მოსწავლე განიხილავს კანონის უზენაესობის მნიშვნელობას სახელმწიფოსთვის
3. მოსწავლე ახასიათებს პროფესიონალიზმის მნიშვნელობას პიროვნების განვითარებისათვის.	8. მოსწავლე განიხილავს საქართველოს მდგრადი განვითარების შესაძლებლობებს.	11. მოსწავლე ახასიათებს საქართველოს სახელმწიფოს მოწყობასა და მმართველობას.
4. მოსწავლე განსაზღვრავს საკუთარ შესაძლებლობებს და ადგენს მომავალი საქმიანობის გეგმას.		12. მოსწავლე იკვლევს საქართველოს მდგრადი განვითარების შესაძლებლობებს.
5. მოსწავლე აკავშირებს თავისუფალი პიროვნებისა და აქტიური მოქალაქის თვისებებს.		13. მოსწავლე აანალიზებს მოქალაქების როლს ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში.

## მისალწევი შედეგები და ინდიკატორები მიმართულებების მიხედვით

### **მიმართულება: პიროვნული განვითარება**

**აანალიზებს საკუთარ პიროვნულ თვისებებს, მისწრაფებებსა და შესაძლებლობებს.**

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის რა სჭირდება ადამიანს არსებობისთვის და შეუსაბამებს მათ საკუთარ სურვილებს;
- მონაწილეობს მცირე ჯგუფში ადამიანის მოთხოვნილებათა იერარქიის შესახებ სხვადასხვა მოსაზრების განიხილვაში. წარმოადგენს ჯგუფის მიერ დასახელებულ და მნიშვნელობის მიხედვით დალაგებულ ადამიანის მოთხოვნილებათა ჩამონათვალს;
- ჩამოთვლის ადამიანის გრძნობებს, ემოციებს, თვისებებს და გამოყოფს მათგან დადებითს.
- განასხვავებს ადამიანის თანდაყოლილ და შეძენილ თვისებებს, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებაში სრულფასოვანი ცხოვრებისთვის;
- მსჯელობს ადამიანურ ლირსებაზე, განმარტავს მას, მოჰყავს მაგალითები მისი შელახვისა და დაცვის შესახებ, ცხოვრებიდან ან მხატვრული ლიტერატურიდან.
- ასაბუთებს საკუთარ განწყობას ადამიანის ლირსების ზრუნვა-გაფრთხილებასთან დაკავშირებით;
- ჯგუფთან ერთად გაითამაშებს სიტუაციას, როდესაც ილახება ადამიანის ლირსება ან თავისუფლება გამოთქვამს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას ამ ლირებულებების მნიშვნელობის შესახებ; გადმოსცემს საკუთარ განცდებს (მაგ: როდის გრძნობს, რომ სხვებზე არც უკეთესია და არც უარესი, როდის გრძნობს, რომ ღირსეულად იქცევა);
- მსჯელობს იმპულსურ ქცევასა („მინდა“) და ნებელობითი ქცევას („საჭიროა“) შორის განსხვავებაზე, მოჰყავს კონკრეტული მაგალითები და აკეთებს დასაბუთებულ არჩევანს მათ შორის.

- განიხილავს შემთხვევებს, როდესაც პიროვნება იღებს პასუხ-ისმგებლობას საკუთარ საქციელზე და როდესაც ის ასე არ იქცე-ვა.

## **განსაზღვრავს საკუთარ ადგილსა და მნიშვნელობას საზოგადოებაში.**

- შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:
- განმარტავს, რას ნიშნავს საზოგადოება და მოჰყავს მისი მაგალითები;
  - განსაზღვრავს იმ საზოგადოებებს, რომლებსაც თავად მიეკუთვნება;
  - ზნეობას, ზრდილობასა და დისციპლინას უკავშირებს ადამიანისა და საზოგადოების კეთილდღეობას, აანალიზებს მათ როლსა და მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებისათვის/ქმედუნარიანობისათვის;
  - აანალიზებს საზოგადოებაში მოქცევის მოტივებს (სასჯელის შიში, ჯილდო/სარგებელი, სხვათა მოწონება/კონფორმიზმი, კანონმორჩილება, სინდისის კარნახი და ა.შ.).
  - განასხვავებს მორალურ არჩევანსა და ქცევას დასჯის შიშითა თუ საზოგადოების ზენოლით განხორციელებული არჩევანისა და ქცევისაგან;
  - მსჯელობს ოჯახზე, როგორც საზოგადოების ძირითად ღირებულებასა და ადამიანის ძირითად გარემოზე. გამოკვეთს ოჯახის სტრუქტურას და ფუნქციურ როლებს მასში. აანალიზებს ოჯახში პასუხისმგებლობების განაწილების საკითხს და მსჯელობს საკუთარ პასუხისმგებლობაზე;
  - მსჯელობს თავის თავზე როგორც ოჯახისა და სკოლის თემის წევრზე, საკუთარ როლზე, ფუნქციებზე, უფლებებზე, მოვალეობებსა და ვალდებულებებზე. აფასებს ოჯახისა და თემის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობას;
  - მსჯელობს ოჯახში, სკოლასა და თემში არსებულ საერთო წესებზე, ნორმებსა და ტრადიციებზე, მათი პატივისცემისა და დაცვის მნიშვნელობაზე;
  - მსჯელობს ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებაზე, განასხვავებს პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესებს;

ახასიათებს პროფესიონალიზმის მნიშვნელობას პიროვნების განვი-თარებისათვის.

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის, მისი აზრით, რამდენიმე წარმატებულ თვალსაჩინო ადამიანს, განიხილავს მათი წარმატების პიროვნულ მიზეზებს და გამოყოფს მათგან პროფესიულს;
- ჩამოთვლის ადამიანის პროფესიონალიზმის მახასიათებლებს და უკავშირებს ადამიანის თანდაყოლილ და შეძენილ თვისებებს;
- პროფესიონალიზმის მახასიათებლებს აჯგუფებს პიროვნული თვისებების მიხედვით;
- აჯგუფებს ადამიანის პროფესიონალიზმის პიროვნულ მახასიათებლებს ცოდნის, უნარისა და შრომისადმი განწყობის მიხედვით;
- ასაბუთებს პასუხისმგებლობის გრძნობის კავშირსა და მნიშვნელობას პროფესიონალიზმისათვის;
- მსჯელობს, რა გავლენას ახდენს ადამიანის პროფესიონალიზმისაზოგადოებაში მის მდგომარეობაზე;

**განსაზღვრავს საკუთარ შესაძლებლობებს, ადგენს მომავალი საქმი-ანობის გეგმას.**

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის საკუთარ მიზნებს (მაგ: ვიყო განათლებული, მდიდარი, ჯანმრთელი, ლამაზი, ვიცხოვრო უსაფრთხოდ და ა. შ.), რომლებიც საქმიანობასთან/შრომასთან არის დაკავშირებული. მსჯელობს მათ რეალურობასა და მიღწევის გზებზე. მიზნების განხორციელების გზებს აკავშირებს შესაბამის მოვალეობებთან;
- საკუთარი შესაძლებლობებისა და მიზნების ანალიზის საფუძველზე ასახელებს საქმიანობის იმ სფეროს, რომელსაც საგარაუდოდ უკავშირებს საკუთარ მომავალ მოღვაწეობას. ჯგუფში გამოავლენს თანამოაზრებს, რომლებთან ერთადაც აგროვებს ინფორმაციას ამ სფეროს შესახებ და მისი მიმოხილვის შემდეგ აკეთებს განაცხადს მინი-პროექტისთვის „ჩემი მომავალი პროფესია და წინსვლა“;
- მასწავლებლის დახმარებით, ჯგუფთან ერთად სახავს იმ გზებს, რომლებიც დაეხმარება მას პროფესიის არჩევანის გაკეთებაში,

- რაც გულისხმობს: ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის ეტაპებს, ვადებს, გამოსაყენებლი მეთოდების (მაგ: გამოკითხვა, ინტერვიუ, ადგილზე გაცნობა და ა.შ.) განსაზღვრას;
- მასწავლებელთან და თანამოაზრეთა ჯგუფთან ერთად განიხილავს შესასწავლ საგნებს, არკვევს მათ მნიშვნელობებს. გამოყოფს იმ სასწავლო დისციპლინებს, რომლებიც დაეხმარება დასახულ პროფესიულ წინსვლაში.
  - საკუთარი შესაძლებლობებისა და მისწრაფებების ანალიზის საფუძველზე წერს თხზულებას - არგუმენტირებულ ესსეს: „როგორ მესახება ჩემი მომავალი კარიერა“ (დასახული მიზნები და მათი მიღწევის გზები, სასურველი და გარდაუვალი მოვლენები, მისი ჩანაფიქრის შესაბამისობა საზოგადოებრივ ინტერესებთან); თხზულებას წარუდგენს თანაჯგუფელებს.

### **აკავშირებს თავისუფალი პიროვნებისა და აქტიური მოქალაქის თვისებებს.**

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- გამოყოფს მსგავს ნიშნებს პიროვნების თავისუფლებისა და მოქალაქის აქტიურობიდან;
- აკავშირებს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს საქართველოს მოქალაქის მოვალეობებთან;
- მსჯელობს საზოგადოებაში თავისუფალი პიროვნების აქტიური მოქალაქეობისათვის აუცილებელ პირობებზე.

### **მიმართულება: მდგრადი განვითარება**

**აფასებს ადამიანისა და საზოგადოების როლს სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში.**

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- საკუთარ დასახლებაში გამოყოფს სხვადასხვა სოციალურ უმცირესობებს (მაგ: მარტოხელა მოხუცები, ინვალიდები, მიუსაფარი ბავშვები, იმიგრანტები და ა.შ.). მსჯელობს საზოგადოებაში ამ ადამიანებისადმი არსებული განწყობების თავისებურებებზე;

- გამოყოფს მისი აზრით, საქართველოში, ყველაზე დაუცველ სო-ციალურ ჯგუფებს და მსჯელობს საზოგადოების მხრიდან მათი დახმარების შესაძლებლობებზე. ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას;
- მსჯელობს იმაზე, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლია მას/ოჯახს/ სკოლას/თემს ქართულ საზოგადოებაში ჯანსაღი დღის რეჟიმის იდეის პოპულარიზაციისათვის;
- მსჯელობს საზოგადოებაში სიგარეტის და ალკოჰოლის უპასუხისმგებლო მოხმარებასთან დაკავშირებული რისკებისა და თამბაქოს მოხმარების პრობლემის დაძლევის საქმეში საკუთარ წვლილზე;
- ირჩევს იმ სოციალურ ჯგუფს, რომელსაც, მისი აზრით, დანარჩენი საზოგადოების თანადგომა სჭირდება. გამოავლენს ამ ჯგუფის საერთო მიზნებსა და ამოცანებს. თანატოლებთან ერთად გეგმავს ამ სოციალური ჯგუფის (ან კონკრეტული წარმომადგენლების) დასახმარებელ ღონისძიებებს;
- აღნერს თუ რა წვლილის შეტანა შეუძლია მას საზოგადოებაში ნარკოტიკული საშუალებების ავადმოხმარებასთან დაკავშირებული რისკების გაცნობიერებასა და ნარკოტიკების არალეგალური ბრუნვის პრობლემის დაძლევის საქმეში;
- მსჯელობს იმაზე, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლია მას საზოგადოებაში არაძალადობრივი ურთიერთობების დამკვიდრების საქმეში. ოჯახში, სკოლაში, თემში ურთიერპატივისცემასა და ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული ურთიერთობების დამკვიდრების საქმეში;
- წერს თხზულებას სოციალური დაავადებების (მაგ: ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, შიდვი, ტუბერკულოზი და ა.შ.) მქონე ადამიანებისადმი დანარჩენი საზოგადოების წევრთა დამოკიდებულების შესახებ, სადაც ასაბუთებს საკუთარ პოზიციას მის მიერ აღნერილი ურთიერთობის სამართლიანობის შესახებ;
- მონაწილეობს დისკუსიაში „რა შეგვიძლია შევმატოთ ჩვენს სოფელს/დაბას/ქალაქს?“, რომლის მიზანია შესაბამისი საჭიროებებისა და თანატოლთა შესაძლებლობების დაზუსტება. შეიმუშავებს საკუთარ სამოქმედო გეგმას, რომელსაც შეათანხმებს თანატოლებთან. დაგეგმილ აქტივობებში თამაშობს მისთვის გამოყოფილ როლს;

**აანალიზებს მრავალფეროვან საზოგადოებაში სამართლიანი ურთიერთობის ფაქტორებს.**

### **შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:**

- თავისი ჯგუფის მაგალითზე მსჯელობს ადამიანის პიროვნულ და საზოგადოებრივ ინტერესებზე. გამოყოფს იმ საერთო ინტერესებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია საზოგადოებრივი თანხმობისთვის;
- განმარტავს თანასწორობას და მოჰყავს შესაბამისი მაგალითები;
- ახასიათებს საზოგადოებაში სამართლიანი ურთიერთობების პირობებს და მათ უკავშირებს მრავალფეროვან ნიშნებს;
- ერთმანეთთან აკავშირებს თანასწორობის პრინციპსა და ურთიერთობათა სამართლიანობის ნორმებს;
- თანატოლებთან ერთად, საკუთარი დაკვირვებების საფუძველზე, შეარჩევს და გაითამაშებს რომელიმე კონფლიქტურ სიტუაციას, განიხილავს მისი მოგვარების შესაძლო გზებს, (მაგ: ინტერესების პოზიციიდან, წესების პოზიციიდან), აირჩევს მოცემული შემთხვევისათვის ყველაზე ეფექტურ გზას, ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას.
- ირჩევს რომელიმე ბოლოდროინდელ კონფლიქტს (მაგ. საკუთარი გამოცდილებიდან, კლასში მომხდარს, მასმედიის საშუალებით გახმაურებულს ან სხვა) თანაკლასელების ჯგუფთან ერთად განიხილავს მას. განსაზღვრავს კონფლიქტის რომელ ჯგუფს მიეკუთვნება მის მიერ შერჩეული შემთხვევა (ლირებულებითი, ინფორმაციული, ურთიერთდამოკიდებულებითი, ინსტიტუციური, ინტერესტია), გამოყოფს კონფლიქტში მონაწილე მხარეების მოქმედებებს და ჯგუფთან ერთად მსჯელობს მის გამომწვევ მიზეზებზე და მისი მოგვარების გზებზე;
- მსჯელობს თანატოლებისათვის აქტუალურ საკითხებზე (მეგობრობა, მშობელთან ურთიერთობა, პრფესიის არჩევა და ა.შ), გამიჯვნავს მოცემულ საკითხთან დაკავშირებულ სხვადასხვა პოზიციების ძლიერ და სუსტ მხარეებს.

## განიხილავს საქართველოს მდგრადი განვითარების შესაძლებლობებს.

### შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- საკუთარი დასახლების მაგალითზე ჩამოთვლის ადამიანის სხვა-დასხვა საქმიანობას, რომლებიც შემოსავლის მისაღებად ხორციელდება და აჯგუფებს მათ საქონლის წარმოებისა თუ მომსახურების მიხედვით. თითოეულ საქმიანობას შეუსაბამებს გამოყენებული რესურსების ტიპებს (მაგ: ბუნებრივი, ადამიანური, კაპიტალური);
- თანატოლთა ჯგუფთან ერთად შეარჩევს და ჩამოწერს რამდენიმე კანონსა და საკონსტიტუციო დებულებას, რომელთა დაცვაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხო ცხოვრების პირობებს (მაგ: სკოლა, ოჯახი, უბანი, ქალაქი და ა.შ.);
- მონაწილეობს დისკუსიაში კანონის უზენაესობის აუცილებლობისა და კანონიერების უზრუნველყოფის შესახებ.
- მონაწილეობს დებატებში „რომელი წესებია უფრო ძლიერი - დაწერილი თუ დაუწერელი?“; საკუთარ პოზიციას ასაბუთებს კონკრეტული მაგალითების (თანამედროვე სინამდვილიდან, მხატვრული ლიტერატურიდან ან ისტორიიდან) მოშველიებით და შეფასებისას გამოყოფს კრიტერიუმებს, რომლებსაც ის ეყრდნობა;
- მსჯელობს, როგორ მოიქცევა მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში და ხსნის, რატომ უნდა გაუწიოს ანგარიში სხვის თავისუფლებებს საკუთარი უფლებების დაცვისას;
- მსჯელობს სხვადასხვა სოციალური გარემოს (მაგ: სამეგობრო, სამეზობლო, პროფესიული და საზოგადოებრივი გაერთიანებები) ჩამოყალიბებისა და მდგრადობის განმსაზღვრელ ფაქტორებზე (მაგ: საერთო ლირებულებები, ინტერესები, თვისებები, პირობები, მისწრაფებები და ა.შ.). მსჯელობს იმ ნიშან-თვისებებზე, რომელიც დამახასიათებელია საქართველოსთვის. პარალელებს ავლებს სხვა ქვეყნებთან.

## მიმართულება: მმართველობა

განიხილავს საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს.

**შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:**

- აღნერს საქართველოს მოქალაქეობის საფუძვლებსა და პირობებს;
- მონაწილეობს დისკუსიაში „რა მოხდებოდა ყველას რომ ჰქონდეს მხოლოდ უფლება და არ გააჩნდეს მოვალეობა? საჭიროა თუ არა პასუხისმგებლობა და რისთვის?“;
- ადარებს საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს ადამიანის უფლებების საერთაშორისო დეკლარაციის დებულებებთან;
- მსჯელობს საქართველოში მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის გარანტიებზე;
- ადგენს ასაკობრივ დროის ხაზს, რომელზედაც მიუთითებს საქართველოს მოქალაქის ძირითად უფლებებს, მოვალეობებსა და შესაბამის პასუხისმგებლობებს;
- საქართველოს მოქალაქის უფლება-მოვალეობებს აჯგუფებს მათი განხორციელების პირობების მიხედვით (მაგ: საკმარისია მოქალაქის ნება, საკმარისია საზოგადოებრივი შეთანხმება, აუცილებელია სახელმწიფოს მოქმედება).

**განიხილავს კანონის უზენაესობის მნიშვნელობას**

**სახელმწიფოსთვის**

**შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**

- მსჯელობს საზოგადოებაში სხვადასხვა ნორმისა და კანონის არსებობის აუცილებლობის შესახებ;
- მონაწილეობს დისკუსიაში „რატომ არღვევენ ბავშვები კანონს?“; მსჯელობს არასრულწლოვან დამნაშავეთა უფლებებსა და მათი

- დაცვის საკანონმდებლო გარანტიებზე. წერს თემას: „რას ვურჩევ-დი თანატოლს“;
- მსჯელობს სხვადასხვა ტიპის (მაგ: ქურდობა, მკვლელობა, კო-რუფია, დისკრიმინაცია, თაღლითობა, ძალადობა და სხვა) დანა-შაულის გამომწვევ მიზეზებსა და მათი შემცირების გზებზე;
  - მსჯელობს კანონის უზენაესობის მნიშვნელობაზე თითოეული მო-ქალაქის ინტერესებისთვის (მაგ.: წესრიგი, პატიოსანი ურთიერ-თობა, ადამიანის უფლებათა დაცვა, სამართლიანობა და სხვა). მოჰყავს შესაბამისი მაგალითები საკუთარი დაკვირვებებიდან;
  - მონაწილეობს საკლასო დისკუსიაში: „აქვს თუ არა ჩვენს საზოგა-დოებას კანონიერების კულტურა?“; აფასებს საზოგადოების დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი საკუთარ დასახლებაში (ან ქვეყანაში). მსჯელობს მოქალაქეების, საკანონმდებლო და სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთკავშირზე. წერს კლას-ში გამართული დისკუსიის ოქმს ან ანგარიშს;
  - მსჯელობს, როგორ მოიქცევა მისი უფლებების დარღვევის შემ-თხვევაში და ხსნის, რატომ უნდა გაუწიოს ანგარიში სხვის თავი-სუფლებებს საკუთარი უფლებების დაცვისას;
  - ჩამოთვლის საზოგადოებაში მოქმედ „დაუწერელ კანონებსა“ და წესებს, მსჯელობს წარმოადგენენ თუ არა ისინი მორალურ ნორმებს, მოიძიებს მსგავს „დაუწერელ კანონებსა“ და წესებს სხვადასხვა ხალხის კულტურაში; ადარებს მათ ერთმანეთთან და აფასებს, რამდენად მისაღებია ისინი მისთვის;
  - თანატოლებთან ერთად შეიმუშავებს და იცავს ჯგუფში სამარ-თლიანი ურთიერთობების/ქცევის წესებს;
  - განმარტავს, რას ნიშნავს სამართალი და ასახელებს იმ კანონებს, რომლებიც შეესაბამება მის ზნეობრივ ღირებულებებს;
  - ხსნის, თუ რატომ ევალება პიროვნებას კანონის დაცვა. ასახე-ლებს იმ საშიშროებებს, რაც მოსდევს ადამიანის (განსაკუთრებით არასრულწლოვანის) არაკანონიერ მოქმედებას.

მოსწავლე ახასიათებს საქართველოს სახელმწიფოს მოწყობასა და მმართველობას.

### შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს განხსნავებებზე ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის;
- თანატოლებთან ერთად აჯგუფებს ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს (აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო) და განასხვავებს მათ ფუნქციებს;
- ირჩევს ერთ-ერთ სახელმწიფო ორგანოს და უკავშირებს მას ხელისუფლების შესაბამის შტოს. განიხილავს ამ ორგანოს ფუნქციებს და მის კავშირს ხელისუფლების სხვა ორგანოებთან;
- ადგენს საკუთარ დასახლებაში გადასაჭრელ საკითხთა ნუსხას და შესაბამისად ასახელებს ხელისუფლების იმ წარმომადგენელს, რომელთანაც უნდა მოხდეს პირველი მიმართვა საკითხთა გადასაჭრელად. ასაბუთებს საკუთარ დასკვნას (შტოსა და დონის/ინსტანციის მიხედვით);
- ჯგუფთან ერთად ირჩევს რომელიმე სახელმწიფო ორგანოს (მაგ: გამგეობა/მერია, პარლამენტი, სასამართლო, სამინისტრო და ა.შ.) და მონაწილეობს შესაბამის სიმულაციურ თამაშში „სამსახურის ერთი დღე“;
- განიხილავს ხელისუფლების ერთ-ერთი ორგანოს (მაგ: პარლამენტი, პრეზიდენტი, ქალაქის მერი, თვითმმართველობის ორგანო, მოსამართლე და ა.შ.) არჩევის წესებს. ადარებს საქართველოსა და სხვა ქვეყნის მაგალითს. გამოყოფს, მისი აზრით, მათ შორის უფრო სამართლიან წესს;
- ჯგუფთან ერთად მოიძიებს ინფორმაციას რომელიმე არჩევითი თანამდებობის ან ორგანოს (მაგ.: სკოლის დირექტორი, დეპუტატი, მერი ან სხვა) შესახებ და სიმულაციურ არჩევნებში ასრულებს მისთვის განკუთვნილ როლს (მაგ.: ამომრჩეველი, კანდიდატი, მხარდაჭერი, დამკვირვებელი, უურნალისტი, სამართალდამცავი ან სხვა). ერთმანეთს ადარებს ნავარაუდებ და მიღებულ შედეგებს, რის საფუძველზეც თანაკლასელებთან ერთად აფასებს თითოეული მონაწილის როლს/ფუნქციას;

- ჩამოთვლის სახელმწიფოს დემოკრატიულობის პრინციპებს (მაგ: ხელისუფლების დანაწილება და წარმომადგელობითიბა, მრავალპარტიულობა, სიტყვის თავისუფლება და ა.შ.) და თითოეულის მიხედვით ახასიათებს საქართველოს სახელმწიფოს მმართველობას. ადარებს რომელიმე სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოს. ანალიზის საფუძველზე აკეთებს დასკვნას, თუ რომელი მმართველობაა უფრო დემოკრატიული.

**მოსწავლე იკვლევს საქართველოს მოქალაქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ფორმებსა და საშუალებებს.**

### **შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:**

- დროის ხაზზე აღნიშნავს იმ ეტაპებს, როდესაც მოიპოვა მისთვის მნიშვნელოვანი უფლება და გაუჩნდა განსაკუთრებული მოვალეობა. იმავე ხაზზე აღნიშნავს ეტაპებს, როდესაც მას განსხვავებული (დამატებითი ან გაფართოებული) უფლება-მოვალეობები გაუჩნდება (მაგ: მართვის, არჩევნებში მონაწილეობის, დაოჯახების, სამხედრო სამსახური და ა.შ.); წერს ესსეს: „ჩემი უფლებები და მოვალეობები“.
- მონაწილეობს სკოლის განვითარებასთან (მაგ: სწავლის ხარისხი, ტექნიკური აღჭურვილობა, შემოსავლების ზრდა, მონაწილეობა ეროვნულ თუ საერთაშორისო პროექტებში და ა.შ) დაკავშირებულ საკლასო დისკუსიაში, კონკრეტულად გამოთქვამს და იცავს საკუთარ პოზიციას.
- ირჩევს მისთვის ან რომელიმე სოციალური ჯგუფისთვის აქტუალურ კონკრეტულ პრობლემას (მაგ: განათლების მიღება, დასაქმება, ადამიანის უფლების დარღვევა, სამოქალაქო დაგა, საგადასახადო კონფლიქტი, სოციალური უსაფრთხოება, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა, პოლიტიკური ან რელიგიური დისკრიმინაცია და ა.შ.). მოიპოვებს ინფორმაციას, რომლის ანალიზის საფუძველზე წერს კონკრეტული პრობლემის გადაჭრის გეგმას (შესაძლოა რამდენიმე ვარიანტს) მხარეთა უფლებების დაცვისა და კანონიერი მოქმედებების გათვალისწინებით. განსაზღვრავს

- საკუთარ როლს პრობლემის მოგვარებაში, იკრებს თანამოაზრებს და მოქმედებს გეგმის შესაბამისად. აფასებს საკუთარი მონაწილეობის ეფექტიანობას და შედეგებს უზიარებს თანაკლასელებს;
- შეარჩევს რომელიმე კონკრეტულ კონფლიქტურ სიტუაციას მოქალაქეთა ცხოვრებიდან (სოციალური, ეკონომიკური ან პოლიტიკური). შეისწავლის შექმნილ ვითარებასა და მხარეთა ინტერესებს. თანატოლებთან ერთად გაითამაშებს აღნიშნულ სიტუაციას და მისი გადაჭრის ალტერნატიულ ვარიანტებს. მსჯელობს ამ გზების ავკარგიანობაზე და მეგობრებთან ერთად სახავს კონფლიქტის გადაჭრის სამართლებრივი გეგმას.

**მოსწავლე აანალიზებს მოქალაქეების როლს ქვეყნის დემოკრატიაში.**

### შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- მასწავლებელთან და თანატოლებთან ერთად ადგენს უფლებებისა და მოვალეობების ნუსხას, რომელიც სასწავლო წლის მანძილზე მათვეის სავალდებულო ხასითს იძენს;
- მსჯელობს საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და მოვალეობებზე და ადამიანის უფლებების საერთაშორისო დეკლარაციით მინიჭებულ უფლებებსა და მოვალეობებზე და ადარებს ერთმანეთს;
- საქართველოს ან სხვა ქვეყნის ისტორიიდან ასახელებს მოვლენებს, როდესაც სახელმწიფო მმართველობაში ცვლილებები მოხდა საზოგადოების ზეგავლენით. აფასებს ამ მოვლენების შედეგებს დემოკრატიის მშენებლობაში წინსვლის (ან უკუსვლის) თვალსაზრისით;
- ახასიათებს დემოკრატიის ძირითად პრინციპებს და უკავშირებს მათ ადამიანის უფლებებსა და მოვალეობებს. მისთვის ცნობილი საერთაშორისო დოკუმენტების დებულებების მეშვეობით ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას (მაგ: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ადამიანის უფლებების ევროპული კონვენცია, ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია და სხვა);
- საქართველოს კონსტიტუციაში მოიძებს მუხლებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეთა საარჩევნო უფლებებს ეხება. მათი

გაანალიზების საფუძველზე მსჯელობს მათ შესაბამისობაზე დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების პრინციპებთან (მაგ: საყოველთაობა, პირდაპირობა, კენჭისყრის ფარულობა, თანასწორობა). საკუთარი სკოლის, დასახლების ან რეგიონის მაგალითზე აფასებს სხვადასხვა საარჩევნო (მაგ: მაჟორიტარული, პროპორციული და ა.შ.) სისტემებს მოქალაქის უფლებების დაცვის პოზიციების.

- ირჩევს მნიშვნელოვან მოვლენას საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან და თანაკლასელების ჯგუფთან ერთად განიხილავს ამ მოვლენაში ადამიანთა მონაწილეობის მოტივაციას, შესაძლებლობებსა და ხარისხს. შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე წერს რეკომენდაციებს საზოგადოებრივი თანამონაწილეობის წასახალისებლად.

## საკითხთა ჩამონათვალი

1. ადამიანის მოთხოვნილებები და შესაძლებლობები;
2. ადამიანი სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში;
3. ოჯახური ვალდებულებები და პასუხისმგებლობა;
4. თვითშეფასება, მიზანდასახულობა და მიღწევა;
5. სრულლოვანება, ახალი შესაძლებლობების და პასუხისმგებლობები;
6. პროფესიონალიზმი და პიროვნების განვითარება;
7. თვითშეფასება, მიზანდასახულობა და მიღწევა;
8. განათლების მიღებისა და პროფესიული მომზადების შესაძლებლობები;
9. საკუთარი ცხოვრების დაგეგმვა;
10. თანასწორობა, თანაბარი შესაძლებლობები - უმრავლესობა და უმცირესობა;
11. კონფლიქტის განვითარებისა და მისი მოგვარების გზები;
12. სამართლიანი სამყარო და მშვიდობიანი თანაარსებობა;
13. საზოგადოებრივი უსაფრთხოება და მისი კომპონენტები;
14. უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო;
15. დემოკრატიის საფუძვლები და მისი მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრებაში;
16. საქართველოს კონსტიტუცია: სახელმწიფოს მოწყობა, მმართველობა და საქართველოს მოქალაქეების მახასიათებლები;
17. სამაგალითო მოქალაქე და ლირსეული ცხოვრება;
18. მრავალფეროვანი საქართველო და მრავალფეროვანი სამყარო;
19. მოქალაქის მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
20. სამართალი და მორალი;
21. სამართლიანობა, კანონიერება და მართლწესრიგი;
22. თავისუფალი საზოგადოება და არჩევანი;
23. დემოკრატიული მმართველობის პრინციპები და მოდელები;
24. მოქალაქე და მოხელე - პასუხისმგებლობათა განაწილება;
25. თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლები;
26. საზოგადოებრივი აზრი, გადაწყვეტილებები და მათი მიღების

- ფორმები;
27. მონაწილეობის კულტურა: შესაძლებლობები, ფორმები და მექანიზმები;
  28. გამჭვირვალობა და საჯაროობა;
  29. ადამიანის უფლებების დაცვის საშუალებები: თავისუფალი, სამართლიანი სასამართლო და სამართალდამცავები;
  30. საზოგადოებრივი დაკვეთა და სახელმწიფო ვალდებულებები.

## **სწავლა-სწავლების ძირითადი მიღებები**

### **და მეთოდოლოგია**

#### **სკოლის და მასწავლებლის მნიშვნელობა სამოქალაქო აღზრდაში**

მოსწავლეების, მათი მშობლების, მასწავლებლების, დირექტორისა თუ გარემომცველი საზოგადოების აქტიური მონაწილეობა განაპირობებს მიზნების (ზოგადი განათლების) მიღწევის ხარისხსა და წარმატებულობას,<sup>9</sup> ნათევამია „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში“. მნიშვნელოვანია, რომ განათლების მუშაკებმა, პოლიტიკოსებმა და სამოქალაქო საზოგადოების წევრებმა მხარი დაუჭირონ სამოქალაქო აღზრდას საზოგადოების ყველა სეგმენტის, ინსტიტუტების ფართო სპექტრისა და ხელისუფლების საშუალებით.

სწავლა აქტიური პროცესია და ამ პროცესს ყველა მოსწავლე განსხვავებულად უდგება. ყველა მასწავლებლის მოვალეობაა, შეუქმნას მოსწავლეებს ისეთი სასწავლო გარემო და მისცეს ისეთი დავალებები, რომელიც მათ სწავლის პროცესში დაეხმარება.<sup>10</sup>

სამოქალაქო განათლების ხელშემწყობი გარემო მოიცავს ნდობის ატმოსფეროს, პარტნიორთა შორის დადებითი ურთიერთობის ფორმებს, ურთიერთპატივისცემისა და ლირსების გაფრთხილების,

<sup>9</sup> ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, 2004.

<sup>10</sup> ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში, სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ - საგავეოთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურისთვის, მე-3 წიგნი, 'შასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009.

ადამიანის უფლებების დაცვისა და პასუხისმგებლობების გასიგრძე-  
განების, გულწრფელი ურთიერთობებისა და თვითგამოხატვისთვის  
კეთილგანწყობილი გარემოს, მასტიმულირებელ სასწავლო სიტუა-  
ციების შექმნას, რაც მოსწავლეთა შინაგანი და გარეგანი სამყაროს  
დაკავშირებით შემოქმედებითი სწავლის გზების პოვნაში გვეხმარება.

მასწავლებელს უდიდესი გავლენა აქვს კლასზე, თუ მისი ქცევა  
ღირსეული, ეთიკური და გულწრფელი ზრუნვის გამომხატველია.  
მასწავლებლის როლიდან გამომდინარე საზოგადოებაში, მისი ქცე-  
ვის მაღალ სტანდატრებს მოელიან როგორც საკლასო ოთახში, ისე  
მის გარეთ.

კარგი მასწავლებლისთვის აუცილებელი თავისებურებების  
ან ფაქტორების ჩამოთვლამ შესაძლოა შეგვზღუდოს და ჩარჩოში  
მოგვაციოს. სწავლება ძალზე რთული საქმიანობაა, რომელიც  
ცოდნასა და უნარ-ჩვევებთან ერთად პედაგოგიურ განწყობას, საღ  
აზრსა და თანაზიარობის უნარს მოითხოვს.

თანამედროვე გარემოს დინამიკური ბუნებიდან გამომდინარე,  
მასწავლებელს არ აქვს სტატიკური როლი, ერთ დღეს შესაძლებე-  
ლია ცოდნის გადამცემი იყოს, ხოლო მეორე დღეს - მსმენელი და  
თანამგრძნობელი. ტრადიციული ურთიერთობის ასეთი მოდელი:  
მასწავლებელი ცოდნის გადამცემი, ხოლო მოსწავლე - მიმღები, -  
სწავლების თანამედროვე კრიტერიუმებს ვეღარ აკმაყოფილებს. ისი-  
ნი არიან სწავლების პროცესის თანაბარუფლებიანი მონაწილეები.

„მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო“ გვთავაზობს იმ  
ასპექტების ჩამონათვალს, რომელსაც სამოქალაქო განათლების (და  
არა მარტო) მასწავლებლის კომპეტენცია უნდა მოიცავდეს:

- ცოდნა;
- დამოკიდებულებები და ქცევები (ცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა  
მოიქცე მოცემულ კონტექსტში და რატომ უნდა მოიქცე ასე);
- განწყობები (ცვლილებებისათვის მზაობა, მოტივაციის გრძნობა);
- პროცედურული უნარები (ცოდნა იმისა, თუ როგორ შეასრულო  
სამუშაო);
- შემეცნებითი უნარები (კრიტიკული აზროვნება და ანალიზი);
- გამოცდილებაზე დაფუძნებული უნარები (ცოდნა იმისა, თუ რო-


გორ უნდა მოახდინო კონკრეტულ შემთხვევაზე რეაგირება არ-სებულ ინფორმაციაზე დაყრდნობითა და სოციალური უნარების გამოყენებით).<sup>11</sup>

ორმაგი სტანდარტების საფრთხის თავიდან ასაცილებლად არანაკლებ მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება იმ ფასეულობებსა და პრინციპებზე, რომელიც მოსწავლის უახლოესი კონტექსტებისთვის არის დამახასიათებელი. თუ სწავლების პროცესში მაგალითის (უსიტყვო სწავლების) ძალასა და მნიშვნელობას გავითვალისწინებთ, ყურადღებით და სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ იმ გარემოს სამოქალაქო ღირებულებებს, რომელშიც მოსწავლეს უხდება ცხოვრება და ურთიერთობა (იხ. სქემა №1 „მოსწავლის უახლოესი კონტექსტები“). სქემა, მოგვიანებით სამოქალაქო სწავლების ზოგადი ორგანიზების თვალსაჩინოდ წარმოდგენაშიც დაგვეხმარება.

სამოქალაქო აღზრდის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება იყოს საზოგადოებრივი შრომა, რომელიც ინტეგრირებული უნდა იყოს სკოლის როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ სასწავლო გეგმაში. ის სწავლების ხელშემწყობ ფაქტორად უნდა გამოვიყენოთ. სკოლამ მოსწავლეებს, არა მხოლოდ, საკუთარი სკოლისა და საზოგადოების სამსახურის შესაძლებლობები უნდა გააცნოს, არამედ საზოგადოებრივი საქმიანობის შესრულებისთვისაც უნდა მოამზადოს. მათ უნდა შევუქმნათ როგორც ხელმძღვანელობის, თვითმმართველობის, საზოგადოებრივი საქმიანობის, ისე საკუთარ გამოცდილებაზე რეფლექსის რეგულარული შესაძლებლობები.<sup>12</sup>

11 პ. ბრეტი, პ. მომპოინტ-გელარდი, მ. ე. სალემა, მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო, რა უნდა გააკეთოს თითოეულმა მასწავლებელმა სამოქალაქო განათლებისა და ადამიანი უფლებების შესახებ სწავლების ხელშესაწყობად, ‘მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი’, 2009, გვ. 11-12.

12 Margaret Stimmann Branson, The Role of Civic Education, 1998



სქემა №1: მოსწავლის უახლოესი კონტექსტები

### სწავლების მიმართულებები

დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება სასკოლო კულტურის განუყოფელი კომპონენტია, რადგან წარმოადგენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვისა და ურთიერთობების დამყარების საშუალებას.<sup>13</sup>

13 პ. ბრეტი, პ. მომპოინტ-გელარდი, მ. ე. სალემა, მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო, რა უნდა გააკეთოს თითოეულმა მასწავლებელმა სამოქალაქო განათლებისა და ადამიანი უფლებების შესახებ სწავლების ხელშესაწყობად, ‘მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი’, 2009, გვ. 17.

მიმართულებების ჩამოყალიბებას მარტივიდან რთულისკენ, კონკრეტულიდან ზოგადისკენ პრინციპი დაედო საფუძვლად. სა-მივე მიმართულება ერთადერთი საერთო მიზნის - მოქალაქედ ფორმირების მიზანს ემსახურება. მათი მოცემული სახით წარმოდგენის არსი მიზნისკენ სავალი გზის - სწავლა/სწავლების გამარტივებაა. ეს მიმართულებები, რომლებიც იმავდროულად სამოქალაქო საზოგადოების საფუძველიც არის ასეა წარმოდგენილი: პიროვნული განვითარება, მდგრადი განვითარება, მმართველობა.

პიროვნული განვითარება ინდივიდუალური თვითგანვითარები-სა და სხვების განვითარების პროცესია. ინდივიდუალურ დონეზე პიროვნული განვითარება მოიცავს იმ მიზნებს, გეგმებსა და ქმედებებს, რომლებიც მიმართულია შემდეგი ამოცანის/ების შესრულებაზე:

- თვითანალიზის განვითარება;
- თვითცოდნის განვითარება;
- იდენტობის ძიება ან განახლება;
- შესაძლებლობების ან ნიჭის განვითარება;
- პოტენციალის განსაზღვრა და განვითარება;
- ადამიანური კაპიტალის განვითარება;
- ცხოვრების ხარისხის ამაღლება;
- პიროვნული განვითარების გეგმის განსაზღვრა და შესრულება.<sup>14</sup>

მდგრადი განვითარება - ცვლილებათა პროცესია, რომელშიც ბუნებრივი რესურსების მოხმარება, ინვესტიციები, მეცნიერულ-ტექნიკური განვითარება, პიროვნების განვითარება და ინსტიტუციური ცვლილებები ურთიერთშეთანხმებულია. ის ამყარებს ადამიანის მოთხოვნილებებისა და მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად საჭირო აწყობა და სამომავლო პოტენციალს. გარკვეულნილად საუბარია ადამიანთა ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფაზე.<sup>15</sup> უფრო ხშირად მდგრად განვითარებას განმარტავენ, როგორც „განვითარებას, რომელიც აწყობს მოთხოვნებს იმგვარად აკმაყოფილებს, რომ მომავალ თაობებს არ ართმევს მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესაძლებლობას“.<sup>16</sup>

14 [http://en.wikipedia.org/wiki/Personal\\_development](http://en.wikipedia.org/wiki/Personal_development)


15 [http://en.wikipedia.org/wiki/Sustainable\\_development](http://en.wikipedia.org/wiki/Sustainable_development)

16 United Nations. 1987., „Report of the World Commission on Environment and Development..„ General Assembly Resolution 42/187, 11 December 1987. Retrieved: 2007-04-12; Smith, Charles; Rees, Gareth (1998). *Economic Development, 2nd edition*. Basingstoke: Macmillan. ISBN 0333722280

მმართველობა მართვის აქტივობაა. ის უკავშირდება იმ გადაწყვეტილებებს (ინდივიდუალურ, ოჯახის, თემის, ქვეყნის დონეზე), რომელიც განსაზღვრავს მოლოდინებს, ძალაუფლების მინიჭებას ან საქმიანობის კონტროლს. ის მოიცავს დამოუკიდებელ ან მენეჯმენტისა და ლიდერობის პროცესების სპეციფიკურ ნაწილს<sup>17</sup>.

სწავლების შედეგად მოსწავლეს უნდა განუვითარდეს სამოქალაქო კომპეტენციის სამი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტი: მოქალაქეობის ცოდნა, მოქალაქეობის უნარ-ჩვევები და მოქალაქეობრივი დამოკიდებულებები. ამის შესახებ დეტალურ ინფორმაციას იხილავთ ქვეთავში „სამოქალაქო კომპეტენციები“.

### სამოქალაქო აღზრდის მეთოდოლოგია



მეთოდოლოგია ეყრდნობა გრეგორი ბეითსონის „ადამიანი-გარე-მოს“ სისტემის ლოგიკური დონეების კონცეფციას და შესაბამის მეთოდოლოგიურ სქემას. ბეითსონის თანახმად, ადამიანი საკუთრივ და მის გარშემო არსებული ფიზიკური, სოციალური თუ გეოპოლიტიკური სინამდვილე შესაძლოა განვიხილოთ, როგორც ერ-

<sup>17</sup> <http://en.wikipedia.org/wiki/Governance>

თიანი სისტემა, რომელსაც სხვადასხვა ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული დონეები გააჩნია. ამ დონეების ურთიერთმიმართება ჩვენს შემთხვევაში შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ: იმის მიხედვით, თუ რა არის სამოქმედო მიზანი, შესაძლოა განსხვავებული მასშტაბისა და ზოგადობის დონეები გამოვყოთ, მაგ., ზემოთ მოყვანილი სქემისაგან განსხვავებით, შესაძლოა სქემაში ჩავრთოთ „ოჯახი“, „თემი“, „საზოგადოება“, და ა.შ. ამდენად, ბეითსონის სქემა არ წარმოადგენს დოგმას. მიდგომის პლუსი სწორედ მისი მოქნილობაა.

### **მასწავლებლის/აღმზრდელის მუშაობის პრინციპები<sup>18</sup>**

სააღმზრდელო მუშაობა შემდეგ პრინციპებს უნდა ემყარებოდეს:

- **აღმზრდის მთლიანობა** - სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალური და სულიერი განვითარებისაკენ. სააღმზრდელო მუშაობის მთავარი პრინციპი ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანსაღი მოქალაქის აღმზრდაა.
- **შემოქმედი, აქტიური პიროვნების აღმზრდა** - ყველა ბავშვი უნიკალურია. ისინი დაჯილდოებულნი არიან განსხვავებული ნიჭითა და შესაძლებლობებით. შესაბამისად, მასწავლებლის/აღმზრდელის ფუნქციაა მოსწავლის შინაგანი ძალების აქტივაცია და მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა.
- **მოსწავლეთა ჩართულობა** - ეს პრინციპი ხელს უწყობს მოსწავლეებში პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის განვითარებას. მასწავლებლმა/აღმზრდელმა მოსწავლეთა ჩართულობის ხელშესაწყობად საშუალება უნდა მისცეს მათ მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზემები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვისა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში. დამრიგებელმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები. ამგვარი ჩართულობა მოსწავლეებს გამოუმუშავებს ისეთ უნარ-ჩვევებს, რომლებიც დაეხმარება მათ დამოუკიდებლად მოაგვარონ ცხოვრებაში წამოჭრილი სირთულეები და ხელს შეუწყობს თავისუფალი პიროვნების ფორმირებას.

18 ნინო ლაბარტყავა და სხვ., ესგშც, 2010წ. - სადამრიგებლო საათის პროგრამა.

- **თანამშრომლობის პრინციპი -** მასწავლებლის/აღმზრდელის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობას. მასწავლებლის/აღმზრდელის მუშაობის მიზანი უნდა იყოს ჯგუფში თანამშრომლობითი გარემოს შექმნა.

### **რა არის ინტერაქტიური სწავლება?**

ინტერაქტიური სწავლება არის თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომა, რომელიც ეყრდნობა მასწავლებლისა და მოსწავლის ახალი როლების ძიებასა და ჰუმანიზმის პრინციპებს. ის მიზნად ისახავს მასწავლებელზე ორიენტირებული ავტორიტარული სასწავლო პროცესის შეცვლას, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით, რომელიც ითვალისწინებს ამ უკანასკნელის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. ინტერაქტიურ სწავლებას შემოაქვს პედაგოგიკაში სწავლების და ცოდნის შეფასების ახალი სტრატეგიები.

აქედან გამომდინარე, იცვლება სწავლების მიზანი. იგი ორიენტირებული ხდება არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

მოსწავლე ინტერაქტიური სწავლების სუბიექტია, მისი აქტიური მონაწილეა. სწავლებას საფუძვლად ედება მოსწავლის პირადი გამოცდილება, პირადად მისი პიროვნული თვისებები და ცოდნა.

სწავლების პროცესისადმი ეს ახალი მიდგომა ეყრდნობა მნიშვნელოვან საგანმანათლებლო მიმდინარეობას - კონსტრუქტივიზმს. კონსტრუქტივიზმის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ვასნავლოთ მოსწავლეებს ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება - შენება.

ასევავებენ ცოდნის ორ სახეს: ერთი მხრივ, აქტიური სწავლება-სწავლის პროცესში კონსტრუირებულ, კვლევა-ძიების შედეგად მიღებულ ცოდნას და მეორე მხრივ, ფაქტობრივ, პასიურად შეძენილ ცოდნას. როდესაც სწავლება-სწავლის პროცესი მოსწავლის კვლევითი ინტერესებისაკენ არის მიმართული, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ინფორმაციის მოპოვების, პრობლემათა გადაჭრის და კომუნიკაციური უნარები.

თანამედროვე პედაგოგიკაში, ძირითადად, შემდეგი სწავლის მეთოდები გამოიყოფა:

- კონკრეტული დავალების დასწავლა („ტექნოლოგიურად“ აგებული გაკვეთილი);
- სასწავლო-კვლევითი საქმიანობა (ახალი ცოდნის ძიება; ახალი გამოცდილების, უნარ-ჩვევების ათვისება);
- თამაშის ორგანიზება (სიტუაციური მოდელირება, როლური თამაშები);
- დისკუსია (დიალოგი, კომუნიკაცია).

### **ტექნოლოგიური სწავლების მეთოდები**

XX საუკუნეში მსოფლიო პედაგოგიკა ცდილობდა სასწავლო პროცესის ტექნოლოგიზაციას, რაც გულისხმობდა სასწავლო პროცესის ტექნიკური საშუალებებით ორგანიზებას.

ამჟამად, ტექნოლოგიური სწავლების მეთოდები არ გულისხმობს მხოლოდ სასწავლო პროცესში ტექნიკური საშუალებების გამოყენებას. ის მოიცავს სასწავლო პროცესის კონსტრუირებას, რაც ნიშნავს:

- შედეგზე ორიენტირებული კონკრეტული სასწავლო მიზნების დასახვას;
- დასახული მიზნების შესაბამისად სასწავლო მასალების მომზადებას;
- სასწავლო პროცესში მიმდინარე შედეგების შეფასებას;
- სასწავლო პროცესის საჭიროებისამებრ კორექციას;
- საბოლოო შედეგების შეფასებას.

### **კვლევითი სწავლების მეთოდები**

სწავლების პროცესის კვლევითი მიმართულება გულისხმობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას, რაც ხორციელდება მოსწავლეთა უშუალო გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ეს მიდგომა უკავშირდება „თანამედროვე აღზრდის“ ევროპაში გავრცელებულ მიმართულებასა და ამერიკულ „პროგრესულ აღზრდას“. ორივე მიმართულება სწავლების პროცესს აგებს ბავშვების გამოცდილებაზე.

სწავლების ასეთი მოდელის მიზანია, არა მხოლოდ ახალი ცოდნის შეძენა, არამედ უკვე არსებული ცოდნის გადამუშავებაც. მასწავლებელმა დიალოგის, წარმოსახვის, ანალოგიების, მეტაფორის და სხვა ხერხების გამოყენებით უნდა წაახალისოს მოსწავლეები და ხელი შეუწყოს შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

პედაგოგიური გარემო ხელს უწყობს მოსწავლეს, დამოუკიდებლად ჩასწოდეს შესასწავლი მოვლენისა თუ ცნების არსს და გადაჭრას მის წინაშე არსებული პრობლემა. მოსწავლე, უპირველეს ყოვლისა, გამოყოფს პრობლემას, შემდეგ დასახავს მისი გადაჭრის ალტერნატიულ გზებს. არსებული ინფორმაციის საფუძველზე იკვლევს მათ, აკეთებს არჩევანს და გამოაქვს დასკვნები. ავლებს პარალელს მიღებულ დასკვნებსა და ახალ მონაცემებს შორის.

კვლევითი, ძიებითი მიმართულება სასწავლო პროცესში დაკავშირებულია კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებასთან. ამისათვის მასწავლებელმა საკლასო ოთახში უნდა შექმნას შემოქმედებითი სასწავლო გარემო.

## სწავლება თამაშის მეშვეობით

თამაში რთული სოციალურ-კულტურული ფენომენია. მას მრავალი მეცნიერება შეისწავლის, მათ შორის-პედაგოგიკაც.

პედაგოგიურ გამოკვლევათა დიდი ნაწილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თამაშის გამოყენებას სასწავლო მიზნებისათვის. გამოყოფენ სასწავლო პროცესში გამოყენებული თამაშის რამდენიმე სახეს: მოდელირებას, იმიტაციას და შეჯიბრს.

დიდაქტიკური თამაშებით წარმართულ სწავლების პროცესში ოთხი ეტაპი გამოიყოფა:

**1. ორიენტაცია** - მასწავლებელი წარადგენს შესასწავლ თემას, აუხსნის თამაშის წესებს. ზოგადად, მიმოიხილავს თამაშის მიმდინარეობას;

**2. მომზადება** - მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს სცენარს, თამაშის ამოცანებს, წესებს, როლებს, სხვა პროცედურებს.

**3. თამაშის ჩატარების პროცესი;**

**4. თამაშის განხილვა** - მოსწავლეები მსჯელობენ თამაშზე, მის სიძნეებისა და წარმატებებზე. ხდება იმიტაციის შედარება რეალურ ცხოვრებასთან.

## დისკუსიის საშუალებით სწავლება

თანამედროვე დიდაქტიკურ მეთოდებს შორის ერთ-ერთი წა-  
მყვანი ადგილი უჭირავს სასწავლო დისკუსიას. იგი თავისი არსით  
დიალოგის ხასიათს ატარებს. დისკუსიის მეთოდი მოსწავლეებს უვი-  
თარებს კომუნიკაციის, მსჯელობის კულტურას. დისკუსიის მეშვე-  
ობით შესაძლებელია იდეების, შეხედულებების, მტკიცებულებების  
ურთიერთგაცვლა ჭეშმარიტების დასადგენად.

დისკუსიის სწორი წარმართვისათვის აუცილებელია მისი ორგა-  
ნიზება და რეგულირება, დისკუსიის მონაწილეები უნდა იცავდნენ წე-  
სებს, რომლებსაც მასწავლებელთან ერთად თავად ჩამოაყალიბებენ.

დისკუსიის წარმართვის რამდენიმე ფორმა არსებობს. როგორც  
ზემოთ აღვნიშნეთ, დისკუსია თავისი არსით დიალოგის ხასიათს ატ-  
არებს. დიალოგი ურთიერთობის საუკეთესო ფორმაა, რომლის საშუ-  
ალებითაც პიროვნებებს შორის პრობლემის არსებობის შემთხვევაში  
შესაძლებელია სწორი გადაწყვეტილების პოვნა, ისე, რომ არც ერთი  
მხარე არ დაზარალდეს.

- დიალოგი არის თანამშრომლობა, რომლის მიზანია შეთანხმება;
- დიალოგის დროს ერთი მხარე უსმებს მეორეს, რათა მხარეები  
გაერკვნენ და აღმოაჩინონ განსხვავებები პოზიციებს შორის;
- დიალოგი მოითხოვს ადამიანებისა და მათი იდეების პატივისცე-  
მას;
- დიალოგი იძლევა შესაძლებლობას ღია კომუნიკაციისათვის მა-  
შინ, როდესაც მოსწავლეები განიხილავენ პრობლემურ საკითხე-  
ბს.

ეს მეთოდი 2000 წლისაა. იგი წარმოიშვა ბერძნულ ფილოსო-  
ფიაში. მისი თანამედროვე სახელწოდებაა „კრიტიკული აზროვნება“.

დიალოგის წარმატებით და შედეგიანად წარიმართვისათვის,  
აუცილებელია შემდეგი წესების დაცვა:

1. აზრების გაზიარების დროს ერთმანეთის პატივისცემა (შესაძლე-  
ბელია არ დაეთანხმოს სხვის მოსაზრებას, მაგრამ არ აქვს საუ-  
ბარი შეაწყვეტინების უფლება);
2. საკუთარი მოსაზრების ისე გამოხატვა რომ სხვას შეურაცხყოფა  
არ მიადგეს;
3. სიმართლის დასაბუთების მაქსიმალური მცდელობა (დეზინფორ-  
მაციის ამოცნობა და შესწორება);
4. საკუთარი მოსაზრების გასაგები ენით გამოხატვა.

მასწავლებლის ვალია არ დაიკავოს რომელიმე კონკრეტული პოზიცია, არამედ დისკუსია ისე წარმართოს, რომ დიალოგში განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული აზრი გამოიკვეთოს.

დისკუსის ჩატარებაში, მას დაეხმარება სწორად დასმული შეკითხვები, რომელიც სწორ მიმართულებას მისცემს მოსწავლეთა აზროვნებას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ შეიძლება რამდენიმე საკლასო საათი დაჭირდეს, ვიდრე დისკუსის მონაწილეთა უმრავლესობა თავს კომფორტულად იგრძნობს და შეძლებს თავისი აზრის თავისუფლად გადმოცემას.

გაკვეთილზე წარმოებულ დიალოგს საკმაოდ დიდი დატვირთვა აქვს. მის ჩასატარებლად აუცილებელია მოსწავლეებმა იცოდნენ დიალოგის წარმართვის წესები. მათ უნდა იცოდნენ, რომ საკამათო საკითხები შესაძლოა ვერ გადაიჭრას დიალოგით, მაგრამ ეს პროცესი დაეხმარება მათ იფიქრონ პრობლემაზე, ერთმანეთს გაუზიარონ შეხედულებები, აზრები, ჩაებან დებატებში და ხელი შეუწყონ ურთიერთთანამშრომლობის ატმოსფეროს შემნას.

## სწავლების ეფექტური მეთოდები

**გონებრივი იერიში წარმოადგენს ჯგუფური შემოქმედებითი მუშაობის მეთოდს,** რომლის მიზანია კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად მაქსიმალური რაოდენობის იდეების შეგროვება და განხილვა.

გონებრივი იერიში გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც არავინ იცის კითხვაზე პასუხი. საჭიროა, განსახილველ საკითხზე რაც შესაძლებელია ბევრი იდეებისა და მოსაზრების შეგროვება და ჯგუფთან კონსენსუსის საფუძველზე სასურველი რაოდენობის იდეების შერჩევა.

გონებრივი იერიშის დროს დიდი რაოდენობით იდეები გროვდება, რომელთაგან საბოლოოდ საჭირო რაოდენობის იდეები შეირჩევა.

გონებრივი იერიშის პროცესი საკმაოდ მარტივია. თავდაპირველად მასწავლებელი გამოყოფს განსახილველ თემას და ადგენს გეგმას. გონებრივი იერიშის დაწყებამდე აუცილებელია ჯგუფში მუშაობის წესებზე შეთანხმება. მაგალითად, ყველა იდეა სწორია და ყველა მათგანი უნდა იყო განხილული. გონებრივი იერიშის პროცეს-

ში არაფერს განვსჯით და ვაფასებთ; მთავარია იდეების რაოდენობა და არა ხარისხი; მონაწილეებისა და წამყვანებისათვის ყველა იდეა მისაღებია.

მოსწავლეები დასმული საკითხის ირგვლივ ასახელებენ რაც შეიძლება ბევრ იდეას. მასწავლებელი მათ დაფაზე ან ფლიპჩარტზე ინიშნავს. დროის ლიმიტი წინასწარაა განსაზღვრული - მაგალითად 10-15 წთ.

იდეების დაწერის შემდეგ მასწავლებელი მათ ხმამაღლა კითხულობს, ისე რომ ჯგუფის ყველა წევრისათვის გასაგები იყოს; შემდეგ მოსწავლეები აფასებენ იდეებს დავუშავათ 3 ან 5 ბალიან სკალაზე და მსგავს იდეებს აჯგუფებენ. საბოლოოდ შეირჩევა ყველაზე სასურველი, მაღალ ქულიან იდეები.

როგორც აღვნიშნეთ, გონიერივი იერიში მიჰყავს მასწავლებელს; მას უნდა შეეძლოს კარგი მოსმენა, უკუკავშირი და მონაწილეების წახალისება იდეების მისაწოდებლად. მან ხელი უნდა შეუწყოს პროცესის მიმდინარეობას, რომ რაც შეიძლება მეტი იდეა და მოსაზრება შეაგროვოს. მასწავლებელი პროცესში წეიტრალურია.

გონიერივი იერიშის შემდეგ ხდება შედეგის შეფასება.

გონიერივი იერიშის დროს ჯგუფის მოსწავლეები რაოდენობა არ უნდა იყოს ძალიან დიდი, თუმცა დიდი ჯგუფის შემთხვევაშიც მასწავლებელმა უნდა შესძლოს ყველა მოსწავლის პროცესში ჩართვა. სასურველია მონაწილეები ისხდნენ წრეში, შესაძლებელია მაგიდის ირგვლივ, ხოლო მასწავლებელი ისე იდგეს ჯგუფის წინ, რომ ყველა მხრიდან კარგად ჩანდეს. გონიერივი იერიშის ჩასატარებლად აუცილებელია დაფა ან ფლიპჩარტი და ფერადი მარკერები.

**ინტერაქტიური მინი ლექცია** არის მცირე ზომის ლექცია, რომლის მიზანია აუდიტორიისათვის გარკვეული ინფორმაციის გადაცემა.

ლექცია მოსწავლეებს უფრო მეტად აძლევს ცოდნას და ნაკლებად იძლევა უნარების განვითარების შესაძლებლობას. გასათვალისწინებელია, რომ ლექციის დროს უფრო აქტიური მასწავლებლია, ხოლო მოსწავლეები შედარებით პასიურ მდგომარეობაში არიან.

სალექციოდ შეიძლება შეირჩეს ნებისმიერი ტიპის მასალა. მასწავლებელმა წინასწარ უნდა მოამზადოს თეორიული და ვიზუალური მასალები სხვადასხვა წყაროებიდან, გრაფიკები, ფოტოები და ა.შ. რათა ლექცია საინტერესო იყოს მოსწავლეებისათვის. თვალსაჩინოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ვიზუალური ტიპის მოსწავ-

ლექტისათვის, რომელთაც მხედველობითი მეხსიერება უკეთ აქვს განვითარებული.

სალექციო მასალა ლოგიკური თანამიმდევრობით უნდა იყოს დალაგებული (მარტივიდან რთულისაკენ) და ადვილად გასაგები უნდა იყოს მოსწავლეებისათვის; ამავე დროს, ის არ იყოს გადატვირთული ძალიან ბევრი განსხვავებული ტიპის ინფორმაციით — სასურველია ერთი ლექცია ერთ თემას ეთმობოდეს.

ლექციის წაკითხვისას მასწავლებელმა სასურველია მოსწავლეები ისე განალაგოს, რომ ხელი შეეწყოს მათ აქტიურ მონაწილეობას. შესაბამისად, სასურველია არა ფრონტალური (როდესაც მასწავლებელი მსმენელის წინ დგას დაფასთან), არამედ სადისკუსიო სტილის (მოსწავლეები და მასწავლებელი განლაგებული არიან წრეში, მაგიდის ირგვლივ ისე, რომ ყველა ერთმანეთს კარგად ხედავს და მასწავლებელს აქვს საშუალება, მიუახლოვდეს ნებისმიერ მოსწავლეს) გამოყენება. მართალია ლექცია სწავლების შედარებით პასურ ფორმადაა მიჩნეული, მაგრამ მასწავლებელმა მაინც უნდა წაახალისოს მოსწავლეები ჩაერთონ ლექციის მსვლელობაში და დასვან მათთვის საინტერესო კითხვები. მასწავლებელმა მუდმივად უნდა იქონიოს მხედველობითი კონტაქტი აუდიტორიასთან. პერიოდულად შეამოწმოს, რამდენად უსმენს აუდიტორია და დასვას შესაბამისი კითხვები.

ლექციის ბოლოს მასწავლებელი დასკვნის სახით აჯამებს ძირითად პუნქტებს.

მინი ლექციის ჩატარებას არ სჭირდება განსაკუთრებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, თუმცა სასურველია ყოველთვის გამოყენებულ იქნას ვიზუალური მასალა- გრაფიკები, ფოტო მასალა, ცხრილები და ა.შ. ლექცია ასევე შეიძლება ჩატარდეს ელექტრონული სადემონსტრაციო მასალის (სლაიდები, ვიდეო და. ა.შ.) გამოყენებით, რასაც სპეციალური აღჭურვილობა სჭირდება- ლეპტოპი და პროექტორი.

დისკუსია არის ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი მეთოდი, რომლის მიზანია სხვადასხვა მიდგომის, იდეისა თუ პრობლემების ჯგუფში განხილვა.

თუ ლექციის დროს მასწავლებელი აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას, დისკუსიის დროს, პირიქით, მოსწავლეები არიან აქტიური და მასწავლებელი იღებს მათგან ინფორმაციას. რაც უფრო ინტენ-

სიურია დისკუსია, მით უფრო ეფექტურია ის.

დისკუსია ეფექტური მეთოდია მთელი რიგი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის: მსჯელობა, აქტიური მოსმენა, განსხვავებული აზრის პატივისცემა, არგუმენტების ჩამოყალიბება და სხვა. დისკუსია შეიძლება კარგი მოტივატორი იყოს მოსწავლეებისათვის, რათა მათ დამოუკიდებლად მოიძიონ ინფორმაცია სადისკუსიო თემაზე და უშუალოდ დისკუსიის დროს სათანადო ინფორმაცია ჰქონდეთ.

სადისკუსიოდ შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი თემა, რომლის შესახებაც განსხვავებული აზრი არსებობს. ეს შეიძლება იყოს: მხატვრული ნაწარმოები, ან ამონარიდი, ილუსტრაცია, მოკლე ფილმი, მელოდია და ა.შ. სადისკუსიო თემებს ახლავს ხოლმე შემდეგი კითხვებით: „რატომ?“ „როგორ?“, „რა მოხდებოდა?“, „რა არის გადაწყვეტა“ და ა.შ.

დისკუსიის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლეებს სადისკუსიო თემაზე საკმარისი ცოდნა უნდა ჰქონდეთ, რომ შესძლონ საკუთარი აზრის გამოთქმა, მისი დაცვა ან სხვისი აზრის გაკრიტიკება — წინააღმდეგ შემთხვევაში დისკუსია აზრს დაკარგავს. დისკუსია, როგორც წესი, შემოიფარგლება ორი საწინააღმდეგო აზრის//პოზიციის განხილვით.

დისკუსის წარმატებით ჩატარებაზე პირველ რიგში პასუხისმგებელი მასწავლებელი. მან უნდა დაარეგულიროს პროცესი და შეასრულოს ფასილიტატორის ფუნქცია; მკაფიოდ უნდა განსაზღვროს დისკუსიის ჩატარების ფორმატი: ვინ და რა ხნის განმავლობაში ლაპარაკობს, რა თანამიმდევრობით, როგორ უნდა დაისვას შეკითხვები და ა.შ. მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს დისკუსიაში ყველა მოსწავლის მონაწილეობა, წაახალისოს შედარებით პასიური მოსწავლეები.

მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად უნდა განსაზღვროს დისკუსიის ძირითადი წესები, მაგ.: მოსწავლეები ერთდროულად არ ლაპარაკობენ, არ აწყვეტინებენ სხვებს საუბარს, დისკუსიაში ყველა მონაწილეობს, განიხილავნ სხვების მოსაზრებებს თუ პოზიციებს და არა პიროვნებებს, ყოველი მოსწავლე ასაბუთებს თავის მოსაზრებას, სხვის აზრს პატივს სცემს.

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ დისკუსიის პროცესში ის დომინანტური არ უნდა იყოს, არ უნდა გამოხატოს სიმპათია თუ ანტიპათია მოკამათე მხარეების მიერ გამოთქმული მოსაზრებას, სხვის აზრს პატივს სცემს.

რეპეტისადმი. ის უნდა იყოს ნეიტრალური და ყველასთან ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონდეს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დისკუსიის ეფექტურობისათვის მასში ძალიან ბევრი მოსწავლე არ უნდა მონაწილეობდეს. ამიტომ დიდ ჯგუფთან მუშაობისას მასწავლებელმა უნდა შესძლოს ყველა მოსწავლის ისე ჩართვა, რომ დისკუსიამ თავისი ფუნქცია არ დაკარგოს. მნიშვნელოვანია, რომ დისკუსიისას „მოწინააღმდეგე“ მხარეებში მოსწავლეების თანაბარი რაოდენობა იყოს. სასურველია „მოწინააღმდეგე“ მხარეები ერთმანეთის პირდაპირ განთავსდნენ, ხოლო მასწავლებელს, როგორც დისკუსიის ფასილიტატორს, უნდა შეეძლოს ორივე ჯგუფთან თავისუფალი ურთიერთობა.

დისკუსიის დასრულების შემდეგ აუცილებელია მისი შეჯამება, რასაც თავდაპირველად მასწავლებელი აკეთებს, ხოლო გამოცდილების დაგროვებასთან ერთად მოსწავლეებიც აქტიურად ერთვებიან. შეჯამებისას უნდა გაანალიზდეს როგორც შინაარსი, ანუ რის მომცემი იყო დისკუსია, რა ისწავლეს და ა.შ მოსწავლეებმა, ასევე პროცესი - რამდენად კომფორტულად გრძნობდნენ მოსწავლეები თავს, ადვილი იყო თუ არა წესების დაცვა და ა.შ.

დისკუსიის ჩატარება, როგორც წესი, არ საჭიროებს განსაკუთრებულ გარემოს ან დამხმარე საშუალებებს, თუმცა სასურველია დაფის არსებობა, დისკუსიაში მონაწილე მხარეებს რომ მიეცეთ საკუთარი აზრების წერილობით გამოხატვის საშუალება.

დისკუსია საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელს საშუალებას აძლევს, მოსწავლეთათვის საინტერესოდ და წამახალისებლად წარმართოს სასწავლო პროცესი. დისკუსია მოსწავლეებისათვის ერთ-ერთი საყვარელი და სასიამოვნოდ შესასრულებელი მეთოდია.

საკლასო დისკუსია რამდენიმე ძირითად მიზანს ემსახურება:

1. სხვადასხვა შესაძლებლობების მოსწავლეების ჩართვა სწავლის პროცესში;
2. თანასწორობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული წესების/რეგლამენტის დაცვა;
3. საგაკვეთილო მასალის უკეთ გაგება;
4. საგაკვეთილო მასალაზე დაფუძნებული არგუმენტების ჩამოყალიბება და გამოყენება საკუთარი პოზიციის გასამყარებლად;
5. საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების შეძენა, საკუთარი თავისადმი

რწმენის განმტკიცება.

- დისკუსიის წარმოება: საკლასო დისკუსიის რამდენიმე ფორმა არ-სებობს: მაგ: ჯგუფებში; მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის, ან მოსწავლეებს შორის.

დისკუსიის წარმოება ხელს უწყობს მოსწავლეებში ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა:

- აქტიური მოსმენა;
- საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება და არგუმენტაცია;
- განსხვავებული აზრის მოსმენა და გათვალისწინება;
- დასკვნების გამოტანა;
- თანამშრომლობა.

გავრცელებულია დისკუსიის შემდეგი ფორმები:

„მრგვალი მაგიდა“ – საუბარი, რომელშიც თანაბარ საწყისებზე მონაწილეობს მოსწავლეთა მცირე ჯგუფი (4-5 კაცი), ხდება აზრთა ურთიერთგაცვლა, როგორც ერთმანეთთან, ასევე – კლასთან.

„პანელური დისკუსია“ – ჯგუფს ჰყავს წინასწარ შერჩეული ლიდერი. ჯგუფი საკითხს განიხილავს დამოუკიდიებლად და შემდეგ წარუდგენს კლასს. ჯგუფის თითოეულ წევრს აქვს თავისი მოსაზრებების საჯაროდ გამოთქმის უფლება.

„ფორუმი“ – ჰყავს პანელურ დისკუსიას, რომლის დროსაც ჯგუფი ახდენს აზრთა და იდეათა ურთიერთგაცვლას კლასთან.

„სიმპოზიუმი“ – მონაწილეები წარმოადგენენ ინფორმაციებს და დასკვნებს. ისინი გამოთქვამენ საკუთარ თვალსაზრისს ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ, აგრეთვე, უპასუხებენ კლასის შეკითხვებს.

## დებატები

დებატები – დისკუსიის ერთ-ერთი ფორმაა და აგებულია მონაწილეთა წინასწარ დაგეგმილ გამოსვლებზე. წარმომადგენლებს ირჩევენ ჯგუფიდან. კამათი იწყება ორი დაპირისპირებული მხარის თითო წარმომადგენლის გამოსვლით. მათ შემდეგ ტრიბუნა ეთმობათ თითოეული მხარის სხვა მონაწილეებსაც შეკითხვებისა და კომენტარებისთვის. მასწავლებელმა თითოეული გამომსვლელისთვის უნდა დაადგინოს განსაზღვრული დრო.

როგორც წესი, დებატების დაწყებამდე და მისი დასრულების

შემდგომ კლასის საერთო შეხედულება ფასდება, მაგალითად:

პოზიცია: „ . . . . „	დებატების დაწყებამდე	დებატების დასასრულს
გამართლებულია		
გაუმართლებელია		
ზოგჯერ გამართლებულია ზოგჯერ გაუმართლებელია		

### დებატების გამოყენება

მაგალითად, სიკვდილით დასჯის თემა საკმაოდ აქტუალურია კულტურული, პოლიტიკური და ზოგადად ღირებულებითი თვალსაზრისით. მოსწავლეები თემის გარშემო მრავალფეროვან ინფორმაციას იკვლევენ. ერთი სიკვდილით დასჯის გამამართლებელ არგუმენტებს პოულობენ, მეორენი, პირიქით, – სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგო არგუმენტებს. შესაძლოა ისე მოხდეს, რომ ორივე გუნდის არგუმენტები მესამემ საკუთარი პოზიციების დასაცავად გამოიყენოს. ამ ასაკის ბავშვებისათვის დამახასიათებელი მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმის მიუხედავად, აქტიური მეთოდებით ჩატარებული ოცამდე თემის გავლის შემდეგ კლასი საკმაოდ გახსნილი და გულახდილი იქნება. ბავშვები პიროვნული ამბიციებისა და ახირებების მიხედვით კი არ გააკეთებენ არჩევანს, არამედ – არგუმენტებისა და კრიტიკუმების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.

მასწავლებლის მისიაა მოსწავლეებს დებატებით სწავლების სტრაგეგია დაანახოს. „ამოგზაუროს“ შემეცნების ამ უაღრესად საინტერესო გზაზე, რა დროსაც ცოდნის, განცდის, ემოციისა და დამოკიდებულების სინთეზი მიიღწევა.

### მაინც, რა უპირატესობა აქვს დებატებს?

- დებატები სასწავლო პროცესის შესახებ ფიქრი და მასზე დაკ-

ვირვებაა. მოსწავლებმა ბავშვობის ასაკიდან უამრავი რამ ისწავლეს. თავიდან ყველაფერი ერთი სიტყვის წარმოთქმით დაიწყო, შემდეგ ყველაფერი გამრავლდა და გაიშალა. დებატები არის ის საშუალება, რომელიც დასაშვებისა და დაუშვებელის, ნაწილისა და მთელის, სიტყვისა და საქმის პრინციპებს შეისწავლის, უკიდურესობებს გამოკვეთს და მსგავსება-განსხვავებებს წარმოაჩენს.

- დებატები ინფორმაციის მოპოვების ეფექტიანი მეთოდია. მოსწავლემ დებატებში წარმატებისათვის უამრავი ახალი მასალა უნდა მოიძიოს. აქტიურად უსმინოს ოპონენტის ინფორმაციას და ის დიალოგის წარმართვისათვის გამოიყენოს.
- ჩვეულებრივ კამათი შეიძლება კონტროლს აღარ დაემორჩილოს. დებატებისას პროცესები სრულად კონტროლდება. თავდაპირველად, მოსწავლეებს წესები საკმაოდ მკაფრი და ძნელად დასაცველი ეჩვენებათ, მაგრამ მათ გარეშე სამართლიანობის შენარჩუნება და პირადი შეურაცხყოფის გამორიცხვა შეუძლებელია.
- დებატები იძლევა კამათის ხელოვნების პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში ასე მნიშვნელოვანია ადამიანისათვის. დებატებისათვის საჭირო უნარები აუცილებელია, როგორც პროფესიული განვითარებისათვის, ასევე ზოგადად სამოქალაქო ცხოვრებისათვის. ლოგიკურ მსჯელობაზე, დამამტკიცებელ მასალაზე, მაგალითებსა და სტატისტიკურ მონაცემებზე დაფუძნებული დასკვნა, ანუ არგუმენტებისა და მტკიცებულებების ერთობლიობა, ქმნის პოზიციას მტკიცეს ან მერყევს.

## მეთოდი „კუთხეები“

მეთოდი „კუთხეები“ გამოიყენება საკლასო დისკუსიის წარმართვისას, კამათის პროვოცირებისა და ჯგუფებს შორის პაექრობის გასაჩაღებლად ორი ან მეტი პოზიციის არსებობისას. ეს სავარჯიშო აქტიურად და ხალისიანად სრულდება. ეს მეთოდი, აგრეთვე, კარგია კლასში ტექსტის კითხვის, ლექციის მოსმენის, ფილმის ჩვენების შემდეგ შთაბეჭდილებების შესაფასებლად, განსხვავებული თვალსაზრისის დასაფიქსირებლად.

მეთოდი „კუთხეები“ მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოთქვან საკუთარი აზრი და დაიცვან თავიანთი პოზიცია. აგრეთვე, ყურადღებით მოუსმინონ სხვების არგუმენტებს და ამის მიხედვით გარკვეული მსჯელობის შემდეგ გაიზიარონ ან არ გაიზიარონ განსხვავებული მოსაზრებები (შეცვალონ ან არ შეცვალონ საკუთარი პოზიცია).

პედაგოგი მოსწავლეებს სთავაზობს სადისკუსიო თემას. მოსწავლეები ინდივიდუალურად ირჩევენ გარკვეულ პოზიციას და იკავებენ საკლასო ოთახში „ამ პოზიციისათვის“ განკუთვნილ ადგილს (შესაძლებელია არჩეულ იქნეს საკლასო ოთახის კუთხეები, მერხები, სადაც კეთდება პოზიციის აღმნიშვნელი წარწერა).

დაჯგუფებული მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მოსაზრებებს და იწყებენ ჯგუფში მსჯელობას, რათა შემდეგ დასაბუთონ თავიანთი ვერსია არგუმენტებით (შესაძლებელია დასაბუთება წერილობით მოხდეს). მოსწავლეები უნდა შეეცადონ, რაც შეიძლება დამაჯერებელი და საინტერესო იყოს პრეზენტაცია.

საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი ეხმარება ჯგუფებს.

მოსწავლეებს შეუძლიათ დისკუსიის მსვლელობისას შეიცვალონ შეხედულება – გადაადგილდნენ ერთი კუთხიდან მეორეში და იმ ჯგუფში გადაინაცვლონ, რომლის მოსაზრებასაც ახლა ეთანხმებიან.

მოსმენის და კამათის დროს მოსწავლეებმა სასურველია გააკეთონ ჩანაწერები, რაც დაეხმარება მათ პოზიციის წერილობით გამოხატვასა და დაცვაში.

### **„მოზაიკა“**

აქტივობა შედგება 4 ეტაპისგან:

I ეტაპი: ძირითადი ჯგუფების შედგენა და მასალის განაწილება.

კლასი იყოფა 4-კაციან ჯგუფებად. ჯგუფის თითოეულ წევრს ურიგდება მასალა, რომელიც ერთი მთლიანი ინფორმაციის (ტექსტის) რაღაც ნაწილს შეადგენს და აქვს გარკვეული რიგითი ნომერი (I, 2, 3, 4). მან ინდივიდუალურად 10 წთ-ის განმავლობაში უნდა დაამუშაოს იგი, შეისწავლოს, რათა შეძლოს მიღებული ინფორმაცია სხვასაც გადასცეს.

II ეტაპი: ექსპერტთა ჯგუფების მიერ მასალის შესწავლა.

ამ ეტაპზე ხდება ე.წ. „ექსპერტთა ჯგუფების“, ჩამოყალიბება.

ვინც ამუშავებს №1 ინფორმაციას, ერთიანდება მაგიდის ირგვლივ, რომლის რიგითი ნომერია 1, ვისაც აქვს ინფორმაცია №2, იკრიბება მეორე მაგიდის გარშემო და ა.შ. აქედან გამომდინარე, თითოეული მაგიდის ირგვლივ აღმოჩნდებიან ერთი და იმავე ინფორმაციის მქონე მოსწავლეები ოთხივე ჯგუფიდან, რომლებიც შემდგომში გადაიქცევიან ე.წ. ინფორმაციის „ექსპერტებად“. ისინი ერთად კითხულობენ და კიდევ ერთხელ სწავლობენ საერთო მასალას, ეძებენ ამ მასალის სხვებისთვის გადაცემის საუკეთესო და ეფექტური გზებს, მეთოდებს. წერენ გეგმას, ხაზავენ სქემებს და ა.შ.

### **III ეტაპი: ძირითად ჯგუფებში დაბრუნება მიღებული ცოდნის გადაცემის მიზნით.**

მოსწავლეები პრუნდებიან თავ-თავიანთ ძირითად ჯგუფებში და რიგითი ნომრის დაცვით (ჯერ გადასცემს | ნომერი, შემდგეგ-II და ა.შ.) წარუდგენენ თავიანთ მასალას ერთმანეთს. ჯგუფის მიზანია მისმა ყველა წევრმა სრულყოფილად აითვისოს თოთოეული წევრის, „ექსპერტის“ მიერ დამუშავებული მასალა.

### **IV ეტაპი: ინდივიდუალური და ჯგუფური პასუხისმგებლობა, მიღებული ცოდნის შეფასება.**

ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია სათანადოდ აითვისოს თანაგუნდელების მიერ მოწოდებული მთელი ინფორმაცია (მოზაიკაც სწორედ ამიტომ ჰქვია, ნაწილებიდან – მთლიანისაკენ). მიღებული ცოდნა შეიძლება შემოწმდეს სხვადასხვა გზით (მაგ.: წერილობითი ფორმით, ზეპირი თხრობით, კითხვა-პასუხით და სხვა სახის წარდგინებით).

### **ნიშანთა სისტემით კითხვა**

ნიშანთა სისტემით კითხვა ტექსტზე მუშაობის ერთ-ერთი ფორმაა. ამ დროს მოსწავლეები ინდივიდუალურად, დამოუკიდებლად კითხულობენ ტექსტს და მინდორზე აკეთებენ გარკვეულ აღნიშვნებს (ტექსტის გასწორივ, ფანჯრით): „V“-ით აღნიშნავენ ნაცნობ ინფორმაციას, „+“-ით ახალ ინფორმაციას, „-“ -ით იმის საპირისპიროს, რასაც ფიქრობდნენ, „?“-ით-გაუგებარ ან ბუნდოვან ინფორმაციას.

სამუშაოს მეორე ეტაპია მასალის დახარისხება სქემის მიხედვით.


შესაძლოა ეს სამუშაო შესრულდეს როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილებსა და ჯგუფებში. ამ ეტაპზე მონაწილეები კიდევ ერთხელ გადავლებენ თვალს თავიანთ აღნიშვნებს და დაანაწილებენ, ახ-არისხებენ მას სქემის მიხედვით.

„V“ ნაცნობი ინფორმაცია	„+“ ახალი ინფორმაცია	„-“ საპირისპირო, რასაც ვფიქრობდი	„?“ გაუგებარ- ია, ბუნდოვანია

ბოლოს ხდება პრეზენტაცია, რომლის დროსაც მონაწილეები კითხულობენ სქემის მიხედვით დახარისხებულ ინფორმაციას.

### ვენის დიაგრამა

გამოიყენება ორი ისეთი ცნების შესადარებლად, რომელთაც როგორც საერთო, ისე განსხვავებული ნიშნები აქვთ. მაგ.: 2 პერსონაჟის, მოვლენის, ცნების და ა.შ. დიაგრამა საშუალებას იძლევა დადგინდეს საერთო და განმასხვავებელი (თვისებები, ნიშნები) მათ შორის. მაგ.: მარცხენა რგოლში იწერება ყველა ის ნიშანი, რომელიც დანაშაულს ახასიათებს, მარჯვნივ – შეცდომის მახასიათებლები. შუაში (რგოლების გადაკვეთის ადგილას) – ყველაფერი, რაც საერთოა დანაშაულისა და შეცდომისათვის.



## ვიცი, ვისწავლე, მინდა ვიცოდე

ნასწავლი მასალის შეჯერების, გამეორებისა და ცოდნის განმტკიცების მიზნით მასწავლებელს შეუძლია ეფექტიანად გამოიყენოს სქემა: „ვიცი“, „ვისწავლე“, „მინდა ვიცოდე“.

სამუშაო სრულდება ინდივიდუალურად, წყვილებსა ან ჯგუფებში. ფურცელი ან დაფა იყოფა 3 ვერტიკალურ გრაფად, რომელთაც ვაწერთ: „ვიცი“, „ვისწავლე“, „მინდა ვიცოდე“.

ვიცი	ვისწავლე	მინდა ვიცოდე

მასწავლებელი მოსწავლეებს მოკლედ უხსნის მათ წინაშე დასმულ ამოცანას და, თუ საჭიროდ ჩათვლის, სვამს კითხვებს პროვოკირებისთვის.

ამის შემდეგ, მოსწავლეები თანმიმდევრობით ავსებენ სამივე გრაფას: „ვიცი“ გრაფაში წერენ ყველაფერს, რაც მათ იცოდნენ განსახილველი სკითხის შესახებ. „ვისწავლე“ გრაფაში წერენ იმას, რაც შეიტყვეს ახალი, ხოლო „მინდა ვიცოდე“ გრაფაში წერენ იმას, რაც მათ აინტერესებთ (რასაც შეიძლება შეკითხვის სახეც ჰქონდეს).

თუ სავარჯიშო სრულდება ჯგუფებში, სამუშაოს დამთავრების შემდეგ ხდება პრეზენტაცია, რომლის დროსაც ჯგუფები არ იმეორებენ უკვე თქმულს, არამედ ავსებენ მათ თავიანთი ინფორმაციით.


სავარჯიშო განსაკუთრებით კარგი და მოსახერხებელია ერთი რომელიმე კონკრეტული თემის შესავამებლად, წინა კლასებში განვლილი მასალის გასახსენებლად და ახალ ნასწავლთან დასაკავშირებლად, ანალიტიკური და კვლევითი უნარის გასავითარებლად.

## T დიაგრამა

ეს სქემა მასწავლებელმა შეიძლება მრავალმხრივ გამოიყენოს. იგი ძალზე მოსახერხებელია საპირისპირო მოსაზრებათა გამოსათქმელად, მოვლენებისა თუ ფაქტების შესაპირისპირებლად და შესადარებლად, მოქმედ გმირთა დასახასიათებლად.

Т სქემა საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ დაპირისპირება განსახილველ საკითხებს (ფაქტებს, მოვლენებს, ადამიანებს, საგნებს და ა.შ.) შორის.


სავარჯიშო კარგია ინფორმაციის დასახარისხებლად (ვთქვათ, დადებითად და უარყოფითად) და დასაჯველუფებლად. სამუშაო სრულდება ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად, მასწავლებლის შეხედულებისამებრ: დაფაზე, რვეულში ან თაბახის ფურცელზე. ივსება ჯერ სქემის მარცხენა მხარე (5 წთ.), შემდეგ – მარჯვენა (5 წთ.).



## აზრობრივი რუკა

აზრობრივი რუკის მიზანია კონკრეტულ საკითხებზე მოსწავლეთა (კლასის) ცოდნის დადგენა-შემოწმება. იგი ხელს უწყობს არსებული ინფორმაციის შეკრება-მობილიზებას, ახალი იდეების დაბადებასა და გამოხატვას.

წრის შუაგულში ინერება ერთი ან ორი სიტყვა (წაწარმოების სათაური, საკვანძო სიტყვა, გამონათქვამი, პერსონაჟის სახელი, ადგილის სახელწოდება და ა.შ...), ირგვლივ კი - ყველა აზრი, რომელიც ამ სიტყვას უკავშირდება.



„აზრობრივი რუკა“ წარმოადგენს ეფექტიან საშუალებას პერსონაჟის, მოვლენის, იდეის დასახასიათებლად. იგი შეიძლება გამოვიყენოთ მოსწავლეთა მოტივაციისთვის.

### „რეიტინგი“

მეთოდი გამოიყენება კლასისათვის კონკრეტული ინფორმაციის მისაწოდებლად ან ჯგუფებში მიზანმიმართული დისკუსიის წახალ-ისება-სტიმულირებისათვის.

მასწავლებელი წინასწარ ამზადებს ბარათების კომპლექტს – თითოეული ჯგუფისთვის 9 ბარათს და განსახილველ თემასთან დაკავშირებულ 9 მოსაზრებას (თითო წინადადებას წერს თითო ბარათზე).

ჯგუფებში განიხილავენ შემოთავაზებულ მოსაზრებებს და ალ-აგებენ მათ მნიშვნელობის ხარისხის მიხედვით. რეიტინგის სქემას შეიძლება კიბის ან მრავალკუთხედის ფორმა მიეცეს. საფეხურეო-ბრივი რეიტინგის შედგენისას, ყველაზე მნიშვნელოვანი მოსაზრება სულ ზემოთ თავსდება, მის ქვემოთ მასზე ნაკლებ მნიშვნელოვანი,

მომდევნო საფეხურზე – კიდევ უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი და ა.შ. ყველაზე უმნიშვნელო გამონათქვამი ყველაზე ქვემოთ აღმოჩნდება.

### საფეხურებრივი რეიტინგი

ყველაზე მნიშვნელოვანი

ყველაზე უმნიშვნელო

„მრავალწახნაგა“ რეიტინგის შედგენისას, თავდაპირველად, უნდა განისაზღვროს, რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი მოსაზრება, შემდეგ მნიშვნელობით მისი მომდევნო ორი გამონათქვამი, შემდეგ – სამი საშუალოდ ძლიერი მოსაზრება, შემდეგ ორი მომდევნო და ბოლოს – ყველაზე უმნიშვნელო.

## მრავალწახნაგიანი რეიტინგი

**ყველაზე მნიშვნელოვანი**



**ყველაზე უმნიშვნელო**

საკითხების ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯვნა, როგორც წესი, ძალიან რთულია. აქედან გამომდინარე, რეიტინგის ამგვარი ფორმა უფრო პირობითი და მისაღებია მოსწავლისათვის. გარდა ამისა, იგი კონსენსუსის მიღწევის მეტ შესაძლებლობასაც იძლევა. რეიტინგის შედეგისას შეიძლება ბარათებზე 8 მოსაზრება დაიწეროს, ერთი ბარათი კი ცარიელი დარჩეს და ის თავად მონაწილეებმა შეავსონ.

### ადგილზე ვიზიტი

წარმოადგენს მოსწავლეების ჯგუფის მიერ დაწესებულებისა თუ სხვა ორგანიზაციის მონახულებას მისი საქმიანობის გაცნობის მიზნით. ექსკურსიის დროს მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ რეალურ გარემოში დააკვირდნენ სამუშაო სიტუაციას და გაეცნონ მოცემულ საკითხთან დაკავშირებულ თავისებურებებს.

ვიზიტს საილუსტრაციო ფუნქცია აქვს. ადგილზე ნანახი და მოსმენილი უკეთ ამახსოვრდებათ მოსწავლეებს, ვიდრე მხოლოდ მოყოლილი მასალა.

სკოლის გარეთ სწავლებას შეიძლება გარკვეული პრობლემები ახლდეს თან. ამიტომ აუცილებელია ვიზიტის დეტალური დაგეგმვა, რათა თავიდან ავიცილოთ გაუგებობები და მაქსიმალურად მაღალ ეფექტს მივაღწიოთ. მასწავლებელმა წინასწარ უნდა გაითვალისწინოს და დაგეგმოს შემდეგი საკითხები: ვიზიტის მიზანი, ზუსტი დრო;

მოსწავლების დასაშვები რაოდენობა; ზოგჯერ სხვადასხვა პროფესიის გასაცნობად დაგეგმილი ვიზიტებისათვის (ზედა კლასებში) გასათვალისწინებელია სპეციალური ფორმით უზრუნველყოფა, ვიზიტთან დაკავშირებული ხარჯები და ა.შ. აუცილებელია მასპინძელ ორგანიზაციისთან წინასწარი შეთანხმება სტუმრობის თაობაზე.

მასწავლებელმა წინასწარ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლებს ვიზიტის გეგმის შესახებ – რა უნდა ნახონ, რას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და ა.შ. უნდა წაახალისოს შეხვედრის დროს მოსწავლების მხრიდან შეკითხვების დასმა. შესაძლებელია საჭირო გახდეს გარკვეული ჩანიშვნების გაკეთება.

ადგილზე ვიზიტის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლებთან ერთად განიხილავს მის შედეგებს – რა ნახეს ან მოისმინეს, რამდენად გასაგები და საინტერესო იყო ინფორმაცია. შესაძლებელია მათთან ერთად დაგეგმოს შემდგომი ვიზიტის ფორმატი.

### **პრეზენტაცია**

არის ჯგუფის წინაშე გარკვეული თეორიული თუ პრაქტიკული მასალის წარდგენა.

პრეზენტაცია ეფექტური მეთოდია ისეთი უნარების გასავითარებლად, როგორიცაა კომუნიკაცია, საკუთარი პოზიციისა თუ მოსაზრებების მსმენელისათვის გაცნობა, არგუმენტირება, პოზიციის დაცვა და ა.შ.

პრეზენტაციის თემა შეიძლება იყოს ნებისმიერი საკითხი. სასურველია, რომ პრეზენტაციის თემების რაოდენობა ძალიან ბევრი არ იყოს; რეკომენდებულია მაქსიმუმ სამი თემის გამოყენება.

პრეზენტაციის მომზადებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მისი თავისებურება. ასევე, თუ მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციას წინასწარ უნდა მისცეს პრეზენტაციის ტიპური სქემა.

პრეზენტაცია სამი ნაწილისაგან შედგება:

1. შესავალი პრეზენტაციის აუცილებელი ნაწილია. ამ ნაწილის მიზანია აუდიტორიის ინტერესისა და ყურადღების მიქცევა, პირველადი კონტაქტის დამყარება. ეს ნაწილი შედარებით მცირეა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილი საერთო დროის დაახლოებით 20%-ს შეადგენს.
2. ძირითადი ნაწილი პრეზენტაციის ყველაზე ვრცელი და საპასუხისმგებლო ნაწილია. ძირითად ნაწილში ხდება დებულებების,

მოსაზრებების და ა.შ. განხილვა, საილუსტრაციო მასალების გამოყენება. პრეზენტაციის გაკეთებისას გასათვალისწინებელია საუბრის ტონი, ქცევის მანერა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აუდიტორიაზე. ეს ნაწილი პრეზენტაციის განკუთვნილი საერთო დროის დაახლოებით 70%-ს შეადგენს

**3. დასკვნით ნაწილში ხდება პრეზენტაციის შეჯამება, თუ რას ემ-სახურებოდა პრეზენტაცია, რა არის მიღებული შედეგები და ა.შ. ეს ნაწილი პრეზენტაციის დროის დაახლოებით 10%-ს შეადგენს**

შესაძლებელია მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად შეიმუშაოს პრეზენტაციის შეფასების სკალა და პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლეებთან ერთად შეაფასოს ის. თუმცა ეს უფრო მეტად სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი პრეზენტაციისათვის არის რეკომენდებული.

პრეზენტაციის გაკეთება სპეციალურ ტექნიკურ აღჭურვილობას საჭიროებს - პროექტორი, ლეპტოპი, დაფა ან ფლიპჩარტი. სასურველია თუ პრეზენტაცია „PowerPoint“ფორმატში გაკეთდება.

### შემთხვევის განხილვა

ფართოდ გამოიყენება განათლების სფეროში. მისი მიზანია კონკრეტული შემთხვევის განხილვის საფუძველზე დამატებითი ინფორმაციისა და ცოდნის შეძენა.

შემთხვევის განხილვისას არ არის აუცილებელი ის ეხებოდეს ერთ კონკრეტულ ადამიანს. შემთხვევა შეიძლება იყოს ადამიანთა ჯგუფის, სხვადასხვა სიტუაციის და ა.შ. შესახებ.

შემთხვევის შესწავლისას ხდება ამ კონკრეტული შემთხვევის გააზრება და გაანალიზება.

შემთხვევის განხილვამდე საჭიროა მასწავლებელმა წინასწარ მომზადოს მასალა. ის მოსწავლებისათვის საინტერესო და აქტუალური უნდა იყოს. უნდა ითვალისწინებდეს მათ ასაკობრივ თავისებურებას და შესაძლებელი იყოს მის გარშემო მსჯელობა.

განსახილველ მასალასთან ერთად უნდა მომზადდეს ძირითადი განსახილველი კითხვები. ისინი შეიძლება შეეხებოდეს მოსწავლეების დამოკიდებულებას კონკრეტული ადამიანის, ჯგუფის ან შემთხვევაში აღნერილი სიტუაციას მიმართ, როგორ ხედავენ ისინი ამ შემთხვევას, რა არის მათთვის მისაღები, მიუღებელი, როგორ შეიძლება პრობლემის გადაჭრა და ა.შ.

შემთხვევის განხილვა ჯგუფური მუშაობის რთული ფორმაა. ამ დროს ჯგუფური მუშაობის წესი და სტრუქტურა იგივე რჩება, რთულდება მხოლოდ თემა, რომელიც ჯგუფს სიტუაციური ამოცანის სახით მიეცება (სიტუაციურ ამოცანას მასწავლებელი, საჭიროებისამებრ, საკუთარი შეხედულებიდან, კლასის ინტერესებიდან გამომდინარე, ირჩევს ან იგონებს).

თითოეულმა ჯგუფმა უნდა გააანალიზოს შემოთავაზებული სიტუაცია, მიიღოს საერთო გადაწყვეტილება, იპოვოს გამოსავალი და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნა, რისთვისაც ჯგუფმა უნდა იმუშაოს შეთანხმებულად და მიაღწიოს კონსენსუს.

თუ ჯგუფის წევრებს უჭირთ შეთანხმება, მასწავლებელმა შეიძლება მათ შესთავაზოს კენჭისყრის წესი:

**4-5 კაციანი ჯგუფის ყველა წევრი** თითო ხმის უფლებით სარგებლობს. წინადადება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, ჯგუფურ გადაწყვეტილებად ჩაითვლება. შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღება მოხდეს გამსვლელი ხმების წინასწარ დადგენილი რაოდენობით (ორი მესამედი).

კონსენსუსი შეთანხმების ის ფორმაა, როცა გადაწყვეტილების მიღებისას ყველა ერთსულოვანია. იგი დემოკრატიული პროცესია.

შემთხვევის განხილვა სპეციალურ ტექნიკურ ალტურვილობას არ საჭიროებს; სასურველია ყველა მოსწავლეს ჰქონდეს ინდივიდუალურად ამობეჭდილი შემთხვევა. მასწავლებელმა გამოიყენოს პროექტორი და ლეპტოპი.

### დაუსრულებელი ისტორია

ჯგუფური სამუშაოს ერთ-ერთი საინტერესო ფორმაა, რომელიც საუკეთესოა მოსწავლის ფანტაზიისა და შემოქმედებითი აზროვნების გასავითარებლად. იგი ჯგუფური სამუშაოსთვის დამახასიათებელი ყველა უნარ-ჩვევის გამოყენებას მოითხოვს.

ჯგუფები ყურადღებით ისმენენ მასწავლებლის მიერ შემოთავაზებულ ამბავს, რომლის დასასრულებლად ეძლევათ 15 წთ.

ეს საკმაოდ რთული პროცესია, რომლის დროსაც ჯგუფის წევრები მსჯელობენ, აზროვნებენ, გამოთქვამენ და ასაბუთებენ საკუთარ აზრს და იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს. თანხმდებიან და ერთად იგონებენ ამბის დასასრულს. წერილობით აყალიბებენ ამბის უკვე შეთანხმებულ განვითარებას. შესაძლებებლია ნამუშევარი

ილუსტრაციით გააფორმონ, რათა იგი პრეზენტაციისთვის უფრო საინტერესო გახდეს.

### **როლებით თამაში**

მნიშვნელოვანია მოზარდის განვითარების თვალსაზრისით. ის ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გააქტიურებას, შეძენილი ცოდნის მრავალმხრივ გააზრებას, განმტკიცებას და შემოწმებას.

წარსულის სიმულაციურ რეკონსტრუქციასთან ერთად განსაკუთრებით სახალისო და ნაყოფიერია ემფატიკური სავარჯიშოების შემოტანა წარსულში მცხოვრები ადამიანების ყოველდღიური ყოფის, წეს-ჩვეულებების აღწერისას, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს არამარტო გაიაზრონ, არამედ შეიგრძნონ მათი სურვილები, ოცნებები, მათი თვალით დაინახონ სამყარო.

როლური თამაშის გამოყენებით მოსწავლეებს უვითარდებათ შემდეგი უნარ-ჩვევები:

- კომუნიკაცია;
- თანამშრომლობა;
- ისტორიული დროის გაგება და ეპოქის განცდა;
- შემოქმედებითობა;
- მოდელირება;

როლური თამაშის გამოყენებისას მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეარჩევს თემას. მაგალითი: მოსწავლეები დავყოთ ჯგუფებად. თითოეულმა ჯგუფმა მასწავლებლის დახმარებით მოიგონოს რაიმე ამბავი, რომელშიც პერსონაჟებად გამოიყანენ ქართულ მითოლოგიურ გმირებს (ღვთისშვილებს-კოპალას, იახსარს; ბოროტ ძალებს-დევებს, ჭინკებს, ალებს და ა.შ.). ეს ამბები მოსწავლეებმა უნდა ჩამოაყალიბონ წერილობით, დაურთოთ საკუთარი ფანტაზიით შექმნილი ნახატები. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად დაწერს სცენარს. მოსწავლეებს შორის განაწილდება როლები და ისინი წარმოადგენენ მინი-სპექტაკლს.

როლური თამაშის ეტაპებია: 1. სცენარის შექმნა; 2. როლების განაწილება; 3. რეპეტიცია; 4. გათამაშება; 5. განხილვა; 6. შეჯამება.

ასეთი თამაშის დროს მასწავლებელი წამყვანის, გეზის მიმცემის და დამკვირვებლის ფუნქციას ასრულებს. ის უნდა დარჩეს ნეიტრალურ მაყურებლად და ქმნიდეს კეთილგანწყობილ ატმოსფეროს. როლური

თამაში მთლიანად მოსწავლეთა აქტივობაზე უნდა აიგოს.

როლური თამაშის დროს გასათვალისწინებელი პირობები: როლური თამაშის თემატიკის შერჩევისას გასათვალისწინებელია მოსწავლეთა მოსაზრებები, რათა ისინი ხალისით აერთონ მუშაობაში. როლების განაწილება შეიძლება მოხდეს მასწავლებლის მიერ ან კენჭისყრით.

### **სიტუაციის მოდელირება**

შეიძლება განვიხილოთ, როგორც როლებით თამაში, რომელშიც უკლებლივ მთელი კლასი მონაწილეობს. ის საშუალებას იძლევა, მოსწავლეებმა გამოსცადონ საკუთარი თავი და შესაძლებლობები „ექს-ტრემალურ“ სიტუაციებში.

სიტუაციის მოდელირება მონაწილეთაგან დიდ ძალისხმევასა და მონდომებას მოითხოვს, ამიტომ იგი მეტად შთამბეჭდავია და დიდ ზემოქმედებას ახდენს მის მონაწილეებზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოდელირების შემდგომი ანალიზი. „მსახიობებმა“ უნდა იმსჯელონ საკუთარ გრძნობებზე (რატომ გადაწყვიტეს ემოქმედათ ამგვარად, გრძნობდნენ თუ არა უხერხულობას და რამდენად მისაღები იყო მათთვის პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა).

მასწავლებელი ამ შემთხვევაში უნდა დაეხმაროს მათ, რათა მონაწილეებმა შეძლონ, განცდილი დააკავშირონ რეალობასთან.

### **ინტერვიუ**

ინტერვიუ, როგორც სწავლების მეთოდი ორიენტირებულია ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებით მოძიების, ორგანიზების, დამუშავებისა და მიზნობრივად გამოყენების უნარების განვითარებაზე. შესაბამისად, იგი გამოიყენება კვლევის უზარის განსავითარებლად. მეთოდი ადგილად განსახორციელებელია, რადგან მოსწავლეთა უშუალო გარემოს ეხება (ოჯახს, უბანს, ქუჩას, სკოლას, თემს...). მოსწავლეებს უნდა დაევალოს სკოლის გარეთ რაიმე საკითხზე დაკვირვება მაგალითად, ტრანსპორტის მოძრაობაზე, ადამიანების ქცევაზე საჯარო ადგილებში, მედიაში გამოქვეყნებულ მასალებზე და ა.შ.. ამ გზით მოპოვებული და დაჯგუფებული ინფორმაცია ეხმარება მოსწავლეს ინტერვიუს კითხვარის შედგენაში. კითხვარის შედგენის შედეგ მოსწავლეები ატარებენ ინტერვიუს. ინტერვიუს თემა შეიძლება იყოს გვარის გენეალოგია, ან ქუჩის, სოფლის, ქალაქის ისტორია და ა.შ. მოსწავლეებმა ინტერვიუ შეიძლება ჩაიწერონ, რო-

გორც აუდიო/ვიდეო აპარატურის გამოყენებით, ასევე კალმითაც, იმ ადამიანებისაგან, რომელებიც ამა თუ იმ ისტორიული ან გეოგრაფიული მოვლენის თვითმხილველნი და მონაწილენი არიან. ინტერვიუს მეშვეობით მოსწავლეს შესაძლებლობა ეძლევა, მოიპოვოს ინფორმაცია საკვლევი თემის ან მოვლენის შესახებ უშუალოდ მოწმისაგან.

ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია, როგორც დაწყებით, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურზე.

მეთოდის გამოყენებას აქვს თანმიმდევრული ეტაპები:

### **1. ინტერვიუს მიზნისა და თემის განსაზღვრა.**

დაწყებით საფეხურზე, როდესაც მოსწავლეები ინტერვიუს შესახებ ელემენტარულ უნარ-ჩვეულებს უნდა დაეუფლონ, უმჯობესია, მასწავლებელმა თავად შეარჩიოს ინტერვიუს თემა. სწავლების მომდევნო საფეხურზე კი შესაძლებელია, მოსწავლეებთან ერთად შეირჩეს მომავალი ნაშრომის თემა და მიზანი. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, თუ რამდენად დაძლევადი იქნება მოსწავლეებისთვის დასახული ამოცანის შესრულება.

### **2. ინტერვიუს დაგეგმვა.**

ინტერვიუს წარმატებით ჩატარებისათვის, მნიშვნელოვანია, ზუსტად გაინწეროს ვადები და მონაწილე მოსწავლეების ფუნქციები. მაგალითად, რამდენიმე მოსწავლე შეიძლება მონაწილეობას იღებდეს ინტერვიუების ჩამორთმევაში, ნაწილი ამუშავებდეს არჩეულ თემაზე არსებულ წერილობით მასალას (მოიძიებდეს და ამუშავებდეს საბიბლიოთეულ ლიტერატურასა და დოკუმენტებს, ფოტომასალას და სხვა), ნაწილს დაევალოს ინტერვიუების გაშიფვრა და დამუშავება, ხოლო რამდენიმე მოსწავლემ შეაჯეროს ინტერვიუები და წერილობითი მასალა და დაწეროს ნაშრომი. ბოლოს, შესაძლებელია გამოვყოთ ერთი ან ორი მოსწავლე პროექტის პრეზენტაციისთვის.

### **3. ინტერვიუს ალება.**

სასწავლო მიზნებისა და თემის შესაბამისად, დაწყებითი საფეხურის მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომი რესპონდენტი. ინტერვიუს ჩაწერამდე, პირველ რიგში, საჭიროა განვსაზღვროთ, რა სახის ინფორმაციაა საჭირო. მაგალითად, თუ მოსწავლეებს აინტერესებთ რომელიმე ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენა, მაშინ საჭიროა თემატური ინტერვიუს აღება, რომელშიც რესპონდენტის ბიოგრაფია – მხოლოდ ისტორიული „რეკვიზიტის“ სახეს მიიღებს, მაგრამ, თუ აინტერესებთ ადამიანის

ცხოვრების ისტორია, მაშინ ორიენტირებული უნდა იყვნენ ბიო-გრაფიულ ინტერვიუზე. თუ მოსწავლეებს აინტერესებთ რომელიმე ეპოქა საკუთარი ქალაქის, ქუჩის, სახლის ან სოფლის ისტორიიდან, შესაძლებელი გამოკითხონ მხცოვანი ადამიანები.

მასწავლებელმა უნდა გააცნოს მოსწავლეებს ინტერვიუს აღების ელემენტარული წესები:

- ინტერვიუ იწერება ნაკლებსმაურიან ადგილას;
- წინასწარ განისაზღვრება დრო, რათა ზედმეტად ხანგრძლივი და დამლლები ინტერვიუ არ გამოგვივიდეს;
- უჯობესია, რესპონდენტს წინასწარი გასაუბრების დროს განემ-არტოს, თუ რა საკითხის გარშემო წარიმართება ინტერვიუ. შესაძლებელია, რესპონდენტს მიეწოდოს იმ თემების ნუსხა, რომ-ლებიც აინტერესებს ინტერვიუერს, რათა მთხოვნელმა უკეთ გაიაზროს მომავალი საუბრის თემა;
- აუცილებელია, წინასწარ ჩამოიწეროს სავარაუდო კითხვები;
- ინტერვიუერს საშუალება უნდა მიეცეს ბოლომდე გამოთქვას საკუთარი აზრი. არ არის გამორიცხული, რომ საუბრისას სხვა შეკითხვებიც წამოიჭრას.
- დაუშვებელია რესპონდენტთან შეკამათება;
- თუ ვიყენებთ ჩამწერ ტექნიკას, შეხვედრამდე აუცილებლად უნდა შემოწმდეს მისი გამართულობა.
- სასურველია, ინტერვიუს დამთავრების შემდეგ გაკეთდეს შთაბეჭდილებების შესახებ ჩანაწერი;
- 4. აუცილებელია ინტერვიუს სიტყვა-სიტყვით წერილობით აღდგენა (გაშიფრვა)

ინტერვიუს წერილობით აღდგენის დროს არ შეიძლება ტექსტის ჩასწორება, გრამატიკულად როგორი გაუმართავიც არ უნდა იყოს. აღდგენის დროს აუცილებლად მივუთითოთ ინტერვიუს ჩანერის თარიღი, გაშიფრის თარიღი, ასევე ინტერვიუერისა და რესპონდენტის ვინაობა და პროექტის სათაური. ვინაიდან შესაძლებელია რომ მომავალში მომზადებული ინტერვიუ სხვამ გამოიყენოს.

##### 5. ნაშრომის შექმნა

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაასრულებენ საჭირო ზეპირი და წერილობითი მასალის შეგროვებას, ისინი გადავლენ პროექტის შემდეგ ეტაპზე, რომელსაც ნაშრომის (კვლევის შედეგების) შექმნა ჰქვია. უშუალოდ ნაშრომის დაწერამდე აუცილებელია ზეპირი

წყაროების დახარისხება.

აუცილებელია ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა ინფორმაციის, ახსნა-განმარტებისა თუ შეფასებების ერთმანეთთან შეჯერება. რესპონდენტების მონაცემში შეიძლება ბევრ უზუსტობას წავანყდეთ. მასალის დამუშავების შემდეგ, მოსწავლეები იწყებენ თხზულების წერას. იმის გამო, რომ ნაშრომს მოსწავლეები კოლექტიურად ქმნიან, უპრიანია, მასწავლებელმა მათთან ერთად გადაწყვიტოს, თუ ნაშრომის რომელ ნაწილს მოსწავლეთა რომელი ჯგუფი დაწერს.

#### 6. ნაშრომის პრეზენტაცია

„ინტერვიუს“ დასრულების შემდეგ, მოსწავლეები წარმოადგენენ თავიანთ ნაშრომს.

### პროექტი

კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაო, რომელშიც წარმმართველია კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარების განვითარება. ეს მეთოდი აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლევა.

მოსწავლეები მუდმივად სვამენ შეკითხვებს: რატომ გვასწავლით ამა თუ იმ საკითხს? რაში გამომადგება ეს ცოდნა? მასწავლებლებს უჭირთ ამ კითხვებზე დამაჯერებელი და არგუმენტირებული პასუხის გაცემა. ამ პრობლემის მოგვარებაში მასწავლებელს დაეხმარება იმის ცოდნა, თუ როგორ ამუშაოს მოსწავლეები სასწავლო პროექტზე. პროექტზე მუშაობისას მოსწავლეები რეალური პრობლემის გადასაჭრელად შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იყენებენ. პროექტით სწავლება იწვევს მოსწავლეთა მოტივაციას და ზრდის მათ პასუხიმგებლობას. ისინი ხალისით ასრულებენ სამუშაოებს და შეუძლიათ ხანგრძლივად იმუშაონ დასმულ საკითხებზე.

საკითხებს მოსწავლეები ხანგრძლივი დროის (ერთი ან რამდენიმე კვირის) განმავლობაში ამუშავებენ და შემდგომ წარუდგენენ მთელ კლასს ან უფრო ფართო აუდიტორიას. პროექტები ეხმარება მოზარდს რეალურ ცხოვრებაში გამოიყენოს მიღებული ცოდნა და გამოცდილება დასახული მიზნის მისაღწევად.

პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუკი მისი

შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი (მაგ.: წერილობითი დოკუმენტი, მაკეტი, ინსცენირება, დებატები, აქცია, თანმიმდევრული ღონისძიებები და ა.შ.).

მასწავლებელი სასწავლო პროექტების მიმდინარეობისას კონსულტანტის როლს ასრულებს, ხელმძღვანელობს სამუშაოებს, ძიებისა და კვლევის დროს მიმართულებას აძლევს. ის უთითებს საინფორმაციო წყაროებს.

პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეს სჭირდება შემოქმედებითობა, საინფორმაციო სივრცეში ორიენტაციისა და დამოუკიდებელი სწავლის უნარ-ჩვევები.

სასწავლო პროექტის დაგეგმვის დროს მასწავლებელი ითვალისწინებს:

- რამდენად მნიშვნელოვანია პრობლემა, რომელიც კვლევას ითხოვს;
- მოსალოდნელი შედეგების სიახლეს (ობიექტურს ან სუბიექტურს);
- პროექტზე მუშაობის დროს გამოყენებული მეთოდებსა და კვლევას შორის კავშირს;
- არჩევანის შესაძლებლობას, რაც იწვევს მოსწავლეთა პასუხისმგებლობის ზრდას.

პროექტი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ერთი ან რამოდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია);

შეიძლება გამოიყოს სამი ტიპის სასწავლო პროექტი:

1. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს გამზადებულ პროექტს. იგი თავად განსაზღვრავს პრობლემას, სახავს მისი გადაჭრის სტრატეგიასა და ტაქტიკას. მოსწავლე კი დამოუკიდებლად გადაჭრის პრობლემას.
2. მასწავლებელი სვამს პრობლემას, მოსწავლე დამოუკიდებლად ირჩევს კვლევის მეთოდებს და პრობლემის გადაჭრის გზებს.
3. მოსწავლე განსაზღვრავს პრობლემას, დამოუკიდებლად ირჩევს კვლევის მეთოდებსა და პრობლემის გადაჭრის გზებს.

## პროექტის სტრუქტურა

### **პროექტის აღწერა**

პროექტის აღწერა არის მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილი. აღნიშნული პუნქტი სასურველია დაიყოს ქვეპუნქტებად, რომლებმაც გაერთიანდება შემდეგი სახის ინფორმაცია:

**ა) პრობლემის განსაზღვრა (იდენტიფიკაცია)** – გულისხმობს იმ კონკრეტული პრობლემის ხაზგასმას, რომლის საპასუხოდაც არის მიმართული პროექტი.

**ბ) მიზანი** – გულისხმობს ფართო, ზოგად დებულებას იმის შესახებ, თუ რის მიღწევაა სასურველი. პროექტის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ისეთი გარემოს ან პირობების შექმნა, რომლებიც ლოგიკურ კავშირში იქნება (მიმართული იქნება) ზემოაღნერილ პრობლემასთან.

**გ) ამოცანები** – გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს მიზნის მისაღწევად. აქ უნდა მიეთითოს, რა ამოცანების გადაჭრას ისახავს პროექტში მითითებული მიზანი. მიზნის მისაღწევად შეიძლება დაისახოს ერთი, ორი ან რამდენიმე ამოცანა იმის გათვალისწინებით, თუ როგორია პროექტის სპეციფიკა.

**დ) განხორციელების გზები** – გულისხმობს კიდევ უფრო კონკრეტულ ნაბიჯებს დასმული ამოცანების შესასრულებლად. განხორციელების გზები არის პროცესი, რომელმაც უნდა უპასუხოს კითხვებს:

- 1) „როგორ?“ - როგორ განახორციელდება პროექტის ამოცანები?
- 2) „ვინ“ - ვინ მონაწილეობს პროექტის განხორციელებაში და რა არის მათი ფუნქციები პროექტში?

### **პროექტის შესრულების ვადები**

პროექტის ვადები უნდა შეიცავდეს დროში განაწილებულ მსვლელობას. მასში უნდა აისახოს საქმიანობების ეტაპებად დაყოფა, განაწილებული დღეების, კვირების, თვეების მიხედვით, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე.

## მოსალოდნელი შედეგები

ამ ნაწილში აღინირება ის სავარაუდო ეფექტი ან მოსალოდნელი შედეგი, რომელიც მოჰყვება პროექტის წარმატებით განხორციელებას.

### მონიტორინგი

ამ ნაწილში უნდა იყოს მითითებული, თუ როგორი იქნება კონკრეტულად პროექტის განვითარებაზე თვალყურის დევნების (მონიტორინგის) მექანიზმი და პერიოდულობა.

### შეფასება

მითითებული უნდა იყოს ის სავარაუდო კრიტერიუმები (მაჩვენებლები), რომლებიც განსაზღვრავენ პროექტის წარმატებას.

#### პროექტის შეფასების კრიტერიუმები:

პრობლემის იდენტიფიცირება;
თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება;
ინფორმაციის მოძიების უნარი;
კვლევების დაგეგმვისა და ჩატარების უნარი;
საზოგადოებასა და შესაბამის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის უნარი;
ჯგუფის შემოქმედებითი უნარი;
მოძიებული ინფორმაციის კლასიფიკაციის და ინტერპრეტაციის უნარი;
კვლევის შედეგების ანალიზის უნარი;
პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება;
გადაწყვეტილებების მიღება;
წარმოდგენილი ნამუშევრის ორგანიზება;
მოსწავლეების მიერ შექმნილი თვალსაჩინოებები.

## მოსწავლეთა მუშაობის ფორმები

არსებობს მუშაობის შემდეგი ფორმები: **ინდივიდუალური, წყვილ-ში და ჯგუფური.**

მასწავლებელმა თავიდანვე უნდა განუმარტოს მოსწავლეებს მუშაობის ფორმების არსი. ასეთ შემთხვევაში თავიდან იქნება აცილებული წყვილში და ჯგუფური მუშაობისას ხმაური და ქარისი.

მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ:

ინდივიდუალურად მუშაობის პროცესში მოსწავლე საკუთარ თავზეა პასუხისმგებელი, წყვილში და ჯგუფური მუშაობისას ისინი პასუხისმგებლობას გრძნობენ თავიანთი მეწყვილის, ასევე—გუნდის წევრის მიმართ. წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობა ხელს უწყობს თანამშრომლობის ჩვევის გამომუშავებას. ამ სავარჯიშოების შესრულებისას მოსწავლეები სწავლობენ ერთმანეთის მოსმენას, სხვისი აზრის გაზიარებას, კრიტიკულ აზროვნებასა და შეფასებას, საკუთარი აზრის გამოთქმას, დასაბუთებას და ა.შ. ისინი ეჩვევიან ფუნქციების დანაწილებას, დროის რაციონალურ გამოყენებას.

გთავაზობთ წყვილებში მუშაობის წესებს:

1. მასწავლებელი კლასს ყოფს წყვილებად;
2. კლასს ეძლევა საერთო დავალება;
3. მოსწავლეები სამუშაოს ასრულებენ წყვილებში;
4. თამაშის დრო განსაზღვრულია (სამუშაოს სირთულის მიხედვით);
5. მასწავლებელი თვითონ ანაწილებს მოსწავლეების ფუნქციებს.

წყვილებში მუშაობის დროს ბავშვებს მოეთხოვებათ ყურადღების კონცენტრაცია. ისინი პასუხისმგებლობას გრძნობენ თავიანთი მეწყვილის მიმართ.

წყვილებში გამომუშავებული თანამშრომლობის ჩვევა კიდევ უფრო მტკიცდება ჯგუფური სამუშაოების შესრულებისას. გთავაზობთ წესებს ჯგუფური მუშაობისთვის:

1. კლასი იყოფა 4-5 კაციან ჯგუფებად;
2. კლასს ეძლევა საერთო დავალება;
3. დავალება სრულდება ჯგუფებში;
4. ჯგუფი უნდა მუშაობდეს შეთანხმებულად, არ უნდა მოხდეს კონფლიქტი, არ უნდა ითრგუნებოდეს არც ერთი მოსწავლე;
5. ჯგუფის ყოველი წევრი ჩართული უნდა იყოს საქმიანობაში;

6. სამუშაო სრულდება ერთ ფურცელზე;
7. დავალება სრულდება მასწავლებლის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროში (10-15 წთ.);
8. ჯგუფი, რომლის წევრებიც შეთანხმებულად ვერ მოქმედებენ, მუშაობას წყვეტს;
9. ჯგუფი მუშაობს ერთი მაგიდის გარშემო.

თითოეულ ჯგუფში ერთი მაგიდის გარშემო თავს იყრიან სხვადასხვა ხასიათისა და ტემპერამენტის მოსწავლეები: აქტიურები, პასიურები, ლიდერები. ხშირად ჯგუფებში სწორედ ამიტომ წარმოიშვება კონფლიქტი. მასწავლებელი სთავაზობს გუნდს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზას. თუ ამას გუნდი ვერ მიაღწევს, ანუ ვერ იპოვის გამოსავალს, ის სამუშაო პროცესიდან ვარდება.

ჯგუფის შერჩევა სხვადასხვაგვარად ხდება. ჯგუფი შეიძლება შეირჩეს ისე, რომ თითოეულ მათგანში თანაბარი შესაძლებლობების ბავშვები გაერთიანდნენ, შეიძლება ცალ-ცალკე შედგეს ბიჭებისა და გოგონების გუნდები და სხვ. შესაძლებელია შემთხვევითი პრინციპით შერჩევაც, რათა მოსწავლეები მიეჩიონ უცხო გარემოში ნებისმიერ პარტნიორთან ურთიერთობას. ჯგუფებად დანაწილება უნდა მოხდეს ოპერატიულად (2-3 წთ.).

შესაძლოა მასწავლებელმა თავად დაადგინოს ჯგუფის მუშაობის წესები (მაგ.: ლიდერის არჩევა), მაგრამ უმჯობესია მუშაობის სისტემის შექმნა მიანდოს ბავშვებს (რა თქმა უნდა, მასწავლებლის რეკომენდაციების გათვალისწინებით). კარგია, თუ ჯგუფი თვითონ აირჩევს, ვინ წარადგინოს კლასის წინაშე თავისი ნამუშევარი. მასწავლებელი თვალს ადევნებს მოსწავლეების მუშაობას, თუმცა ეს იმგვარად ხდება, რომ ბავშვებს არ შეექმნათ შთაბეჭდიელება, თითქოს მასწავლებელი მათ თავზე ადგას. მასწავლებელი არ უნდა ჩაერიოს ჯგუფის მუშაობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ჯგუფი მისგან მოითხოვს რაიმე განმარტებას ან შეატყობს, რომ ჯგუფმა არასწორად გაიგო პირობა.

აქტიური მეთოდიკებითა და ჯგუფური თამაშებით მუშაობისას მასწავლებელი უკანა პლანზე გადადის. იგი გეზის მიმცემისა და მეთვალყურის როლს ასრულებს და ბოლომდე ნეიტრალურ წამყვანად რჩება. სამუშაოს დამთავრების შემდეგ ჯგუფები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს. პრეზენტაციის დროს მასწავლებელი კითხვებს არ სვამს და არ აწყვეტინებს აზრს მომხსენებელს.

## შემოწმების ტექნიკა და ინსტრუმენტები

სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვის მიზნით კარგი იქნება, თუ გამოიყენებთ შეფასების თანამედროვე ხერხებს. მათი მეშვეობით იზომება არა მხოლოდ ცოდნა, არამედ შეძენილი უნარ-ჩვევები და აზროვნებაც.

გთავაზობთ შემოწმების ზოგიერთ ხერხს, რომელიც ინტერაქტიური სწავლება-სწავლის პროცესში გამოიყენება:

- 1. საქალალდე/პორტფოლიო -** შემოწმების ამ ხერხის საშუალებით ხდება მოსწავლეთა ნამუშევრების შეგროვება. საქალალდეში ხვდება ყველანაირი ნამუშევარი: საწყისი ვერსია, ცვლილებები და სრულყოფილი ვარიანტი. საწყისი და საბოლოო ვარიანტების შედარების საფუძველზე დგინდება მოსწავლის წინსვლის ხარისხი.
- 2. წარმოდგენა, პრეზენტაცია -** წარმოდგენა არის განსახილველ საკითხთან დაკავშირებული სიტუაციის შექმნა (სიმულაცია), ხოლო პრეზენტაცია – შესწავლილი მასალის წარდგენა აუდიტორიის წინაშე.
- 3. რუბრიკები -** თემასთან დაკავშირებული ინდიკატორების სისტემა, რომელსაც მასწავლებელი წინასწარ ადგენს და შემდეგ ათანხმებს მოსწავლეებთან. რუბრიკებში მოცემულია მიღწევის დონეები (მაგ.: დაბალი, საშუალო, მაღალი).
- 4. თვითშეფასება და შეფასება წყვილებში -** მოსწავლეები თვითონ ამონტებენ და ადგენენ, თუ რა სჭირდებათ მათ შემდგომი განვითარებისათვის. მოსწავლეები ამონტებენ და აფასებენ ერთ-მანეთის ნამუშევარს. შემდეგ ისინი მასწავლებელთან ერთად ცდილობენ დაადგინონ, კიდევ რა საკითხი უნდა დაემატონ შესწავლილ თემას სრულყოფისათვის.
- 5. შემოწმებისათვის შესაძლებელია გამოვიყენებულ იქნას სპეციალურად შედგენილი კითხვარები.**

## გაკვეთილის გეგმის ნიმუშები

### თემა - სამართლიანობა, კანონიერება და მართლწესრიგი

#### მიზანი

მოსწავლეები გაეცნობიან კანონებს და გააანალიზებენ მათ აუცილებლობას საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის სამართლებრივ სახელმწიფოში. ისინი გაიგებენ, თუ რა უფლებები და მოვალეობები აქვთ არასრულწლოვნებს.

#### სანგრძლივობა - ორი გაკვეთილი (აკადემიური საათი) საჭირო ნივთები

ფურცლები, კალმები, მარკერები, A1 ფორმატის ქაღალდები.

### გაკვეთილი I - ჩვენ და კანონი

#### გაკვეთილის პროცესი

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს კითხვით:

სამართლიანად მიაჩნიათ თუ არა კანონი, რომ პავშვებმა 6 წლის ასაკიდან სკოლაში უნდა იარონ და ზრდასრულებმა კი-არა?

ის სთხოვს მოსწავლეებს 1-2 წუთის დაფიქრების შემდეგ განსაზღვრონ საკუთარი შეფასება. შემდეგ - მოსწავლეებს, რომლებსაც ეს დებულება სამართლიანად მიაჩნიათ - გადაჯგუფდნენ საკლასო ოთახის მარცხენა ნაწილში, ხოლო საპირისპირო მოსაზრების მქონე მოსწავლეებს - მარჯვენაში. მათვის, ვინც არც ერთ ჯგუფში არ გადავა, მასწავლებელი გამოყოფს ოთახის ცენტრალურ ნაწილს (დრო - 2-3 წუთი).

გადაჯგუფების შემდგომ, მასწავლებელი მომხრეებისა და მოწინააღმდეგების ჯგუფებს აძლევს 5-7 წუთს იმისთვის, რომ ერთმანეთთან შეჯერებულად ჩამოაყალიბონ ორ-ორი არგუმენტი საკუთარი პოზიციის დასაბუთებისთვის და გამოყონ თითო მოპასუხე მოსწავლე.

ნეიტრალური პოზიციის მოსწავლეებიდან მასწავლებელი მოიხმოს თუ მოხალისეს, რათა მათ ნარმოდგენილი არგუმენტები ჩან-ერონ დაფაზე ცხრილში:

სამართლიანია	უსამართლოა

დროის ამოწურვის შემდეგ, მასნავლებელი თანმიმდევრობით სთხოვს გამოყოფილ მოპასუხეებს არაუმეტეს 3-3 წუთის განმავლობაში გადმოსცენ შესაბამისი ჯგუფების არგუმენტები. იგი მიუთითებს, რომ ამ სავარჯიშოში რეგლამენტის დაცვა მნიშვნელოვანია.

არგუმენტების მოსმენისა და ჩაწერის შემდეგ მასნავლებელი სთხოვს ნეიტრალური ჯგუფის წევრებს 1-2 წუთის დაფიქრების შემდეგ განსაზღვრონ - რომელი ჯგუფის დასაბუთება მიაჩინიათ უფრო დამაჯერებლად და ამ დასკვნის მიხედვით გადაინაცვლონ შესაბამისი ჯგუფისკენ. მასნავლებელი „მიმხრობილი ნეიტრალების“ რაოდენობებს აღნიშნავს დაფაზე ცხრილის შესაბამის მხარეს.

ნებისმიერი შედეგის პირობებში ამ აქტივობის ბოლოს მასნავლებელი 2-3 წუთის განმავლობაში უამბობს მოსნავლეებს იმ ვალდებულებების შესახებ, რომლებიც მას, როგორც ზრდასრულს, აქვს ცხოვრებაში, სამსახურებრივი მოვალეობების გარდა.

მასნავლებელი აჯამებს სავარჯიშოს დასკვნით, რომ ადამიანებს, მოქალაქეებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში როგორც გარკვეული უფლებები, ისე მოვალეობები აქვთ და ისინი ასაკთან ერთად იცვლება.

ახლა მასნავლებელი მოსნავლეებს სთავაზობს 3-5 წუთის განმავლობაში წყვილებში კითხვარის შევსებას, რათა მოსნავლეები ერთმანეთს დაეხმარონ სწორი პასუხების გაცემაში. მუშაობის დროს მასნავლებელი გადაადგილდება კლასში, ყურადღებით აკვირდება წყვილებს და თუ ამჩნევს, რომ რომელიმე წყვილს უჭირს პასუხების გაცემა, ის სთავაზობს დახმარებას დასმული კითხვის გააზრებაში.

## კითხვარი:

რომელი ასაკიდან მოქმედებს საქართველოში შემდეგი ქმედებების მოწესრიგებელი კანონები:

1. მანქანის მართვის უფლების აღება;
2. დაქორწინება;
3. არჩევნებში მონაწილეობა;
4. სამხედრო სამსახურში წასულა;
5. გადასახადების გადახდა;
6. პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაბმა;
7. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა;
8. იარაღის ტარება;
9. აზარტულ თამაშებში მონაწილეობა.

შემდეგ მასწავლებელი წყვილებს სთავაზობს, თანმიმდევრობით ნარმოადგინონ პასუხები. თავდ კი დაფაზე ცხრილში ინიშნავს მათ. თუ რომელიმე პასუხი განმეორდა, იგი იქვე აღნიშნავს ჯერადობას (დრო - 7-10 წუთი).

ამ აღრიცხვის შემდეგ მასწავლებელი ჯერ აღნიშნავს და წაახალისებს სწორი პასუხებს და მიუთითებს იმ სამართლებრივ აქტებს, რომლებიც აწესრიგებენ აღნიშნულ ქმედებებს. შემდეგ თანმიმდევრობით ასახელებს და იქვე ასწორებს მცდარ პასუხებს. იგი ამ შემთხვევაშიც ასახელებს შესაბამის ნორმატიულ აქტს და მოკლედ განმარტავს დებულებას. იგი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ უფრო ვრცლად ამ სამართლებრივი დებულებების ნახვა მათ შეუძლიათ მოსწავლის წიგნსა და მის დანართში (დრო - 12-15 წუთი)

შემდეგ მასწავლებელი წარმართავს ხანმოკლე საკლასო დისკუსიას კითხვით:

მოგწონთ თუ არა ეს ასაკობრივი ზღვრები?

იგი უხსნის მოსწავლეებს, რომ თითოეულმა მოსწავლემ პასუხის მოცემული სამი ვარიანტიდან ერთ-ერთი უნდა აირჩიოს და მიუთითოს არგუმენტი:

- ა) ძალიან მაღალი;
- ბ) ძალიან დაბალი;

გ) ნორმალური.

მასნავლებელი ურჩევს მოსწავლეებს, რომ 5 წუთის განმავლობაში გაეცნონ მოსწავლის წიგნში მოცემულ საინფორმაციო მასალას არასრულწლოვნებისა სხვადასხვა კანონებთან კავშირს. (სისხლის სამართლის კოდექსამდე), ამასთან მოიფიქრონ პასუხები ამ მასალიდან დასმულ კითხვებზე.

დისკუსია შეიძლება წარიმართოს 1-15 წუთის განმავლობაში, რომლის დროსაც მასნავლებელი შესაძლოა განმეორებით უსვამდეს მოსწავლეებს იმ კითხვებს, რომლებიც მოსწავლის წიგნშია მითითებული.

მასნავლებელი აჯამებს დისკუსიის შედეგებს და უხსნის მოსწავლეებს, რომ მოქალაქეს ასაკის მატებასთან ერთად ემატება არა მარტო უფლებები, არამედ მოვალეობები და პასუხისმგებლობები. ამ დასკვნის საილუსტრაციოდ იგი ჩამოთვლის პასუხისმგებლობებს, რომელიც ახლავს კითხვარში აღნიშნულ ქმედებებს (დრო - 7-10 წუთი).

გაკვეთილის დასასრულს მასნავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ სახელმძღვანელოში მოყვანილ სიტუაციას და უხსნის, რომ შემდეგ მეცადინეობაზე მათ უნდა გაითამაშონ ამ სიტუაციის შესაბამისი სასამართლო პროცესის სხდომა. შესაბამისად, იგი ეხმარება მოსწავლეებს როლების გადანაწილებაში.

მასნავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომელი როლების გასაზრებლად დასჭირდებათ შეთანხმებულად მომზადება მომდევნო გაკვეთილისათვის. ამასთან, ურჩევს მოსწავლეებს, გაეცნონ მოსწავლის წიგნში მოცემულ ინფორმაციას არასრულწლოვნებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის კოდექსის შესახებ. იგი განმარტავს, რომ ინფორმაციის გაცნობასთან ერთად მოსწავლეებისათვის ძალიან სასარგებლო იქნება იქვე მოცემულ კითხვებზე დასაბუთებული პასუხების გაცემა.

მასნავლებელი და სამართალდამცველი განაწილებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა საერთო რაოდენობასა და სასამართლოს სხდომის მონაწილეთა აუცილებელ კატეგორიებს. შესაბამისად, შესაძლებელია შემცირდეს ან გაიზარდოს ნაფიცი მსაჯულებისა, დაცვისა და ბრალდების ჯგუფების, მოწმეებისა და სხდომაზე დამსწრეთა რაოდენობები.

## სიტუაცია იმიტირებული სასამართლო პროცესისათვის:

- პრაქტიკუმზე მოსწავლეები იყოფიან შემდეგ მონაწილეებად:
- მსჯავრდებული - 1;
  - დაცვის ჯგუფი - 2-იდან 5-მდე (კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად);
  - ბრალდების ჯგუფი - 2-იდან 5-მდე (კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად);
  - ნაფიცი მსაჯულები - 6-იდან 12-მდე (2-იდან 5-მდე) (კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად);
  - მოსამართლე - 1;
  - სასამართლო სხდომის მდივანი - 1.

### მოწმეები - 6:

სხდომაზე დამსწრე საზოგადოება:

საქმის მასალებს ამუშავებენ დაცვისა და ბრალდების ჯგუფები, ხოლო ნაფიცი მსაჯულები მოისმენენ უკვე მათ მიერ დამუშავებულ მასალას, მოწმეებისა და მსჯავრდებულის ჩვენებებს. საბოლოო გადაწყვეტილება გამოაქვთ ნაფიც მსაჯულებს, ხოლო სასჯელს უფარდებს მოსამართლე.

მასწავლებლებმა სავარაუდო მოსამართლეს, ნაფიცი მსაჯულების, დაცვისა და ბრალდების ჯგუფების მონაწილეებს უნდა დაურიგოს სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იქნას აღნიშნული ქმედების სამართლებრივი შეფასებისას.

## გაკვეთილი II - როგორ მოქმედებს კანონი

### გაკვეთილის პროცესი

ეს გაკვეთილი მთლიანად ეთმობა როლებით თამაშს. სასურველია, თუ კი მასწავლებელი მოიწვევს სასამართლო სხდომაზე მონაწილეობის გამოცდილების მქონე იურისტს (მოსამართლე, ადვოკატი, პროკურორი, გამომძიებელი ან სხვა)

მასწავლებელი ჯერ რწმუნდება, მზად არიან თუ არა მოსწავლეები წინა გაკვეთილზე განაწილებული როლების შესასრულებლად.

ამის შემდეგ, სთხოვს სტუმარს, რომ 5 წუთის განმავლობაში განუმარტოს მოსწავლეებს სასამართლოს სხდომის პროცედურული თანმიმდევრობა ან თავად აკეთებს ამას. შეახსენებს მოსწავლეებს, რომ სხდომის იმიტაცია არ უნდა გაგრძელდეს 20-25 წუთზე მეტი, რათა ყველას ერთად მიეცეს მისი განხილვისა და გაანალიზების საშუალება.

როლებით თამაშის მსვლელობისას მასწავლებელი და შესაძლო სტუმარი მხოლოდ რეგლამენტის შემხსენებლები არიან. იმავდროულად, მასწავლებელი და სტუმარი ინიშნავენ თითოეული მონაწილის შესაბამისობასა თუ შეუსაბამობას კანონთან, რათა შემაჯამებელი განხილვისას მოსწავლეებს მისცეს ზუსტი რეკომენდაციები.

იმიტაციის დასრულების შემდგომ მასწავლებელი წარმართავს საკლასო დისკუსიას შემდეგი კითხვებით:

- კმაყოფილი ხართ თუ არა შედეგით?
- თქვენი აზრით, სამართლიანია თუ არა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება?
- რომელი ჯგუფის მუშაობა იყო უფრო ეფექტური?
- შეიცვალეთ თუ არა პოზიცია სხვა მონაწილეთა გამოსვლის შემდეგ?
- რამდენად იმოქმედა თქვენმა გამოსვლამ სხვების გადაწყვეტილებაზე?
- კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი ჯგუფის მუშაობით? საკუთარი თავით?
- ისურვებდით თუ არა ოდესმე იმავე როლის შესრულებას?
- არის თუ არა სასამართლო ის ადგილი, სადაც სამართალი დგინდება?

დისკუსიის დროს მასწავლებელი იურიდიული ხასიათის განმარტებების გაკეთებასა და რეკომენდაციების გაცნობას სთხოვს სტუმარს, რომელსაც შესაბამისი ჩანაწერები აქვს იმიტაციის მონაწილეთა მოქმედებებთან დაკავშირებით.

დისკუსიის შეჯამებისას მასწავლებელი სთხოვს სტუმარს, განუმარტოს მოსწავლეებს, კანონის თანახმად, რა შედეგებით შეიძლებოდა დასრულებულიყო ამ სიტუაციის სასამართლო განხილვა?

## თემა - კონფლიქტის განვითარებისა და მისი მოგვარების გზები

### **მიზანი**

მოსწავლეები გაეცნობიან კონფლიქტების ტიპებსა და მათი მოგვარების გზებს. გააანალიზებენ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების სარგებლიანობას.

**სანგრძლივობა** - ერთი გაკვეთილი (აკადემიური საათი).

**საჭირო ნივთები** – ფურცლები, კალმები, მარკერები, A1 ფორმატის ქაღალდები.

### **გაკვეთილის პროცესი**

მასწავლებელი აკეთებს მცირე შესავალს, რომ კონფლიქტი და კონფლიქტური სიტუაციები ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, მაგრამ თუ ადამიანს შეუძლია კონფლიქტთა მართვა და გაკონტროლება, მაშინ ეს სულაც არ არის უარყოფითი მოვლენა.

შემდეგ იგი განმარტავს, თუ რას ნიშნავს საზოგადოებრივი კონფლიქტი და მისი ხუთი სხვადასხვა ტიპი (დრო - 5 წუთი).

**საზოგადოებრივი კონფლიქტი** არის უთანხმოება, რომელიც წარმოიშობა საზოგადოების ხევრებსა ან ინდივიდებს შორის. ძირითადად განიხილავენ ხუთი ტიპის საზოგადოებრივ კონფლიქტს: **ლი-რებულებითი** (დაკავშირებული გარკვეულ დამოკიდებულებებთან ამა თუ იმ მოვლენის მიმართ), **ინფორმაციული** (დაკავშირებული ინფორმაციის სიმცირე/სიჭარბესთან, ხარისხთან, დეზინფორმაციასთან), **ურთიერთდამოკიდებულებითი** (რომელსაც ქმნის ურთიერთობის ნაკლებობა ან არარსებობა), **ინსტიტუციური** (უკავშირდება წესებს, კანონებს, ნორმებს) და **ინტერესთა** (დაკავშირებული მოთხოვნილებებთან და ქცევებთან). ამ ტიპის კონფლიქტები ხშირია ყოველდღიურ ცხოვრებაში, ზოგ შემთხვევაში ერთდროულად რამდენიმე სახის კონფლიქტი იჩენს თავს.

3-5 წუთის განმავლობაში გონებრივი იერიშის მეთოდით მასწავლებელი ადგენს, თუ ვისთან (თანატოლებთან, უფროსებთან, უმცროსებთან, საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან, უბნელებთან, უცნობებთან, ოჯახის წევრებთან და ა.შ.) მოსდით ყველაზე ხშირად მოსწავლეებს კონფლიქტი.

იგი დაფაზე წერს შესაბამის ჩამონათვალს.

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს 4 ჯგუფად და ყოველ ჯგუფს აძლევს თითო სიტუაციურ ამოცანას. იგი სთხოვს მოსწავლეებს, 5 წუთის განმავლობაში განიხილონ მოცემული ამოცანა, დაადგინონ საზოგადოებრივი კონფლიქტის რომელ ტიპს მიეკუთვნება აღნიშნული კონფლიქტი და არგუმენტირებულად წარმოადგინონ საკუთარი შეხედულებები.

### სიტუაციური ამოცანები:

1. ...
2. ...
3. ...
4. ...

ჯგუფებში მუშაობის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს თითოეულ მათგანს, თანმიმდევრობით 2-2 წუთის განმავლობაში წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრება. მოხალისე მოსწავლე ეხმარება მასწავლებელს მოსაზრებათა დაფაზე ჩაწერაში:

კონფლიქტის ტიპები					
ჯგუფი	სიტუაცია	ლირებულებითი	ინფორმაციული	ურთიერთდამოკიდებულებითი	ინსტიტუციური ინტერესთა
1					
2					
3					
4					

შემდეგ მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ არსებობს კონფლიქტის მოგვარების მრავალი ხერხი, რომლებიც 3 ძირითად ტიპად შეიძლება დაიყოს. იგი მოსწავლეებს სთხოვს, წაიკითხონ შესაბამისი განმარტებები მოსწავლის წიგნში. შემდეგ კი განუმარტავს კონფლიქტის მოგვარების 5 ძირითად სტრატეგიას (დრო - 5-7 წუთი).

ახლა იგი ისევ მიმართავს იმავე ჯგუფებს და სთხოვს, რომ შეეცადონ მათ მიერ განხილული კონფლიქტური სიტუაციების გადაჭ-

რას. ამისათვის აძლევს 7-7 წუთს. თან შეახსენებს, რომ მათ უნდა დაასაბუთონ საკუთარი გადაწყვეტილება.

დროის ამონურვის შემდეგ მასწავლებელი თანმიმდევრობით სთხოვს ჯგუფებს, 3-3 წუთის განმავლობაში წარმოადგინონ საკუთარი ხედვა და არგუმენტები. დასასრულ, მასწავლებელი კანონთან შესაბამისობის კუთხით აჯამებს როგორც მოცემული სიტუაციების მონაწილეთა მოქმედებებს, ისე ჯგუფების მიერ შემოთავაზებულ მოგვარების გზებს (დრო - 15-17 წუთი).

ახლა მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაითვალისწინონ სიტუაციური ამოცანების ანალიზი და კომენტარები ახალი სავარჯიშოს შესრულებისას.

მასწავლებელი იგივე 4 ჯგუფს აძლევს ერთსა და იმავე სიტუაციას. ის სთხოვს მოსწავლეებს, რომ თითოეულმა ჯგუფმა 5-7 წუთის შემდეგ წარმოადგინოს ალნიშნული კონფლიქტის მშვიდობი-ანად მოგვარების ესა თუ ის ხერხი და სტრატეგია, ამასთან, დაასაბუთოს თავისი არჩევანი.

დროის გასვლის შემდეგ მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს აძლევს 3-3 წუთს საკუთარი მოსაზრებების წარმოსადგენად. იგი ჯგუფების წარმოდგენილ ვარიანტებს ასახავს დაფაზე

შემდეგ მასწავლებელი მიმართავს მთელ კლასს, გამოავლინოს ყველაზე ეფექტური ვარიანტი (დრო - 3-5 წუთი).

დასასრულ, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ ყველაზე სამართლიანი ვარიანტი. შესაძლებელია, ეს გამოვლენა მოხდეს საკლასო დისკუსიის მეთოდით.

## თემა - უსაფრთხო და ჯანსალი გარემო

### მიზანი

მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ მავნე ჩვევების შესაძლო შედეგები და დასასტუთონ მათი თავიდან აცილების აუცილებლობა.

**სანგრძლივობა -** ერთი გაკვეთილი (ერთი აკადემიური საათი).

**საჭირო ნივთები** – ფურცლები, კალმები, პატარა ბარათები, მარკერები, A1 ფორმატის ქაღალდები.

### გაკვეთილის პროცესი

მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ ამ გაკვეთილის მიზანია ადამიანისა თუ საზოგადოების კეთილდღეობასა და კანონებს შორის კავშირის დანახვა. ის ურიგებს მოსწავლეებს პატარა ბარათებს და სთხოვს, რომ 2 წუთის განმავლობაში მათ ჩამოწერონ ის ჩვევები / თვისებები, რომელიც ადამიანს ხელს უშლის ჯანსაღ, ნორმალურ ცხოვრებაში, სხვებთან ურთიერთობაში.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, საკუთარი ბარათები მიამაგრონ დაფაზე, თან ხმამაღლანი იკითხონ საკუთარი ჩანაწერი, ხოლო მასწავლებელი პარალელურად ავსებს ფორმატზე დახაზული შესაბამისი სქემის 1-ლ სვეტს (დრო - 5 წუთი).

ჩვევა/თვისება	შედეგი პიროვნებისთვის	შედეგი საზოგადოებისთვის

მასწავლებელი სქემაზე გამოყოფს იმ ჩვევებს, რომლებიც მოსწავლეთა უმრავლესობამ მნიშვნელოვნად მიიჩნია. იგი მოსწავლეებს აცნობს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2006 წლის ანგარიშიდან ორ განმარტებას:

„**ჯანმრთელობა ფიზიკური, სულიერი და სოციალური კეთილდღეობაა და არა მხოლოდ დავადებათა და დაზიანებათა არარსებობა,,**

„ჯანმრთელობის 50% დამოკიდებულია ცხოვრების წესზე, 20% – გარემო ფაქტორებზე, 20% გენეტიკაზე და 10% – მედიცინისა და სამედიცინო მომსახურების განვითარების დონეზე,,.  
(დრო - 5 წუთი)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაუკავშირონ ეს განმარტებები მათ მიერ გამოვლენილ ყველაზე მავნე ჩვევებს და 2-3 წუთიანი მოფიქრების შედეგ დასახელონ ამ ჩვევების შედეგები პიროვნებისა და მის გარშემო მყოფი საზოგადოებისთვის. დასახელებულ შედეგებს მასწავლებელი ან მოხალისე მოსწავლე ჩაწერს სქემაში. შესაძლებელია, მასწავლებელმა იმავე შედეგს მიაღწიოს დაახლოებით 5-7 წუთიანი საკლასო დისკუსიის გზით.

მასწავლებელი სთხოვს სამართალდამცველს, განმარტოს, შეესაბამება თუ არა მოსწავლეების მიერ დასახელებული შედეგები კანონმდებლობით გათვალისწინებულ შედეგებს. თუკი მოსწავლეებს რაიმე გამორჩათ, მასწავლებელი დაამატებს (დრო - 3-5 წუთი).

შემდგომ ეტაპზე მასწავლებელი ყოფს კლასს 3 ჯგუფად და თითოეულს სთავაზობს, 7-10 წუთის განმავლობაში განიხილოს დარიგებული სიტუაციები მოსწავლის წიგნში არსებული შესაბამისი ვრცელი ინფორმაციის გამოყენებით. მასწავლებელი განმარტავს, რომ ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ სიტუაციის მონაწილეთა მოქმედებების მორალური და სამართლებრივი შეფასება და ჩამოთვალონ ამ სიტუაციების თავიდან აცილების გზები.

### სიტუაციები:

1. ....
2. ....
3. ....

ჯგუფები 3-3 წუთის განმავლობაში წარმოადგენენ თავიანთ მოსაზრებებს.

მასწავლებელი ყოფს კლასს 4 ჯგუფად და ორ მათგანს (მაგ.: 1-ლ და მე-3 ჯგუფებს) სთავაზობს ცალ-ცალკე წარმოიდგინოს და აღწეროს ნარკომანის ერთი სადაგი დღე, ხოლო ჯგუფების მეორე წყვილს სთავაზობს ანალოგიურ დავალებას ტოტალიზატორით და კაზინოთი გატაცებულ ადამიანებთან დაკავშირებით. სამუშაოსთვის

ჯგუფებს აძლევს 5-7 წუთს, ხოლო პრეზენტაციისთვის – 7-7 წუთს. ჯგუფების მუშაობისას მასწავლებელი კონსულტირებას უნდევს მოსწავლეებს, თუკი მათ სჭირდებათ რაიმე ნივთიერების, წესის, კანონის ან მოვლენის დასახელების აღნიშვნა.

პრეზენტაციების (დრო - 20 წუთი) შემდეგ მასწავლებელი აჯამებს, თუ რამდენად შეესაბამება რეალობას წარმოდგენილი სიტუაციები (დრო — 5 წუთი).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაკვეთილზე მიღებული ცოდნის / გამოცდილების გათვალისწინებით ინდივიდუალურად შეავსონ მრავალნახნაგიანი რეიტინგის სქემა პრინციპით „ყველაზე მავნე - ნაკლებად მავნე“ და გაკვეთილის ბოლოს მიაკრან ეს ფურცლები დაფაზე (დრო - 3 წუთი).

დასასრულ მასწავლებელი „რეიტინგების გამოფენის“ დათვალიერებით აღნიშნავს საერთო-საკლასო რეიტინგს და ასკვნის, რომ სინამდვილეში ნებისმიერი მავნე ჩვევა, რომელსაც კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებამდე მიჰყავს ადამიანი, ერთნაირად მძიმე შედეგების მომტანია, როგორც პიროვნების, ისე საზოგადოებისთვის.

## თემა – რა არის არჩევნები

### მიზანი

- არჩევნების საფუძვლების, არსისა და მნიშვნელობის გააზრება;
- საარჩევნო უფლებებისა და სისტემების კლასიფიკაციის გაცნობა;
- ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და არჩევნების ურთიერთკავშირის გააზრება.

**საჭირო რესურსები** - ფურცლები, კალმები, მარკერები, ფრაგ-მენტი ანიმაციური ფილმიდან „ევროკავშირი და იტალია“.

**ხანგრძლივობა** - ერთი გაკვეთილი

### გაკვეთილის პროცესი

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს სგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს. ასევე, გონებრივი იერიშის გამოყენებით არკვევს მათ მოლოდინს პროგრამის შედეგებთან დაკავშირებით.

შემდეგ მასწავლებელი მოკლედ მიმოიხილავს არჩევნების როლს

დემოკრატიულ საზოგადოებაში. იგი აცნობს მოსწავლეებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლს. სთხოვს მათ, დაფიქრდნენ 3 წელი და ჩამოაყალიბონ საკუთარი დასკვნა კითხვაზე: რა მნიშვნელობა აქვს არჩევნებს ქვეყნის განვითარებისათვის?

მასწავლებელი მოისმენს და დაფაზე აფიქსირებს პირველი 5 მოსწავლის მოსაზრებას. შემდეგ სვამს კითხვას: ხომ არ არის ისეთი მოსწავლე, რომელსაც სრულიად განსხვავებული მოსაზრება გააჩნია? თუ ასეთი აღმოჩნდა, მის დასკვნასაც მოისმენს და ჩაწერს დაფაზე. ბოლოს მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეთა მოსაზრებებს.

მასწავლებელი აჩვენებს კლასს ფრაგმენტს ანიმაციური ფილმიდან „ევროკავშირი და იტალია“. იგი მართავს მცირე დისკუსიას ძირითადი კითხვით:

ნაჩვენები ორი მოდელიდან რომლის დამკვიდრება სურთ საქართველოში და რატომ?

შემდეგ უხსნის მოსწავლეებს საქართველოში არჩევნების ჩატარების კანონიერ საფუძვლებს: საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი, ასევე აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებების არსა.

მასწავლებელი ყოფს კლასს 4 ჯგუფად და აძლევს მათ დავალებას: ყურადღებით გაეცნონ მოსწავლის წიგნში მოცემულ ინფორმაციას და 5 წელიანი განხილვის შემდეგ თითოეულმა ჯგუფმა წარმოადგინოს დასაბუთებული პასუხი მათვის დასმულ კითხვაზე:

- 1-ლი ჯგუფი - რატომ არის მნიშვნელოვანი არჩევნების საყველთაობა?
- მე-2 ჯგუფი - რა მნიშვნელობა აქვს საყოველთაო არჩევნების დროს თანასწორობის პრინციპის დაცვას?
- მე-3 ჯგუფი - რატომ არის მნიშვნელოვანი საარჩევნო პროცესის საჯაროობა?
- მე-4 ჯგუფი - რატომ არის მნიშვნელოვანი პირდაპირი არჩევნები?

ჯგუფების ნამუშევრების წარდგენის შემდეგ მასწავლებელი წარმართავს მცირე დისკუსიას ძირითადი კითხვით: რა შეიძლება გამოიწვიოს საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლებების შეზღუდვა? ამ დისკუსიის ამოცანაა ჯუფებში ცალ-ცალკე განხილული საკითხების დაკავშირება, გააზრება და შეჯამება.

ნასწავლის განსამტკიცებლად მასწავლებელი წარმართავს სტრუქტურირებულ 10 წუთიან დისკუსიას „კუთხების“ მეთოდის გამოყენებით. ერთი სადისკუსიო ფრაზა შესაძლებელია შეირჩეს შემდეგი ჩამონათვალიდან იმის მიხედვით, თუ რომელი ასპექტი იყო გაკვეთილის განმავლობაში ნაკლებად განხილული:

- „არჩევნებში მონაწილეობა ჩვენი ზნეობრივი ვალია!“
- „დემოკრატიულ საზოგადოებაში ძალაუფლება გააჩნიათ მხოლოდ პოლიტიკოსებს“;
- „ხალხს ისეთი ლიდერი ყავს, როგორსაც იმსახურებს“;
- „მოქალაქების ვალია გააკონტროლონ მთავრობის ყოველ-დღიური მოქმედება“.

გაკვეთილის პოლოს მასწავლებელი კლასს ყოფს სამ ჯგუფად: „საპრეზიდენტო“, „საპარლამენტო“ და „ადგილობრივი“. მოსწავლეებს ეძლევათ ინდივიდუალური საშინაო დავალება: საკუთარი ჯგუფის სახელწოდების შესაბამისად გაეცნონ სახელმძღვანელოს თემა 2-ში მოცემულ ინფორმაციას (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები, საქართველოს პარლამენტის არჩევნები, საკრებულოების არჩევნები) და შემდეგი გაკვეთილისათვის წერილობით ჩამოაყალიბონ საკუთარი დასაბუთებული მოსაზრებები შემდეგ კითხვებზე:

- რომელი საარჩევნო სისტემა გამოიყენება საქართველოში განსახილველი არჩევნებისას?
- რამდენად პასუხობს განსახილველი არჩევნები საქართველოში მოქალაქის საარჩევნო უფლების თითოეულ საფუძველს: საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი?
- თქვენი აზრით, საქართველოში რამდენად სამართლიანია განსახილველი არჩევნების საკანონმდებლო პირობები?
- თუ ამჩნევთ ხარვეზს, აღწერეთ თქვენ როგორი პირობები მიგაჩნიათ უფრო სამართლიანად?
- როგორ და რა გზით წარმოგიდგენიათ თქვენს მიერ აღწერილი ცვლილებების დაკანონება?

### თემა 3 - არჩევნები საჯარო სკოლაში

#### მიზანი

- საქართველოში საჯარო სკოლის მმართველობისა და თვითთმართველობის ორგანოების ფუნქციების გაცნობა;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის მნიშვნელობისა და შესაძლებლობების გააზრება.

**საჭირო რესურსები** - ფურცლები, კალმები, მარკერები, დიდი ფორმატის ქაღალდები.

**სანგრძლივობა** - ერთი გაკვეთილი (ამ გაკვეთილზე სასურველია მოწვეული იყოს სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრი)

#### გაკვეთილის პროცესი

მასწავლებელი დაფაზე წერს ფრაზებს:

- განათლების უფლება;
- აზროვნების თავისუფლებისა და აზრის გამოხატვის უფლება;
- საკუთარი ქვეყნის მართვაში მონაწილეობის უფლება.

იგი მოსწავლეებს სთხოვს 5 წუთის განმავლობაში წყვილებში იმსჯელონ განათლების უფლების შესაფასებლად - ვინ ღებულობს გადაწყვეტილებებს თუ რა და როგორ უნდა ისწავლოს მოსწავლემ? მასწავლებელი ურჩევს, რომ ყურადღებით დააკვირდნენ დაფაზე დაწერილ ფრაზებს. წყვილებში მსჯელობის შედეგებს მასწავლებელი განიხილავს მცირე საერთო დისკუსიის სახით (დრო 5 წუთი).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წყვილები გაერთიანდნენ ოთხეულებად და ჩამოაყალიბონ შეთანხმებული დასკვნები შემდეგ საკითხებზე (დრო 10 წუთი):

- როგორ ხდება გადაწყვეტილებების მიღება ჩვენს სკოლაში?
- ვინ იღებს გადაწყვეტილებას რა, როგორ უნდა ისწავლებოდეს და რა ღონისძიებები უნდა ჩატარდეს?
- როგორ ხდება სკოლის მართვა?
- როგორ მიიღება საბიუჯეტო და ფინანსური გადაწყვეტილებები?
- როგორ ხდება სასკოლო სასწავლო გეგმისა თუ შინაგანანესის შემუშავება?
- რამდენად არის გათვალისწინებული მოსწავლეების აზრი?

ახლა მასნავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ ოთხეულები დაწყვილდნენ (8-8 მოსწავლე) და 5-7 წუთის განმავლობაში განსაზღვრონ სკოლაში დემოკრატიულად არჩეული თვითმმართველობის ორგანოს/ორგანოების მნიშვნელობა. მასნავლებელი კვლავ ამახვილებს მოსწავლეთა ყურადღებას დაფაზე დაწერილ ფრაზებზე. იმავდროულად, იგი ურჩევს შეაჯერონ საშინაო დავალების ინდიდუალური შედეგები. მასნავლებელი თითოეულ ჯგუფის წარმომადგენელს განხილვის შედეგების წარმოსადგენად აძლევს 3-3 წუთს.

ამის შემდეგ, მასნავლებელი კლასს აძლევს 3-4 წუთს, რათა კიდევ ერთხელ გაეცნონ ინფორმაციას მოსწავლეთა თვითმმართველობის შესახებ საქართველოს საჯარო სკოლებში. იგი აძლევს დავალებას 8-8 კაციან ჯგუფებს, რომ 5-7 წუთის განმავლობაში ჩამოაყალიბონ, საკუთარ სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობას კიდევ რა ფუნქციის შესრულება შეუძლია და უნდა ჰქონდეს.

გაკვეთილის ბოლოს მასნავლებელი აძლევს 3-3 წუთს ჯგუფების წარმომადგენლებს საერთო მოსაზრებების წარმოსადგენად. მოსწავლეთა მიერ ჩამოთვლილ ფუნქციებს მასნავლებელი ჩამონერს დაფაზე. იგი სთხოვს მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრს კლასიდან, 5 წუთში გააცნოს მოსწავლეებს ინფორმაცია - უმსჯელიათ თუ არა თვითმმართველობის წევრებს აქ დასახელებული ფუნქციების შესახებ? რა დასკვნამდე მისულან და რატომ? მისი გამოცდილებით, რამდენად შესაძლებელია აქ მოწოდებული იდეების განხორციელება სკოლაში და რატომ?

მასნავლებელი აჯამებს გაკვეთილის შედეგებს და მოსწავლეთა ყურადღებას ამახვილებს მათი თვითმმართველობის მნიშვნელობასა და შესაძლებლობებზე. იგი შეახსენებს მოზარდებს, რომ მათ წინ აქვთ მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები და სწორედ, მის სამართლიანად ჩატარებაში დაეხმარებათ პროგრამის დროს მიღებული გამოცდილება.

## თემა - ჩემი არჩევანი: გადაწყვეტილება და შედეგები

მიზანი:

- მოსწავლეებისათვის გასაგები გახდება გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობები, რომლებიც ნორმალური ყოველ-დღიური ცხოვრების ნაწილს წარმოადგენს;
- გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპის შესახებ მიღებული ინფორმაცია გამოუმუშავებთ მოსწავლეებს გადაწყვეტილების მიღების უნარს;
- მოსწავლეები ისწავლიან, როგორ გამოიყენონ კრიტიკული აზროვნება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

**ხანგრძლივობა - ერთი გაკვეთილი**

აქტივობა 1 (15 წთ.)

მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს შემდეგ სიტუაციას: „თქვენ გინდათ ეზოში თამაში, მაგრამ საშინაო დავალება ჯერ არ მოგიმზა-დებიათ. თქვენი მეგობრები გიხმობენ ეზოში სათამაშოდ. როგორ მოიქცევით?“

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს ხელის აწევით დაადასტურონ, თუ რომელ გადაწყვეტილებას მიიღებენ:

1. ჩავლენ სათამაშოდ ეზოში;      2. დავალებას მოამზადებენ.

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაიაზრონ ის შედე-გები, რომლებიც ამა თუ იმ არჩევანს შეიძლება მოჰყვეს. მასწავ-ლებელი ვარიანტებს წერს დაფაზე. მასწავლებელი ისევ მიმართავს მათ, კიდევ ერთხელ მიიღონ გადაწყვეტილება, ბოლოს იმართება დისკუსია შემდეგი კითხვების გამოყენებით:

- იოლი იყო თუ არა გადაწყვეტილების მიღება?
- რომელ შემთხვევაში იყო გადაწყვეტილება სწორად მიღებული?
- რა შეიცვალა, როცა შედეგები გააანალიზეთ და რატომ?
- რა ისწავლეთ ამ სავარჯიშოდან?

მნიშვნელოვანია მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილოს იმა-ზე, რომ ნებისმიერ გადაწყვეტილებას რაღაც შედეგი მოჰყვება, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მთავარია შესაძლო შედეგების განსაზღვრა, დადებითისა და უარყოფითი მხარეების შეჯერება და ამის საფუძველზე ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება.

მასნავლებლი დაფაზე ამაგრებს ფორმატს, რომელზედაც ჩამოწერილია გადაწყვეტილების მიღების პროცესის საფეხურები და განმარტავს მათ.

### **კარგი გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა:**

- აქტიურად მოსმენის უნარი – ნამდვილად მოსმენა იმისა, რასაც სხვა პიროვნება ამბობს;
- თანაგრძნობა – გაგება იმისა, თუ რას გრძნობს ადამიანი;
- მოლაპარაკების გამართვის უნარი – იმ შხარეთა მიერ ერთ-მანეთის ინტერესების გაგების უნარი, რომლებსაც შეეხებათ გადაწყვეტილება;
- კრიტიკული აზროვნება – ალტერნატივების მოძიება/შეხედულებების შეფასება.

### **გადაწყვეტილების მიღების პროცესი შედგება შემდეგი საფეხურებისაგან:**

- **პრობლემის განსაზღვრა.** ეს აუცილებლად ნათლად უნდა იყოს გაგებული, რათა შემოთავაზებულმა გამოსავალმა შედეგი მოგვცეს;
- **საკუთარი მიზნების გაგება.** არჩეულ მიზნებზე გავლენას ახდენს ღირებულებები და ის ფაქტორები, რაც მნიშვნელოვანია. ღირებულებათა პრიორიტეტების განსაზღვრით უფრო ნათლად ჩანს, თუ რა არის სასურველი;
- **ალტერნატივების ჩამოთვლა.** თუ როგორ შეიძლება მოიქცევა; თითოეული საქციელის შედეგის გაითვალისწინებით;
- **გამოსავალის შერჩევა.** საუკეთესო გამოსავალის შერჩევა და შესაბამისად მოქცევა;
- **პასუხისმგებლობის აღება.** პასუხისმგებლობის აღება და შედეგებისთვის მზადყოფნა;
- **შეფასება.** გადაწყვეტილების მიღება, რათა გამოჩენდეს თუ რამდენად კარგ გავლენას ახდენს შერჩეული გამოსავალი;
- **არჩევანის გადასინჯვა.** პირველი არჩევანის გადასინჯვა იმ შემთხვევაში თუ ის არ არის მოსაწონი. გადასინჯვა პროცესის

ნაწილია;

- ობიექტურობა და კონკრეტულობა. დაძაბულობისა და გაღიზიასნებულობის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებისა-გან თავის არიდება. რათა არ გახდეს აუცილებელი მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა.

აქტივობა 2 (20 წთ.): მასწავლებელი მიმართავს ბავშვებს: „წარ-მოიდგინეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს იღვიძებთ და იგებთ, რომ იმ ქალაქში, სადაც ცხოვრობთ, ერთი თვის განმავლობაში უფროსი თაობის ადამიანები აღარ იქნებიან. თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ ყველაფერი, რაც გინდათ. როგორ მოიქცევით?“ პასუხები იწერება დაფაზე.

მასწავლებელი დაყოფს კლასს ჯგუფებად 4-5 მოსწავლის შემად-გენლობით და დააგალებს მოიფიქრონ და ჩამოწერონ ის შედეგები, რომელიც მოჰყვება მათ მიერ არჩეულ ქმედებებს.

ქმედებებისა და შედეგების განხილვის შემდეგ მოსწავლეებს მას-წავლებელი სთხოვს დატოვონ ის ვარიანტები, რომლებიც ყველასათ-ვის მისაღები და ამასთანავე, დადებითი შედეგების მომტანი იქნება.

სავარჯიშოს დასრულების შემდეგ მოსწავლეებისათვის დასასმე-ლი შეკითხვები:

- „რა შეიტყვეთ ახალი თქვენს შესახებ?“
- „რა ისწავლეთ?“

აქტივობა 3 (20 წთ.): გამარჯვებული მოსწავლეებისათვის მას-წავლებელს გამზადებული აქვს პირობითი წამახალისებელი პრიზები (ჯობს მცირე პრიზები - მაგ: „ლიმილები“, მაგრამ დიდი რაოდენო-ბის).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს პირისპირ დასხდნენ და მკლავჭიდელებივით ხელები გადააჭდონ. ის განუმარტავს მოსწავ-ლეებს, რომ თითოეულის მიზანია 2-3 წუთის განმავლობაში რაც შეიძლება მეტი პრიზი მოიპოვოს, რომელსაც მეტოქის მკლავის ყოველი გადაწევისათვის მიიღებს.

როგორც წესი, მიმდინარეობს ხანგრძლივი ჭიდილი გამარჯვები-სათვის. საზრიანები მოგვიანებით ხვდებიან, რომ ჭიდილში მეტო-ქები კარგავენ დროს და ამიტომ რიგრიგობით უნევენ ერთმანეთს ხელს. თუ მასწავლებელი ატყობს, რომ მოსწავლეთა ნახევარზე

მეტი მაინც მორევის პრინციპით აგრძელებს შეჯიბრს, იმეორებს სავარჯიშოს. თუმცა, დაწყებამდე ის აფრთხილებს მათ, დაფიქრდნენ, როგორ შეუძლიათ უფრო მეტი პრიზის მოპოვება;

სავარჯიშოს დასრულებისას მასწავლებელი კლასს განხილვისთვის უსვამს კითხვებს:

- ამ სავარჯიშოდან რა დასკვნა გამოიტანეთ?
  - როგორი გადაწყვეტილებაა მომგებიანი?
- მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილის შედეგებს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. მეიფარიანი, ლ. მიქაშვილი, ზ. მიმინშვილი - სამოქალაქო განათლება; მე-10კლ. საქართველოს მაცნე. 2006 წ.
2. თ. ბრეგვაძე, ი. პეტრიაშვილი - სამოქალაქო აღზრდა; მე-10 კლ. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2006 წ.
3. თ. მეიფარიანი, ლ. მიქაშვილი, მ. გონაშვილი და სხვები - სამოქალაქო განათლება; მე-9კლ. საქართველოს მაცნე. 2008 წ.
4. თ. ქალდანი, გ. გაბრიელაშვილი, ლ.გიგაური, ნ. ტალახაძე, მ. ნაცვალაძე - სამოქალაქო განათლება; მე-9კლ. ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრი. 2008 წ.
5. ფლაუერსი, ნენსი. კომპასიტო: სახელმძღვანელოს უფლება-თა განათლ. სფეროში ბავშვებისათვის/ რედ. და თანაავტ. ნენსი ფლაუერსი; სახელმძღვანელოს მომზადებაში მონაბილეობდნენ: მარია ემილია ბრედეროდე-სანტოსი [და სხვ.]; საბოლოო რედ. უუფანა სელენი; ილ. დაიანა ნეგი; [მთარმგნ.: თამარ მიქაძე, ანა გეგეჭკორი; რედ. დავით გელაშვილი] - [თბ., 2009]
6. ნინო ერემაშვილი, მაკა ფერაძე, ელგუჯა მაკალათია, გიორგი გახელაძე - სამართლებრივი კულტურა - სახელმძღვანელო მე-9 კლასელებისათვის; პროექტი ჰარმონია. 2009 წ.
7. როლფ გოლობი, ტედ ჰუდლესტონი, პიტერ კრაფი, დონ როუვი, უიმ ტალმანი - „ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში - წიგნი III; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; 2009 წ.
8. გიორგი გახელაძე, ზურაბ ხრიკაძე, გიორგი შარაპიძე - ინსტრუქ-ცია სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებისათვის; გაერო, ცესკო, ესგშც, სსგრსც, 2010 წ.



გიორგი გახელაძე 1991 წლიდან იგი განათლების სისტემაში მუშაობს, როგორც საჯარო, ისე აკადემიურ და არასამთავრობო სექტორში. 1992 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ფიზიკის ფაკულტეტი. მისი საგანმანათლებლო გამოცდილება მრავალფეროვანია: მასწავლებელი სკოლაში, მოზარდთა სახლში, საერთაშორისო პროექტების ეროვნული ექსპერტი, სახელმძღვანელოების ავტორი, განათლების მკვლევარი და პროფესორი, ზრდასრულთა მწვრთნელი როგორც განათლების, ისე გარემოსდაცვით და ჯანდაცვის სფეროში, აკრედიტაციის ექსპერტი და ა. შ. თავად აქვს გავლილი პროფესიული განვითარების მრავალი პროგრამა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

იგი არის ეროვნული სასწავლო გეგმის სამოქალაქო განათლების საგნობრივი პროგრამის ავტორი. ამჟამად იგი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში სამოქალაქო განათლების კონსულტანტია. იმავდროულად, გიორგი არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების მკვლევარი ასისტენტ-პროფესორია. იგი ასწავლის მომავალ მასწავლებლებსა და განათლების ადმინისტრატორებს.